ლევ ტოლსტოი



მეუფება ყოვლიადისა

ხუთმოქმედებიანი დრამა

ხოლო მე გეტყვი თქუენ, რამეთუ ყოველნი, რომელი ჰხედვიდეს დედაკაცსა გულის თქუმად მას, მუნვე იმრუშა მის თანა გულსა შინა თვისსა.

უკუეთუ თუალი შენი მარჯუენე გაცთუნებდეს შენ, აღმოიღე იგი და განაგდე შენგან, რამეთუ უმჯობეს არს შენდა, რათა წარწყმდეს ერთი ასოთა შენთაგანი, ვიდრე ყოველი გუამი შენი შთავრდომად გეჰენიასა.

მათე V, 28, 29

პირველი მოქმედება

პირველი მოქმედების მოქმედი პირნი

პეტრე — მდიდარი გლეხი, 42 წლისა, ორჯერ ნაქორწინევი, ავადმყოფი კაცი.

ანისია — მისი ცოლი 32 წლისა, კეკლუცი ქალი.

აკულინა — პეტრეს ქალიშვილი პირველი ქორწინებიდან, 16 წლისა, ცოტა ყრუ, მოსულელო.

ანიუტკა — მეორე ქალიშვილი, 10 წლისა.

ნიკიტა — მათი მოჯამაგირე, 25 წლისა, დარდიმანდი ჭაბუკი.

აკიმი — ნიკიტას მამა, 50 წლისა, შეუხედავი, ღვთისმოშიში გლეხი.

მ ა ტ რ ი ო ნ ა — მისი ცოლი, 50 წლისა.
მ ა რ ი ნ ა — ობოლი გოგო, 22 წლისა.

მოქმედება ხდება შემოდგომაზე, დიდ სოფელში. სცენა წარმოადგენს პეტრეს ხალვათ სახლს. პ ე ტ რ ე ზის მერხზე, ცალუღს ბლანდავს. ა ნ ი ს ი ა და ა კ უ ლ ი ნ ა მატყლს ჩეჩავენ.

გამოსვლა პირველი

პ ე ტ რ ე, ა ნ ი ს ი ა და ა კ უ ლ ი ნ ა. ქალები ორხმად მღერიან.

პ ე ტ რ ე (ფანჯარაში იყურება) ისევ გამოვიდნენ ცხენები. ემანდ კვიცი არ მოკლან. მიკიტა, ჰა, მიკიტა! დაყრუვდა! (აყურადებს. ქალებს:) გეყოფათ, აღარაფერი ისმის.

ნ ი კ ი ტ ა ს ხ მ ა (გარედან) რა იყო?

პ ე ტ რ ე. ცხენები შერეკე!

ნ ი კ ი ტ ა ს ხ მ ა. შევრეკავ, დამაცადე.

პ ე ტ რ ე (თავს აქნევს). უჰ, ეს მოჯამაგირეები, მართლა და მართლა! ჯანზე ვიყო, მე ვიცი, თავის დღეში არავის გავიკარებდი. ხათაბალაა და მეტი არაფერი... (დგება, ისევ ჯდება) მიკიტა!.. ვერაფერს შეასმენ კაცი. თქვენ წადით რომელიმე. აკულინა, წადი, შერეკე!

ა კ უ ლ ი ნ ა. ცხენები განა?

პ ე ტ რ ე. მაშ, მეტი რა?

ა კ უ ლ ი ნ ა. ახლავე. (გადის).

გამოსვლა მეორე

პ ე ტ რ ე და ა ნ ი ს ი ა

პ ე ტ რ ე. თანაც უქნარა კაცია, უყაირათო. შენს ჭკუაზე ვერ გაატარებ.

ა ნ ი ს ი ა. თვითონ ხომ ძალიან მარდი ხარ, სულ ღუმელზე კოტრიალობ, ანდა მერხზე ხარ წამობრძანებული! მარტო სხვებს მოჰკითხავ ხოლმე.

პ ე ტ რ ე. თქვენ რომ არ მოგკითხოთ კაცმა, მთელი წელი გარე-გარე ივლით. ესენიც ხალხია, რაღა!

ა ნ ი ს ი ა. კარგი ერთი, ათ საქმეზე ერთად მიაპირებ კაცს და კიდევაც ილანძღები! ღუმელიდან ადვილია მბრძანებლობა.

პ ე ტ რ ე (ამოოხვრით). ეჰ, ეს ავადმყოფობა არ შემყოროდა, ერთ დღესაც არ გავაჩერებდი!

სცენის მიღმა ისმის აკულინას ხმა: „აჩუ, აჩუ, აჩუ...“ კვიცი ჭიხვინებს. ცხენები ჭიშკარში შემორბიან. ჭიშკარი ჭრიალებს.

ლაზღანდარობა — აი, რა არის მაგისი საქმე. არა, მართლა არ გავაჩერებდი.

ა ნ ი ს ი ა (გამოაჯავრა). „არ გავაჩერებდი...“ შენ თვითონ გაგენძრია ხელი და მერე გელაპარაკა.

გამოსვლა მესამე

ი გ ი ნ ი ე ე და ა კ უ ლ ი ნ ა

ა კ უ ლ ი ნ ა (შემოდის). ძალისძალით შევრეკე. სულ იმ თირთვილას ბრალია...

პ ე ტ რ ე. მიკიტა სადღაა?

ა კ უ ლ ი ნ ა. მიკიტა თქვი? გარეთა დგას.

პ ე ტ რ ე. ჰო, მაგრამ იქ რაღას უდგას?

ა კ უ ლ ი ნ ა. რაღას უდგასო? დგას მოფარებულში, ლაყბობს რაღაცას.

პ ე ტ რ ე. გაიგე რამე!.. ჰოდა, თქვი, ვისთან ლაყბობს?

ა კ უ ლ ი ნ ა (ვერ გაიგონა). რა თქვი?

პეტრემ ხელი ჩაიქნია. აკულინა სართავს მიუჯდა.

გამოსვლა მეოთხე

ი გ ი ნ ი ვ ე და ა ნ ი უ ტ კ ა.

ა ნ ი უ ტ კ ა (შემორბის. დედას:). მიკიტას დედა-მამა ჩამოუვიდა. შინ მიჰყავთ, გეფიცებით!

ა ნ ი ს ი ა. ტყუილს ამბობ?

ა ნ ი უ ტ კ ა. მართალს ვამბობ, ამწუთას მოვკვდე, თუ ვტყუოდე. გავიარე და აეგრე მითხრა: მშვიდობით, ანა პეტროვნა, აწი ქორწილში მეწვიეო. მივდივარ თქვენგანო, მითხრა. იცინოდა თანაც.

ა ნ ი ს ი ა (ქმარს). ძალიანაც არ სჭირდები ვინმეს! აგე, თვითონაც წასვლას აპირებს. არ გავაჩერებო, დაგიჩემებია...

პ ე ტ რ ე. მიდის და წავიდეს, სხვას ვეღარ ვიშოვი?

ა ნ ი ს ი ა. ფული რომ წინდაწინ გაქვს მიცემული?..

ანიუტკა კარს მიადგა, საუბარს უსმენს, მერე გადის.

გამოსვლა მეხუთე

ანისია, პეტრე და აკულინა

პ ე ტ რ ე (მოღუშული). ფულს, ბოლოს და ბოლოს, ზაფხულში წაიმუშავებს და გამომიბრის.

ა ნ ი ს ი ა. ჰო, შენ გიხარია გაშვება, შენთვის მკაა ყველაფერი; ჩამთავრდა და რაღა გიჭირს. მე კიდე, მთელი ზამთარი წინა მაქვს, ცხენივით უნდა ვიმუშავო! ეს გოგო ხელს არ ატოკებს, შენც სულ ღუმელზე იკოტრიალებ. ვიცი, რაცა ხარ!

პ ე ტ რ ე. დაიცა, ჯერ ხომ არაფერი ვიცით, ენას რაღაზე ვიღლით!

ა ნ ი ს ი ა. ეზოც საქონლითაა სავსე. ძროხა არ გაგიყიდია, ცხვრებიც საზამთროდ დაიტოვე, მაგათ ხომ თივა და წყალი სჭირდება. ახლა მომინდომე მოჯამაგირის გაშვება! არა, ბატონო, კაცის საქმეს მე არ მოვკიდებ ხელს, დავწვები აგერ ღუმელზე, შენსავით, და ჯანდაბას ყველაფერი! რაც გინდა, ის ჰქენი!

პ ე ტ რ ე (აკულინას). ჰო, მართლა, თივაზე წადი, დროა.

ა კ უ ლ ი ნ ა. თივაზე? მეტი რა გზაა. (ხიფთანს იცვამს, თოკს იღებს).

ა ნ ი ს ი ა. არა, ხელს არ გავანძრევ, მეყოფა, აღარ ვიმუშაევ. აწ შენ იწყვიტე წელი.

პ ე ტ რ ე. კარგი, ჰო! რას გაცოფდი რეტიანი ცხვარივით!

ა ნ ი ს ი ა. შენ თვითონ ხარ ცოფიანი ქოფაკი! აღარც მუშაობისა ხარ, ერთი ბეწო სიხარულიც არა მაქვს შენს ხელში! გამიმწარე ცხოვრება! ქოფაკი ხარ სწორედ, მაშ რა!

პ ე ტ რ ე (გადააფურთხა. იცვამს). ფუი, შენს ქალობას! მომიტევე უფალო... წავალ, რიგიანად მაინც გავიგებ, რა ამბავია. (გადის).

ა ნ ი ს ი ა (მიაძახებს). შე ტარტაროზო, შე ცხვირა, შენა!

გამოსვლა მეექვსე

ანისია და აკულინა.

ა კ უ ლ ი ნ ა. მამაჩემს რაზე ლანძღავ?

ა ნ ი ს ი ა. გამეცა, შტერო! ენა დააყენე.

ა კ უ ლ ი ნ ა (კართან მივიდა). კარგად ვიცი, რაზედაც ლანძღავ. შენ თვითონა ხარ შტერი, შე ძაღლო, შენა! არ მეშინია მე შენი!

ა ნ ი ს ი ა. რა იყო, რამ დაგცოფა! (წამოიჭრა, ეძებს რამეს, რომ დაარტყას). აი, ამ სატაცს რომ გთხლიშავ...

ა კ უ ლ ი ნ ა (კარს აღებს). ძაღლი ხარ, კუდიანი ნამდვილი! ძაღლო, ძაღლო, კუდიანო, კუდიანო! (გარბის).

გამოსვლა მეშვიდე

ანისია მარტოა.

ა ნ ი ს ი ა (ჩაფიქრებული). მაშ, ქორწილში მეწვიეო? ნეტა რა აქვთ გუნებაში! ცოლი უნდა შერთონ? იცოდე, მიკიტკა: თუ შენი ოინებია, მე ვიცი, რასაც ვიზამ... არა, არ შემიძლია უმისოდ ცხოვრება! არსადაც არ გავუშვებ.

გამოსვლა მერვე

ანისია და ნიკიტა.

ნ ი კ ი ტ ა (შემოდის, მიმოიხედავს, რაკი ნახავს, რომ ქალი მარტოა, მიეახლება. ჩურჩულით:) ხათაბალაა, ძმობილო. მამა ჩამომივიდა. შინ უნდა წამიყვანოს, აგრე ბრძანა. ცოლი უნდა შეგრთო, შინ იყავი, მორჩა და გათავდაო.

ა ნ ი ს ი ა. ჰოდა, შეირთე, მე რა?

ნ ი კ ი ტ ა. ერთი ამას დამიხედეთ: მე თავს ვიმტვრევ, უკეთესად როგორ მოვაწყო-მეთქი საქმე, ეს კი, აგე, ცოლის შერთვას მიბრძანებს! ვითომ რატომაო? (თვალს უკრავს). დაგავიწყდა განა?

ა ნ ი ს ი ა. შეირთე, ძალიანაც არა მჭირდება...

ნ ი კ ი ტ ა. რა არი, რასა წიკვინებ? დახეთ, ხელსაც არ მაკარებინებს. რა არი, რას მენაზები?

ა ნ ი ს ი ა. რა არი და, ჩემი მიგდება გინდა... ჰოდა, არც მე მჭირდები, მოვრჩი და გავათავე!

ნ ი კ ი ტ ა. კარგი, ანისია, როდის გითხარი, დაგივიწყებ-მეთქი? თავის დღეში არა! ესე იგი, განა მიგატოვებ, აი, რასა ვფიქრობ: შემრთონ რა, ისევე შენთან ვიქნები. ოღონდ შინ არ წამიყვანონ და...

ა ნ ი ს ი ა. ძალიანაც არა მჭირდები ცოლიანი კაცი!

ნ ი კ ი ტ ა. მაშ რა ვქნა, ძმობილო, მამაჩემის სიტყვას ვერ გადავალ, არ შეიძლება.

ა ნ ი ს ი ა. მამაშენს ტყუილად იხვევ ხელზე, ყველაფერი შენი მოგონილია. კარგა ხანია, იმ შენს მარინკას ეკურკურები, იმ თხუპნია ჭომბიოს! იმან მოგიქონა თავი. ტყუილად კი არ მოგაკითხა ამასწინეებზე.

ნ ი კ ი ტ ა. მარინკაო?! რა თავში ვიხლი! ერთი და ორი კი არ მეკიდება კისერზე!

ა ნ ი ს ი ა. აბა, მამაშენი რიღასთვის ჩამოვიდა? შენ დაიბარე! სულ მატყუებდი! (ტირის).

ნ ი კ ი ტ ა. ანისია! ღმერთი არა გწამს? ფიქრშიაც კი არ გამივლია! არც არაფერი ვიცი, არც არაფერი მინდა ვიცოდე! სულ ბერიკაცმა მოიგონა, იმის მოფიქრებულია ყველაფერი.

ა ნ ი ს ი ა. შენ რომ არ გინდოდეს, სხვა რა, ქოჩრით წაგათრევს?

ნ ი კ ი ტ ა. არც მშობლების თავზე გადახტომაა კარგი, მე მგონია. ამას ვერ ვიზამ.

ა ნ ი ს ი ა. გაჯიუტდი და მორჩა.

ნ ი კ ი ტ ა. ერთი კაცი ვიცი, ეგრე გაჯიუტდა და თემში დაიბარეს, მისცხეს შენი მოწონებული. არ სჭირდება დიდი წილადობილა. ჰოდა, აღარც მე მინდა: ამბობენ, ვერ არი მთლად ტკბილიო.

ა ნ ი ს ი ა. რა დროს ხუმრობაა! აი, მე მომისმინე, მიკიტა: მარინას თუ შეირთავ, არ ვიცი, რა ვიზამ... თავს არ ვიცოცხლებ, იცოდე! ცოდვა ჩავიდინე, ქალმა თავი მოვიჯაყე, ახლა შენი წასვლა როგორ იქნება! წახვალ და მე ვიცი...

ნ ი კ ი ტ ა. აბა, მე რომელი წამსვლელი მნახე? წასვლა თუ მინდოდა, აქამდე ათასჯერ წავიდოდი. ამასწინეებზე ივან სემიონიჩმა დამიბარა, მეეტლედ აგიყვანო... არადა, იქ არი, თუ არი, ცხოვრება! მაინც არ წავედი. მე მგონია, ყველასთან მაქვს მისასვლელი პირი. გული რომ არ გქონდეს ჩემზე, რო არ გიყვარდე, მაშინ სხვა საქმეა.

ა ნ ი ს ი ა. ჰოდა, კარგად დაიმახსოვრე, რაც გითხარი. ეს ბერიკაცი დღეს არა — ხვალ მოკვდება, ჩვენს ცოდვებსაც ადვილად ჩავფარცხავთ. ვფიქრობდი, ჯვარს დავიწერთ-მეთქი, აქაურობის პატრონი იქნებოდი...

ნ ი კ ი ტ ა. ხვალისა ხვალემ იცოდეს, მე რა? მე, რაც შემიძლია, ვცდილობ, ვმუშაობ. ბატონს არ ვძულვარ, აგერ მის ცოლსაც ვყვარებივარ. რა ჩემი ბრალია, ქალებს რო ვუყვარვარ, რა დიდი ამბავი ეგ არი.

ა ნ ი ს ი ა. მაშ, გეყვარები?

ნ ი კ ი ტ ა. (ეხვევა). მეყვარები და ეგრე? სულ ჩემს გულში ხარ ხოლმე...

გამოსვლა მეცხრე

ი გ ი ნ ი ვ ე დ ა მ ა ტ რ ი ო ნ ა (შემოდის და კარგა ხანს პირჯვარს იწერს ხატების წინაშე. ნიკიტა და ანისია ერთმანეთს შორდებიან).

მ ა ტ რ ი ო ნ ა. არც არაფერი დამინახავს და არც არაფერი მსმენია. ქალს გაეთამაშე? — რა მოხდა მერე, ხბო რო ხბოა, იმასაც უყვარს ბუსკნაობა. რატომაც არ უნდა გაეთამაშო, ჯეელი ხალხი ხართ. შენა, შვილო, ბატონი გეძახის ეზოში.

ნ ი კ ი ტ ა. აგერ, ცული მინდოდა, იმაზე შემოვედი.

მ ა ტ რ ი ო ნ ა. ვიცი, ვიცი, გენაცვა, რა ცულიც აგიტყდა. უფრო მეტად ქალებთან ძევს ხოლმე ეგ თქვენი ცული.

ნ ი კ ი ტ ა. (იხრება, ცულს იღებს). რა იყო, დედილო, მართლა დაქორწინებას მიპირებთ? მე მგონია, სულ ტყუილად იწუხებთ თავს. იქნება, მე არა მაქვს ეგ სურვილი!

მ ა ტ რ ი ო ნ ა. ეიჰ! რაღა დაქორწინება გინდა: აგერ ხარ და იყავი. სულ მამაშენის ხუსტურებია. ძირს ჩადი, ჩემო გვრიტო, უშენოდაც მოვაწყობთ ამ საქმეს.

ნ ი კ ი ტ ა. სასწაულია, მართლა და მართლა: ჯერ — დაგაქორწინებთო, ახლა — არაო. ამათი ვერაფერი გამიგია. (გადის).

გამოსვლა მეათე

ა ნ ი ს ი ა დ ა მ ა ტ რ ი ო ნ ა.

ა ნ ი ს ი ა. რა ამბავია, მატრიონა დეიდა, მართლა ცოლის შერთვას უპირებთ?

მ ა ტ რ ი ო ნ ა. რა ჯანდაბით უნდა შევრთოთ, რა დიდი სკივრები ჩვენ გვიდგა? აგე, ბერიკაცი ბჟუტურობს რაღაცას, უნდა შევრთოთო, დაუჩემებია. რა მაგისი ჭკუის საქმეა. ხომ გაგიგია: კაცს ბუმბულში აწვენდნენ და ფუჩეჩ-ფუჩეჩო — ეგ საქმეც ეგრეა, სულიკო. განა მე ვერა ვხედავ (თვალს უკრავს), ხვალ-ზეგ რა იქნება?

ა ნ ი ს ი ა. ჰოდა, შენ რაღა დაგიმალო, მატრიონა დეიდა, ისედაც იცი ყველაფერი. ცოდვაში ჩავდგი ფეხი, შენი ბიჭი შემიყვარდა.

მ ა ტ რ ი ო ნ ა. მითხარი შენც ახალი ამბავი, ბაიბურში არ ვიყავი მე საწყალი! ეეჰ, ბღარტო, მატრიონა დეიდას გაუგებელი რა იქნება, დედაკაცი ცხრა ნემსის ყუნწში ვარ გამძვრალი, ცხრა დარჯაკში გატარებული! აგერ გითხრა: მატრიონა დეიდამ მიწაში რა არი, ისიც კი იცის, შემოგევლე. ყველაფერი ვიცი, სულიკო. ისიც კი ვიცი, ჯეელ დედაკაცს ზოგჯერ ძილის წამალი რომ უნდა. აგე, მოგიტანე. (თავსაფრის ყურს ხსნის, ქაღალდში გახვეულ რაღაც ფხვნილს იღებს). საჭირო რაც არი, იმას კიდევაც ვხედავ, რაც არ არი საჭირო — არც ვიცი და არც მინდა ვიცოდე. ასეა, მაშ! მატრიონა დეიდაც ჯეელი იყო თავის დროზე. ამ ჩემი რეგვენის ხელში გაძლება არ გინდოდა? — ამასაც ჭკუა სჭირდება, ათასი ხვრელი ვიცი, საყვარელო. აგერ, თქვენს ამბავს ვუყურებ: ძაან მოტყდა, ძაან დაჯანდაგდა ეს შენი ბერიკაცი, ამქვეყნის აღარ არი.

ფიწალი რო შეურჭო, ერთ ცვარ სისხლსაც ვერ გამოადენ. დიდ-დიდი, ამ გაზაფხულს გააწიოს, მერე დამარხავ და მოგჭამა ჭირი. ვიღაცა ხო უნდა გყავდეს შინ? ჰოდა, აგერ, ჩემი ბიჭი რით არ არი კაცი, რითია სხვაზე ნაკლები? ახლა შენ მითხარი: რა გგონია, სულელი ვარ, ავდგე და შვილი კეთილ საქმეს მოვწყვიტო? საკუთარი შვილის მტერი გავხდები?

ა ნ ი ს ი ა. ოღონდ აქედან არ წავიდეს და...

მ ა ტ რ ი ო ნ ა. აღარ წავა, ჭირიმე, სისულელეა ყველაფერი. ხომ იცი ჩემი გამოჩურჩუტებული ბერიკაცის ამბავი: თუ რამე დაიჟინა, მორჩა, ვეღარ ამოუგდებ თავიდან.

ა ნ ი ს ი ა. კი მაგრამ, როგორ დაიწყო ეს საქმე?

მ ა ტ რ ი ო ნ ა. როგორ და, შენც იცი, რანაირია ქალებში, თანაც, რომ ვთქვათ, ლამაზი ბიჭიც ჰქვია... ჰოდა, რკინიგზაზე მუშაობდა, იცი შენ, რკინიგზაზე კიდე, ვიღაც უპატრონო გოგო ყოფილა, მოახლედ მდგარა. დაუწყია ამ ჩემი ბიჭისთვის თვალის პრაწვა, გადაკიდებია...

ა ნ ი ს ი ა. მარინკა, არა?

მ ა ტ რ ი ო ნ ა. ჰო, მეხი კი მაგას დავაყარე! არ ვიცი, რამე თუ ჰქონდათ ერთმანეთში, არადა, ვიღაცამ ჩააწვეთა ყურში ბერიკაცს. იქნება ვინმემ უთხრა, ანდა, იქნება თვითონ მაგ გომბიომ დასწამა ცილი!..

ა ნ ი ს ი ა. დახე, რა თამამი ყოფილა ეგ უნამუსო!

მ ა ტ რ ი ო ნ ა. ატყდა ეს ჩემი ჩურჩუტი ბერიკაციც, ცოლად უნდა შევრთოთ, გოგოს ნამუსი მოვწმინდოთო. წავიდეთ და ბიჭი შინ წამოვიყვანოთო. რა არ ვეცადე, მაგრამ ვინაა დამჯერი! მერე ვიფიქრე: კარგი და პატიოსანი, ჩემებურად მოვუვლი-მეთქი საქმეს. მაგ შტერებს სხვანაირად უნდა მოუქონო თავი, ჩემო კარგო; ისე უნდა ჰქნა, ვითომ ყველაფერში ეთანხმები. საქმე საქმეზე რომ მიდგება, მერე შენს ჭკუაზე შეატრიალებ ყველაფერს. კი იცი შენ დედაკაცის ამბავი: დღეში ცხრა პარასკევი აქვს, ეშმაკზე ერთი დღით ადრეა დაბადებული, კაცი რას მიუხვდება! აბა, რა უნდა გითხრა, მართლაც კარგი საქმე ჩანს-მეთქი, ვუთხარი. ოღონდ, ჯერ ცოტა დავფიქრდეთ მაინც, ბიჭი ვნახოთ, პიოტრ იგნატიჩსაც დავეკითხოთ, იქნება რამე გზიანი გვირჩიოს-მეთქი. აგერ, კიდეც მოვედით.

ა ნ ი ს ი ა. ოჰ, დეიდა, ეგრე როგორ იქნება, რა იცი, მამამისი რას უბრძანებს!

მ ა ტ რ ი ო ნ ა. უბრძანებსო? უბრძანებს კი არა ხვიშტი, ვინ უყურებს მაგის ბრძანებას! შენც ნურაფრის გეშინია ,არ მოხდება ეგ საქმე. აგერ, დავჯდებით და ყველაფერს ისე ჩავუჭიკჭიკებ შენს

ქმარს, ბრდღვირიც აღარ დარჩება! განა რისთვის წამოვედი — გულისხმაში უნდა ჩავაგდო. ბიჭი თაფლის კასრში მყავს, დღეს-ხვალ ბედს უნდა ეწიოს და, მე რა, ვიღაც ქვეყნის ნათრევს შევრთავ? სულელი კი არა ვარ!

ა ნ ი ს ი ა. იმ გომბიომ აქაც კი მოაკითხა. დაიჯერებ, დეიდა? — ამ ცოლის შერთვის ამბავი რომ გავიგე, გინდაც დანა დაგერტყათ გულში. არადა, მგონია, ამასაც უყვარს.

მ ა ტ რ ი ო ნ ა. რას ამბობ, შემოგევლე! სულელი ნუკი გგონია, ვიღაც უპატრონო კახპას როგორ შემოიყვანს სახლში! ძალიანაც ჭკვიანია, რო იცოდე! იცის, ვინ უყვარდეს და ვინ არა. ფიქრი ნუ გაქვს, ჩემო კარგო, თავის დღეში არ წავიყვანთ, არც ვინმეს შევრთავთ. თქვენ ცოტა რამე ფული გვიბოძეთ და იყოს აქა, იცხოვროს.

ა ნ ი ს ი ა. ასე მგონია, მიკიტა თუ წავა, თავს არ ვიცოცხლებ-მეთქი.

მ ა ტ რ ი ო ნ ა. ეგრეა ახალგაზრდობა. განა ადვილია! მარწყვივით ქალი ხარ, ეგეთ ჩაჩანაკთან გაძლება არ გინდა!..

ა ნ ი ს ი ა. აი, თუ დამიჯერებ: მომსპო, გამაბეზრა ამ ძაღლმა, ქოფაკმა, შეხედვაც კი არ მინდა!

მ ა ტ რ ი ო ნ ა. აბა როგორ, ასე იქნება. მოდი, რა გაჩვენო. (მიმოიხედავს, ჩურჩულით:) ა იმ ბერიკაცთან მივედი წამალზე, აგე, ფხვნილი მომცა. აბა ნახე: ძილის წამალიაო. ერთი ცალი ისე დააძინებს, გინდაც ქვეყანა დაიქცეს, მაინც ვერაფერს გაიგებსო. ეს მეორე კიდე, არაფერი სუნი არ უდის, არადა, ძაან მაგარი ყოფილა. დღეში შვიდჯერ ასვი, თითო დალევაზე ერთი თითის დაწებაო. შვიდჯერ უნდა მისცე. დაალევინებს და მორჩა, დაადგება საშველიო.

ა ნ ი ს ი ა. ოჰო... რა არი ეგეთი?

მ ა ტ რ ი ო ნ ა. თანაც არც რაიმე კვალს ტოვებსო. მანეთი გამომართვა, არა ჰქნა ნაკლებად. მისთვისაც განა ადვილი საშოვნელია! რა მექნა, ავდექი და ჩემი ფული მივეცი. მოდი, მიხაილოვნას წავუღებ, თუ აიღებს, აიღებს, თუ არადა, მისი საქმეა-მეთქი.

ა ნ ი ს ი ა. ვაიმე, იქნება რამე შარია, რა იცი?..

მ ა ტ რ ი ო ნ ა. შარი რა სათქმელია, შემოგევლე! კარგად გყოლოდა ქმარი, ვინ ოხერი, მაგას რა სჯობდა, მაგრამ რო აღარა აქვს სასიცოცხლო პირი? მიწას ამძიმებს და მეტი არაფერი. რა დიდი ამბავია...

ა ნ ი ს ი ა. ვაი ჩემს თავს, უბედურს !მეშინია, დეიდა, ემანდ ცოდვაში არ ჩავდგა ფეხი. არა, ეს როგორ იქნება...

მ ა ტ რ ი ო ნ ა. ისეც შემიძლია, ავდგე და უკან მივუტანო...

ა ნ ი ს ი ა. ესეც იმასავით, აი, წყალში გავძრა ხოლმე, არა?

მ ა ტ რ ი ო ნ ა. ჩაიში უფრო კარგიაო. თანაც არც კვალს ტოვებს, არც სუნი აქვს და არც არაფერიო. სულელი ნუკი გგონია, ისიც თავიანი კაცია, მაშ!

ა ნ ი ს ი ა (ილებს ფხვნილს). ოჰ, უბედურო ჩემო თავო! განა ვიზამდი ასეთ რამეს, ამ კატორღაში არ ვიყო ჩავარდნილი!

მ ა ტ რ ი ო ნ ა. მანეთი არ დაგავიწყდეს. ვუთხარი, მოგიტან-მეთქი. იმასაც ათასი საჩალიჩო აქვს.

ა ნ ი ს ი ა. მოგცემ. ვიცი. (მიდის სკივრთან, წამალს მალავს).

მ ა ტ რ ი ო ნ ა. რაც შეიძლება კარგად დამალე, ვინმემ არ ნახოს. ღმერთმა დაგვიფაროს და, თუ ნაიეს, აბანოს ჭიების გასაწყვეტად მაქვს-თქო, ასე უთხარი... (ფულს ართმევს). აბანოს ჭიებსაც ხოცავს... (ლაპარაკს წყვეტს).

გამოსვლა მეთერთმეტე

ი გ ი ნ ი ვ ე, პ ე ტ რ ე და ა კ ი მ ი. აკიმი პირჯვარს იწერს ხატების წინაშე.

პ ე ტ რ ე (შემოდის და ჯდება). აბა, რას იტყვი, აკიმ ძია, ჰა?

ა კ ი მ ი. უკეთესად მინდა მოეწყოს, იგნატიჩ, სიტყვაზე ვთქვათ... ასე, უფრო უკეთესად... აი, ცუდი რამე რომ არ იყოს... ესე იგი, თავის ქეიფზე სიარული და ეგეთი რამე... კი მინდოდა, სიტყვაზე ვთქვათ... რამე საქმეზე მიმეპირებინა ბიჭი... წინააღმდეგი თუ არ იქნებოდი... უკეთესად რომ იყოს, სიტყვაზე...

პ ე ტ რ ე კეთილი და პატიოსანი. ჩამოჯექი, მოვილაპარაკოთ.

აკიმი ჯდება.

მაშ, გინდა ცოლი შერთო?

მ ა ტ რ ი ო ნ ა. ცოლის შერთვას გადადებდა კაცი, პიოტრ იგნატიჩ. ხო იცი ჩვენი გაჭირვება, რა ქორწილის თავი ჩვენა გვაქვს, კუჭი ვერ გაგვიძღია. რა გვექორწილება!

პ ე ტ რ ე. ჰოდა, მოიფიქრეთ, როგორც აჯობოს.

მ ა ტ რ ი ო ნ ა. ცოლის შერთვაც რა საჩქაროა. განა უბრალო რამ არი. ვინ მოგვდევს, ნეტავი.

პ ე ტ რ ე. რატომ, დაოჯახება კარგი საქმეა.

ა კ ი მ ი. მინდოდა, მაშასადამე, სიტყვაზე... რაღაც პატარა სამუშაო გამოვიწყე ქალაქში... ჩემთვის რა უშავს, სიტყვაზე... ჰოდა, ვიფიქრე...

მ ა ტ რ ი ო ნ ა. მაგასაც თუ სამუშაო ჰქვია და! რაღაც ორმოები უნდა წმინდოს აქოთებული! ამასწინაზე მოვიდა, ისე ყარდა, პირის ღებინება ამიტყდა, სულ ამომიბრუნდა გულ-გვამი, ფუჰ!..

ა კ ი მ ი. ეს მართალია, თავიდან მართლა ცუდია, სიტყვაზე... ცუდი სუნი, რაღა. მაგრამ მიეჩვევი და იმდენი არაფერი... აი, თხლე რო გინახავს, ეგეთი სუნია... აიტანს კაცი. თანაც გლეხკაცისათვის სუნი რა ბედენაა, ტანსაცმელს გამოიცვლი, სიტყვაზე, და მორჩა. ჰოდა, ვიფიქრე, იყოს-მეთქი შინ... სახლ-კარს მიხედავს, მე კიდე, ბარემ ქალაქში წავიდოდი, სიტყვაზე...

პ ე ტ რ ე. მაშ, გინდა შინ დატოვო. კარგი და პატიოსანი. მაგრამ ფული რო გაქვთ აღებული, ამას რა ვუყოთ?

ა კ ი მ ი. ამას მართალს ამბობ, იგნატიჩ, ესე იგი... რაც მართალია, მართალია. დაიქირავე კაცმა, ფული მიეცი — ესე იგი ნაყიდი ჰქვია, სიტყვაზე... აბა რას იზამს, იმუშავებს, გადაიხდის. ცოლი კი მაინც უნდა შევრთო... ამაზე გითხარი, გამოუშვი ერთხანობას, იგნატიჩ...

პ ე ტ რ ე. კი ბატონო, ამაზე უარს არ გეტყვი.

მ ა ტ რ ი ო ნ ა. ოღონდ, ჯერ არც ჩვენ გვაქვს ერთი პირი, პიოტრ იგნატიჩ... გინდაც ღმერთი ყოფილხარ, აი, ეგრე გაგიტყდები: გაგვსაჯე მე და ეს კაცი. აიჩემა, ცოლი შევრთოთ და ცოლიო. აბა, ახლა ჰკითხე, ვინ უნდა შერთოს? კარგი საპატარძლო იყოს, ვინ ოხერი, განა ჩემი შვილის მტერი ვარ, მაგრამ ერთი სახელგატეხილი გომბიოა და, აბა, რა ვუყო!

ა კ ი მ ი. ამას კი ტყუილს ამბობ! სულ ტყუილად ლანძღავ გოგოს. სულ ტყუილია. თვითონ ჩვენმა ბიჭმა უხიმანკლა რაღაცა. თვითონ გოგო უჩივის, სიტყვაზე, იმასა აქვს საჩივარი...

პ ე ტ რ ე. ეგეთი რა საჩივარია განა?

ა კ ი მ ი. ეტყობა, რაღაცა ჰქონდათ ერთმანეთში... ჩემს ბიჭთან, სიტყვაზე...

მ ა ტ რ ი ო ნ ა. შენ მე დამაცადე, მე მალაპარაკე. მე უფრო ამდის ხელზე ლაპარაკი — მე ვიტყვი. თავად იცი, ბატონო, რკინიგზაზე იყო ჩემი ბიჭი, სანამ შენ დაგიდგებოდა.. გადაეკიდა იქ ეს გოგო, კაი მიამიტი ვიღაცა, მარინკა ჰქვია თუ რა ჰქვია — მოახლედ მდგარა მაგათთან არტელში. ახლა დაუფჩენია პირი, ვითომ ჩემს ბიჭს შეეცდინოს... ეს მარინკაა თუ ვიღაცა...

პ ე ტ რ ე. ვერ არი კარგი ამბავი.

მ ა ტ რ ი ო ნ ა. ერთი ნათრევი ქალია, უზნეო და თახსირი, კაცებში დაწანწალებს და ეგაა.

ა კ ი მ ი. კიდევ შენსას მიერეკები, დედაკაცო... სულ შენსას, მაშასადამე, სიტყვაზე...

მ ა ტ რ ი ო ნ ა. მარტო ეგ იცის ამ ჩემმა შევარდენმა: „სიტყვაზე“ და „სიტყვაზე“, აიჩემა. რა არი, ერთი, ეს „სიტყვაზე“, არც თვითონ იცის. შენ, პიოტრ იგნატიჩ, ხალხს დაეკითხე. გეტყვიან, რა შვი-

ლიცაა. ყველა ჩემსავით გეტყვის. ხომ გეუბნები: ერთი გავარდნილი დედაკაცია, არც სახლი აქვს და არც კარი!

პ ე ტ რ ე (აკიმს). მეტი რა გზაა, აკიმ ძია, თუ ეგრეა საქმე, აბა რისთვის უნდა შერთო. გატეხილი ქვაბი ხომ არ არი, ადგე და გაამთელო. გინდაც რძალი იყოს, რა შეღავათია.

ა კ ი მ ი (აღელვებით). ცოდვას ამბობს ეს დედაბერი, ცოდვას ამბობს, ღმერთმანი... ძალიანაც კარგი გოგოა, მართლაც კარგი... თანაც მეცოდება, სიტყვაზე...

მ ა ტ რ ი ო ნ ა. ახლა შენც წმინდანი ნუ გამომიხვედი აქა. კაცი მთელ ქვეყანას ედებოდა, შინ კიდე ოჯახი მშიერი ესხდა, ძაფი არ ჰქონდა თითზე გადასახვევი! გოგო გეცოდება და შვილი არა? მიდი აბა და ჩამოიკიდე კისერზე. დამიწყებს აქ ლაყაფს!

ა კ ი მ ი. არა, ლაყაფი ეს არ არი.

მ ა ტ რ ი ო ნ ა. შენ მე ნუ მისწრებ, მაცალე — მე ვთქვა.

ა კ ი მ ი (აწყვეტინებს). არაფერი ლაყაფი ეს არ არი. სულ შენს ტიბიკონზე გადაგყავს ყველაფერი. ამ გოგოს ამბავია თუ სხვა რამე, როგორც შენთვის უკეთესია, სიტყვაზე... მაგრამ ღმერთი ხომ არი, იმას თავისი ტიბიკონი აქვს, იცის — რა როგორ იყოს; ახლაც ისე იქნება, ღმერთს როგორც სწადია.

მ ა ტ რ ი ო ნ ა. ეჰ, შენ გელაპარაკა ჩემი მტერი!

ა კ ი მ ი. კაი მუშა გოგოა, ქალადაც ვარგისი, მერე — თავისი თავის ანაბარაა: ამ ჩვენს გაჭირვებაში მეტი რა გვინდა, სიტყვაზე... ქორწილიც იაფი დაგვიჯდება და ყველაფერი. მერე, რაც მთავარია, ობოლი გოგოა, ცოდოა...

მ ა ტ რ ი ო ნ ა. აჰყევი სხვების სიტყვას და კარგად იქნება...

ა ნ ი ს ი ა. აკიმ ძია, შენ ჯობია ამას დაუჯერო, არ ლაპარაკობს ცუდს.

ა კ ი მ ი. მაგრამ ღმერთი ხომ არი მაღლა, ღმერთი! ეს გოგოც ადამიანი არაა? ეგეც ადამიანია, სიტყვაზე, მაშ რა. ღმერთის გაჩენილია ეგეც. აბა რა გგონია!

მ ა ტ რ ი ო ნ ა. აი, გაბა...

პ ე ტ რ ე. აკიმ ძია, იცი, რა გითხრა: ამ გოგოების დაჯერებაც არ ვარგა, ღმერთმანი. აგერ არ არის ეგ შენი ბიჭი, აკი ცოცხალია? ჰოდა, დავუძახოთ, დავეკითხოთ მაგასაც, ვკითხოთ: მართალია თუ ტყუილია? სულს ხომ არ წაიწყმენდს კაცი. აბა, ერთი, გადით, დაუძახეთ!

ანისია დგება.

უთხარი, მამაშენი გეძახის-თქო.

ანისია გადის.

გამოსვლა მეთორმეტე

ი გ ი ნ ი ვ ე, ანისიას გარდა.

მ ა ტ რ ი ო ნ ა. ეს მართლაც კარგად თქვი, წყალი არ გაუვა. მოვიდეს და თვითონა თქვას. ახლანდელ დროში ძალით ვერავინ დაგაქორწინებს, თუ კაცს არ გინდა. ვკითხოთ აბა. თავის დღეში არ ინდომებს იმის შერთვას, თავს არ მოიჭრის. ისევ ჯობია, ამ ჩემი მოკლე ჭკუით, იყოს აქა და გემსახუროს. ზაფხულშიაც რაღაზედ წავიყვანოთ, დავიქირავებთ ვინმეს და ის იქნება. შენ ოღონდ ერთი თუმნიანი მოგვეცი და, ვინ ოხერი, იყოს აქა, იცხოვროს.

პ ე ტ რ ე. ეს ლაპარაკი მერე იყოს, ყველაფერს თავისი რიგი აქვს. ჯერ ერთი მოითავე, მერე სხვა დაიწყე.

ა კ ი მ ი. მე იმაზე ვფიქრობ, პიოტრ იგნატიჩ, რაც არი... ზიხარ აგერ კაცი, ფიქრობ შენთვის რაღაცას, არადა, სულ გავიწყდება, ღმერთიც რომ არის ქვეყანაზე... უკეთესად როგორ ვქნაო, ხარ ამ ფიქრში, სიტყვაზე... უცებ, გავიხედოთ და, ცოდვაში ჩაგვიდგია ფეხი! კარგი გინდოდა და ცუდი გამოვიდა, ღმერთი არ გვახსოვდა და მაგიტომ. ასეა.

პ ე ტ რ ე. ეს რასაკვირველია! ღმერთი უნდა გვახსოვდეს, მაშ როგორ.

ა კ ი მ ი. ჰოდა, ცუდი გამოდის... აქეთ კიდე, უფლის მცნებაზე თუკი დგახარ, კიდეც გიხარია კაცს, ხალვათად გაქვს გული, სიტყვაზე... მეცა ვთქვი, დავაქორწინებ ამ ბიჭს, ცოდო რამე არ იყოს-მეთქი... იქნება შინ, როგორც წესი და რიგია, მე კიდე, ქალაქში ვიჩალიჩებ, სიტყვაზე... ძაან კარგი სამუშაოა, ხელსაყრელი... თანაც უფლის მცნებასაც არ გადავალთ, ეგეც არი... ცოდოა გოგო, ობოლია. აგერ, მაგალითი გითხრა: ზაფხულში ეგრე შეშა მოჰპარეს მოურავს. გავაცურეთო, იფიქრეს. მოურავი კი გააცურეს იქნება, მაგრამ ღმერთი ხომ არი, ღმერთი ვეღარ გააცურეს... ეგრეა.

გამოსვლა მეცამეტე

ი გ ი ნ ი ვ ე, ნ ი კ ი ტ ა და ა ნ ი უ ტ კ ა.

ნ ი კ ი ტ ა. მე მიკითხეთ? (ჯდება, თამბაქოს იღებს).

პ ე ტ რ ე (ხმადაბლა, საყვედურით:) შენ რაო, ზრდილობა აღარ იცი? მამაშენს სალაპარაკო აქვს შენთან, შენ კი დამჯდარხარ და თამბაქოც დამიწყე... მოდი აქ, ადექი!

ნიკიტა მაგიდასთან დგება, ზედ ზანტად ეყრდნობა იდაყვით, იღიმება.

9308 49.764

ა კ ი მ ი. საჩივარია შენზე, მიკიტა, ეგრეა... საჩივარი, მაშასადამე.

ნ ი კ ი ტ ა. ვინ მიჩივის რო?

ა კ ი მ ი. ვინა? გოგო, ობოლი გოგო გიჩივის. სწორედ შენ გიჩივის... მარინა, სწორედ...

ნ ი კ ი ტ ა (იცინის). სასწაულია პირდაპირ! მაინც რა საჩივარია? ვინ გითხრა, თვითონ მარინამ, არა?

ა კ ი მ ი. მე შენ გეკითხები, შენ კიდე, პასუხი უნდა გამცე. გქონდა საქმე იმ გოგოსთან? სიტყვაზე, რამე საქმე გქონდა?

ნ ი კ ი ტ ა. ვერ გავიგე, რას მეკითხებით, ბაიბურშიც არა ვარ.

ა კ ი მ ი. რამე სისულელე თუ გქონდათ ერთმანეთში, სიტყვაზე, მიქარვა რამე...

ნ ი კ ი ტ ა. მერე რა, ადგები კაცი ხანდახან და გაეხუმრები დარდიან გულზე მოახლე გოგოს. ანდა გარმონს დაუკრავ და ათამაშებ, დაიქცა ამითი ქვეყანა? მეტი რა მიქარვა უნდა ყოფილიყო?

პ ე ტ რ ე. შენ, მიკიტა, რაღაცეებს კი ნუ კიბავ, იმას უპასუხე, რასაც მშობელი გეკითხება.

ა კ ი მ ი (აღტყინებით). მიკიტა, იცოდე, ხალხს დაუმალავ, მაგრამ ღმერთს კი ვეღარა! დაფიქრდი, ტყუილს ნუღა მეტყვი. ობოლი გოგოა, არ ივარგებს მაგის დაჩაგვრა! შენ ისე თქვი, სიტყვაზე, საქმისთვის რომ სამჯობინო იყოს...

ნ ი კ ი ტ ა. აბა, რა უნდა ვთქვა, როცა არაფერია სათქმელი. ყველაფერსაც იმიტომ ვამბობ, რომ არაფერია სათქმელი. (გაფიცხდა). თვითონ კი, ბატონო, რას არ იტყვის! თუ ხმა არ გაგცა კაცმა, იცოცხლე, იბჟუტურებ, რასაც გინდა! მაშ, ფედკა მიკიშკინზე რატო არა თქვა? ეს რა, ისეთი დრო დადგა, ქალთან გახუმრებაც აღარ შეიძლება? მაგას კიდე, რაც ენაზე მოადგება, ის ილაპარაკოს, არა?

ა კ ი მ ი. ოჰ, მიკიტა, იცოდე, ტყუილს მოკლე ფეხი აქვს, ბოლოს მაინც გამოჩნდება. იყო რამე, სიტყვაზე, თუ არ იყო?

ნ ი კ ი ტ ა (გვერდზე). დახეთ, როგორ გადამეკიდნენ, მართლა და მართლა. (აკიმს). გეუბნებით, არაფერიც არ ყოფილა. არაფერი ისეთი არ მქონია მაგასთან. (გაბოროტებით). აგერ მე და აგერ ღმერთი, ცოცხალი არ გავიდე აქედან. (პირჯვარს იწერს). არაფერი არ ვიცი. (დუმილი. ნიკიტა უფრო მეტი გაფიცხებით განაგრძობს:) მართლა ცოლად გინდათ შემრთოთ? ხათაბალაა, ღმერთმანი. თანაც, ახლა არავისა აქვს უფლება, ადგეს და ძალათი შემრთოს ვინმე. ძალიანაც კარგად! აგერ, ხომ დავიფიცე, არაფერი ვიცი, მორჩა და გათავდა.

მ ა ტ რ ი ო ნ ა (ქმარს). აი, ამიტომაც გეუბნები: სულელი ხარ, ლენჩი. ვიღაცა რაღაცას გეტყვის და ყველასი გჯერა ხოლმე. ტყუილუბრალოდ დააფეთე ბავშვი. იყოს, როგორც არის, ბატონთან, იცხოვროს აქა. ბატონი აგე, ერთ თუმნიანს მოგვცემს ამ გაჭირვებულ ხალხს და მორჩა საქმე. მოვა მაგისი დროც, ცოლს შევრთავთ, მაშ რას ვიზამთ!

პ ე ტ რ ე. აბა, რას იტყვი, აკიმ ძია?

ა კ ი მ ი (ენას ამწლაკუნებს. შვილს:) იცოდე, მიკიტა, ცოდვა სუყველგან მოგეწევა, ვერსად გაექცევი! ცუდი არაფერი ჩაიდინო, სიტყვაზე, ცოტათი დაფიქრდი!

ნ ი კ ი ტ ა. მე რა მაქვს დასაფიქრებელი, შენ თვითონ დაფიქრდი. (ჯდება).

ა ნ ი უ ტ კ ა. წავალ, დედას შევატყობინებ. (გარბის).

გამოსვლა მეთოთხმეტე

პ ე ტ რ ე, ა კ ი მ ი, მ ა ტ რ ი ო ნ ა და ნ ი კ ი ტ ა

მ ა ტ რ ი ო ნ ა. (პეტრეს). აი, ეგრეა, პიოტრ იგნატიჩ, ეგეთი შფოთისთავი მყავს. რამე თუკი ჩაიჭედა თავში, მორჩა, ვეღარ ამოაგდებინებ. ტყუილუბრალოდ შეგაწუხეთ კაცი. იყოს, როგორც აქამდე იყო, შენთან... შენი მსახურია და გყავდეს, ბატონო.

პ ე ტ რ ე. შენ რას იტყვი, აკიმ ძია, რა ვქნათ?

ა კ ი მ ი. რა და, მე ჯერ არ ვაძლევ ნებას... არადა, სიტყვაზე, კი მინდოდა...

მ ა ტ რ ი ო ნ ა. თვითონაც არ იცი, რას იბლანდები! იყოს, პიოტრ იგნატიჩ, გყავდეს, როგორც აქამდე გყავდა. თვითონაც არ უნდა წამოსვლა. ჩვენც, არა უშავს, გავწვდებით როგორმე ჩვენს საქმეს

პ ე ტ რ ე. ერთიც გითხრა, აკიმ ძია: თუ ზაფხულში წაიყვან, ზამთარში არც მე მჭირდება. თუკი დარჩება, მთელი წლით უნდა დარჩეს.

მ ა ტ რ ი ო ნ ა. მთელი წლით დარჩება, მაშ როგორ. ზაფხულში, თუ გაჭირდა, ჩვენც დავიქირავებთ ცოტა ხნით ვინმეს. ეგ კი აქ იყოს, შენა გყავდეს. ოღონდ თუმანი გვიბოძე და...

პ ე ტ რ ე. მაშ, კიდევ ერთი წლით, არა?

ა კ ი მ ი (ამოოხვრით). რა გზაა, ეტყობა ეგრეა. ჰოდა, ეტყობა, ეგრეა... მე რა ვუყო, სიტყვაზე...

მ ა ტ რ ი ო ნ ა. კიდევ ერთი წლით, ამ შაბათიდანაა სათვალავი. ჯამაგირზე, ვიცი, არ გვაწყენინებ, ახლა კიდე, ერთი თუმანი გვიბოძე და გაგვიშვი. (დგება და თავს უკრავს).

გამოსვლა მეთხუთმეტე

ი გ ი ნ ი ვ ე, ა ნ ი ს ი ა და ა ნ ი უ ტ კ ა. (ანისია მოშორებით ჯდება).

პ ე ტ რ ე. რა ვქნათ? თუკი ეგრეა, ერთიღა დაგვრჩა: ტრაქტირში შესვლა და მაღარიჩი. წავიდეთ, აკიმ ძია, არაყი დავლიოთ.

ა კ ი მ ი. არ ვსვამ მე მაგას, არ ვსვამ არაყს.

პ ე ტ რ ე. მაშ, ჩაის დალევ.

ა კ ი მ ი. ჩაი კი, მჭირს ეგ ცოდვა. ჩაის ნაღდად.

პ ე ტ რ ე. აგე, დედაკაცებიც ჩაის დალევენ. შენ, მიკიტა, ცხვრები გარეკე და ჩალა ახვეტე.

ნ ი კ ი ტ ა. კარგი.

ნიკიტას გარდა, ყველა გადის. ბინდდება.

გამოსვლა მეთექვსმეტე

ნ ი კ ი ტ ა, მარტოა.

ნ ი კ ი ტ ა (პაპიროსს აბოლებს). დახეთ, როგორ გადამეკიდნენ: ვინ ქალებში დაიარებიო. ამის მოყოლას დიდი დრო უნდა, ღმერთმანი. ჰმ, ცოლად შეირთეო. ასე რომ მივდგე და ყველა ცოლად შეირთო, რაღაც ძაან ბევრი ცოლი მოიყრის თავს. ცოლი რაღაც მჭირდება, ისედაც ცოლიანებზე ნაკლებად არ ვცხოვრობ, შურით სკდება ხალხი. უჰ, ეს რა ვქენი, ვინ დამაძალა, პირჯვარი რომ გადავიწერე!.. არადა, უმალ ჩავფარცხე ეს გაჯანჯლებული საქმე. ცუდია ტყუილი ფიციო... მიქარვაა ეს ყველაფერი. ფუჭი სიტყვაა და მორჩა. არა უშავს, ეგ არაფერი.

გამოსვლა მეჩვიდმეტე

ნ ი კ ი ტ ა და ა კ უ ლ ი ნ ა.

ა კ უ ლ ი ნ ა (შემოდის. ხიფთანი აცვია. თოკს დებს, ხიფთანს იხდის და საკუჭნაოში გადის). შუქი მაინც აგენთო.

ნ ი კ ი ტ ა. რატო, შენ რომ გიყურო? ისედაც კარგად გხედავ.

ა კ უ ლ ი ნ ა. ჯანდაბას შენი თავი!

გამოსვლა მეთვრამეტე

ი გ ი ნ ი ვ ე და ა ნ ი უ ტ კ ა.

ა ნ ი უ ტ კ ა (შემორბის. ნიკიტას, ჩურჩულით:) მიკიტა, ჩქარა, ვიღაც გკითხულობს, მე მოვკვდე.

ნ ი კ ი ტ ა. ვინ არი?

ა ნ ი უ ტ კ ა. მარინკაა, რკინიგზაზე რო მუშაობს. კუთხეში დგას.

ნ ი კ ი ტ ა. ტყუი.

ა ნ ი უ ტ კ ა. არა ვტყუი, მე მოვკვდე.

ნ ი კ ი ტ ა. რა უნდა?

ა ნ ი უ ტ კ ა. რა ვიცი, მოვიდესო. მარტო ერთი სიტყვა მაქვს სათქმელიო. რა სიტყვა-მეთქი, მაგრამ არა თქვა. მარტო ეს მკითხა: მართალია, მიკიტა მიდის თქვენგანო? მეც ვუთხარი: ტყუილია, მამამისს კი უნდოდა წაეყვანა და ცოლი შეერთო, მაგრამ მიკიტამ უარი უთხრა-მეთქი. კიდევ ერთი წელი ჩვენთან დარჩება-მეთქი. თუ ღმერთი გწამს, წადი და აქ გამოუშვიო. რაღაც სიტყვა უნდა ვუთხრა, არ შეიძლება არ ვუთხრაო. რა ხანია, იქა დგას და იცდის. წადი ახლა.

ნ ი კ ი ტ ა. ეჰ, წავიდეს ერთი! მაგასთან რა დამრჩენია!

ა ნ ი უ ტ კ ა. ასე თქვა: თუ არ მოვა, მე თვითონ მივალ, სახლში შემოვალო. მე მოვკვდე, მართლა ასე თქვა.

ნ ი კ ი ტ ა. არა უშავს. იდგება ერთხანს და წავა.

ა ნ ი უ ტ კ ა. ასე თქვა: მართალია, აკულინა უნდა შერთონო?

ა კ უ ლ ი ნ ა (ნიკიტას მიუახლოვდება, ხელში სართავი უჭირავს). რაო, აკულინა ვის შერთონო?

ა ნ ი უ ტ კ ა. მიკიტასო.

ა კ უ ლ ი ნ ა. მეტი საქმე არა აქვთ? კი მაგრამ, ვინა თქვა?

ნ ი კ ი ტ ა. ეტყობა, ხალხი ლაპარაკობს. (უყურებს აკულინას, იცინის). რა იყო, არ გამომყვები განა?

ა კ უ ლ ი ნ ა. შენა? იქნება აქამდე კი გამოგყოლოდი, აწი — არა.

ნ ი კ ი ტ ა. აწი რატომ არა?

ა კ უ ლ ი ნ ა. არ გეყვარები და იმიტომ.

ნ ი კ ი ტ ა. რატომ არ მეყვარები?

ა კ უ ლ ი ნ ა. არ მოგცემენ მაგის ნებას. (იცინის).

ნ ი კ ი ტ ა. ვინა, ვინ არ მომცემს?

ა კ უ ლ ი ნ ა. ვინა და, ჩემი დედინაცვალი. სულ ილანძღება, სულ შენ შემოგციცინებს.

ნ ი კ ი ტ ა (იცინის). ამას დამიხედეთ! დიდი დაკვირვებული ვინმე ყოფილხარ.

ა კ უ ლ ი ნ ა. მე განა? რა დიდი დაკვირვება ამას უნდა, ბრმა კი არა ვარ! დღესაც მამაჩემზე იყო დაბოღმილი, ეგ კუდიანი, ეგა. (საკუჭნაოში გადის).

ნ ი უ ტ კ ა. მიკიტა! აბა შეხედე: (ფანჯარაში იყურება) მოდის. მე მოვკვდე, ისაა. წავალ ახლა. (გადის).

გამოსვლა მეცხრამეტე

ნ ი კ ი ტ ა, ა კ უ ლ ი ნ ა საკუჭნაოში და მ ა რ ი ნ ა.

მ ა რ ი ნ ა (შემოდის). ეს რა არი, მიკიტა, რას მიკეთებ თუ იცი?
ნ ი კ ი ტ ა. რას გიკეთებ? არაფერსაც არ გიკეთებ.
მ ა რ ი ნ ა. თავს მანებებ, არა?
ნ ი კ ი ტ ა (გაბრაზებული დგება) მითხარი, რა გინდა, რისთვის მოხვედი!
მ ა რ ი ნ ა. აჰ, მიკიტა!..
ნ ი კ ი ტ ა. სასწაული ხალხი ხართ, ღმერთმანი! რიღასთვის მოხვედი?
მ ა რ ი ნ ა. მიკიტა!
ნ ი კ ი ტ ა. რა მიკიტა გინდა? მიკიტა ვარ. რა გინდა-მეთქი!.. წადი ახლა, მომცილდი!
მ ა რ ი ნ ა. მაშ, მიტოვებას მიპირებ, არა? ყველაფერი დაივიწყე?
ნ ი კ ი ტ ა. აბა, რა უნდა მახსოვდეს? თავადაც არ იცით, რას ამბობთ! ხომ დაინახე: იდექი გარეთ, ანიუტკაც გამომიგზავნე, მაგრამ არ გამოვედი. ესე იგი, არ მინდიხარ, რა დიდი გასაგები ეგ არი. ჰოდა, წადი, მომცილდი.
მ ა რ ი ნ ა. არ გინდივარ! ახლა არ გინდივარ. დაგიჯერე მე სულელმა, ვიფიქრე, ვუყვარვარ-მეთქი. არადა, არ გინდივარ თურმე, აღარ გჭირდები.
ნ ი კ ი ტ ა. ამ ლაპარაკსაც რა ჭკუა აქვს ახლა, რა აზრი, თორემ კი. ამდგარხარ და მამაჩემთანაც წაგიგრძელებია ენა. წადი, ჰქენი სიკეთე.
მ ა რ ი ნ ა. კი იცი, მიკიტა, კაციშვილი არ მყვარებია შენს მეტი. იმაზე კი არაა საქმე, წამიყვანდი ცოლად თუ არ წამიყვანდი, ამაზე არც ვდარდობ. მე იმას ვწუხვარ, ბრალი რომ არაფერი მაქვს და მაინც ასე შემიძულე. რისთვის? რატომ?
ნ ი კ ი ტ ა. ტყუილად ვნაყავთ წყალს ახლა მე და შენ. წადი. მაინც რა უჭკუოები არიან, ღმერთმანი!
მ ა რ ი ნ ა. მომატყუე, წაყვანას შემპირდი და მომატყუე, მაგრამ ამაზე არ მტკივა გული, იმაზე მტკივა, ასე რომ შემიძულე. აღარც ამ შეძულებას ვჩივი, სხვაზე რომ გამცვალე — იმას ვჩივი. არადა, ვიცი, ვისზედაც გამცვალე!
ნ ი კ ი ტ ა (გაბოროტებული მიიწევს მისკენ). ეეჰ, ქალებს ელაპარაკა ჩემი მტერი, აღარაფერი შეგდით თავში: წადი, გეუბნები, აქ რამე შარს არ გადამკიდო.
მ ა რ ი ნ ა. შარს? რაო, ცემას ხომ არ მიპირებ? აჰა, მცემე! აბა, პირს რაღაზედ იბრუნებ? ეჰ, ნიკიტა.

ნ ი კ ი ტ ა. იცი, ცუდი გამოვა, ხალხი შეიყრება... აბა, ტყუილუბრალოდ რაღაზე გელაპარაკო.
მ ა რ ი ნ ა. მაშ, მომთავრდა ყველაფერი, რაც იყო, იყო, არა? ასე მომიცილე თავიდან? აბა, დაიხსომე, მიკიტა: ვუფრთხილდებოდი ჩემს ქალწულობას, პატიოსნებას, ზედ დავკანკალებდი, შენ კი არაფრის გამო დამღუპე და მომაღორე. აღარ შემიცოდე ობოლი (ტირის), ხელი მკარი. მომკალი, მეტი რა. მაგრამ მაინც არ მაქვს შენზე ცუდი გული, ღმერთმა ხელი მოგიმართოს. ჩემზე უკეთესი თუ შეგხვდა ვინმე, დაგავიწყდები, უარესი თუ შეგხვდა, გამიხსენებ, ვიცი. გამიხსენებ, მიკიტა. მშვიდობით, თუკი ეგრეა. მიყვარდი, ჰოდა უკანასკნელად გეუბნები: მშვიდობა მოგცეს ღმერთმა. (უნდა მოეხვიოს, თავზე ხელს ჰკიდებს).
ნ ი კ ი ტ ა (უსხლტება). ეეხ! თქვენთან ლაპარაკი!.. თუ წასვლა არ გინდა, მე თვითონ წავალ, შენ აქ იყავი.
მ ა რ ი ნ ა (წამოიყვირებს). მხეცო! (კარებში). ღმერთი არ გაგახარებს! (მიდის ატირებული).

გამოსვლა მეოცე

ნ ი კ ი ტ ა და ა კ უ ლ ი ნ ა.

ა კ უ ლ ი ნ ა (გამოდის საკუჭნაოდან). ძაღლი ხარ, მიკიტა, ძაღლი!
ნ ი კ ი ტ ა. რა იყო?
ა კ უ ლ ი ნ ა. როგორ ატირდა გოგო. (ტირის).
ნ ი კ ი ტ ა. შენ რაღა დაგემართა!
ა კ უ ლ ი ნ ა. რა დამემართა? აწყენინე გოგოს, აატირე... მეც ასე მიზამ... ძაღლი ხარ, ძაღლი! (საკუჭნაოში გადის).

გამოსვლა ოცდამეერთე

ნ ი კ ი ტ ა, მ ა რ ტ ო ა.

ნ ი კ ი ტ ა (დუმილი). რაღაც ძალიან აირია მონასტერი. მიყვარს ეს ქალები, მაგრამ რა გინდა: უზამ რაღაცას და მორჩა, ხათაბალაა!

ფარდა

მეორე მოქმედება

მეორე მოქმედების მოქმედი პირნი

პ ე ტ რ ე.
ა ნ ი ს ი ა.
ა კ უ ლ ი ნ ა.
ა ხ ი უ ტ კ ა.
ნ ი კ ი ტ ა.
მ ა ტ რ ი ო ნ ა.
ნ ა თ ლ ი დ ე დ ა — მეზობელი ქალი.
ხ ა ლ ხ ი.

სცენა წარმოადგენს პეტრეს სახლსა და ეზო-კარს. მაყურებლისაგან მარცხნივ ჩანს ორმაგი[1] სახლი, დერეფანი, შუაში — პარმაღი; მარჯვნივ — ჭიშკარი და ეზოს ყურე. ეზოს ყურეში ა ნ ი ს ი ა ქერელს პეტავს. პირველი მოქმედების შემდეგ ექვსი თვე გავიდა.

გამოსვლა პირველი

ა ნ ი ს ი ა, მარტოა.

ა ნ ი ს ი ა (მუშაობას თავს ანებებს, აყურადებს). ისევ ბურტყუნებს რაღაცას! ეტყობა, ღუმელიდან ჩამოეთრა.

გამოსვლა მეორე

ა ნ ი ს ი ა და ა კ უ ლ ი ნ ა (შემოდის, მხარზე ვედროებიანი მხრეული გაუდევს).

ა ნ ი ს ი ა. იძახის. მიდი, ნახე, რა უნდა?.. აგე... ღრიალებს.
ა კ უ ლ ი ნ ა. მერე, შენ რაღას უდგეხარ?
ა ნ ი ს ი ა. მიდი, რო გეუბნებიან.

აკულინა სახლში შედის.

---

[1] ერთ ჭერქვეშ მოყვანილი ორი სახლი რუსეთში — საზამთრო და საზაფხულო (მთარგმნ. შენიშვნა).

გამოსვლა მესამე

ა ნ ი ს ი ა, მარტოა.

ა ნ ი ს ი ა. მომსპო ამ კაცმა. არ ამბობს, სადა აქვს ფული, გინდაც მოკალი. ამასწინაზე დერეფანში ყიალებდა, ეტყობა, იქ დამალა. ახლა კიდე, არ ვიცი, სად შეჩურთა. გიყვარდეს. შიშის კანკალი აქვს შემდგარი, არ უნდა ფულის მოცილება. არადა, სახლშია ფული. ერთი კი მაპოვნინა და!.. გუშინ ხელი შევავლე, ტანზე არა ჰქონდა, დღეს კი რას გაიგებ, სადა აქვს. მომსპო და მომათავა!

გამოსვლა მეოთხე

ა ნ ი ს ი ა და ა კ უ ლ ი ნ ა (გამოდის, თავსაფარს იხვევს).

ა ნ ი ს ი ა. სად მიდიხარ!
ა კ უ ლ ი ნ ა. სად და, მარფა მამიდას უნდა დავუძახო. ჩემს დას დამიძახეო. ვკვდები და რაღაც უნდა ვუთხრაო.
ა ნ ი ს ი ა (თავისთვის) თავის დას ეძახის! ვაი ჩემს თავს უბედურს! ეტყობა, ფულის მიცემა უნდა. ვაიმე, რაღა ვქნა ახლა! (აკულინას). არ წახვიდე! სად მიდიხარ!
ა კ უ ლ ი ნ ა. მამიდას უნდა დავუძახო.
ა ნ ი ს ი ა. არ წახვიდე-მეთქი, გეუბნები. მე თვითონ წავალ. შენ აგე, თეთრეული წაიღე მდინარეზე, თორემ საღამომდე ვერ მოესწრება.
ა კ უ ლ ი ნ ა. კი მაგრამ, მითხრა და რა ვუყო.
ა ნ ი ს ი ა. შენ იქ წადი, საცა ბგზავნიან. ხომ გითხარი, მე თვითონ წავალ და მოვიყვან. პერანგები ჩამოიღე, აგე, ღობეზე ჰკიდია.
ა კ უ ლ ი ნ ა. პერანგები? მაგრამ შენ არ წახვალ, ვიცი. მე მითხრა: წადიო.
ა ნ ი ს ი ა. აკი გითხარი, წავალ-მეთქი. ანიუტკა სადღაა?
ა კ უ ლ ი ნ ა. ანიუტკა? ანიუტკა ხბორებსა მწყემსავს.
ა ნ ი ს ი ა. ჰოდა, ის გაუშვი, ხბორებს არაფერი მოუვათ.

აკულინა კრეფს თეთრეულს და მიდის.

გამოსვლა მეხუთე

ა ნ ი ს ი ა, მარტოა.

ა ნ ი ს ი ა. არ წავიდე, ყვირილს დაიწყებს, წავიდე და — თავის დას მიაშავებს იმ ფულს. წყალში ჩამეყრება ამდენი გარჯა. თვითონაც აღარ ვიცი, რა ვქნა. თავგზა ამებნა. (მუშაობას განაგრძობს).

ანისია და მატრიონა (შემოდის, ჯოხზე ნაკრაული ჩამოუკიდია მგზავრის ყაიდაზე).

მატრიონა. ღმერთმა გიშველოს, სულიკო!

ანისია (მოიხედავს, მუშაობას თავს ანებებს, სიხარულისაგან ტაშს შემოჰკრავს). სწორედ რომ არ გელოდი, დეიდა! სულზე გამომიგზავნა უფალმა შენისთანა სტუმარი!

მატრიონა. როგორაა საქმე?

ანისია. ლამის გავგიჟდე, ცუდი ამბავია!

მატრიონა. რასა იქმს? ამბობენ, კიდევ ცოცხალიაო.

ანისია. ნუღა მეტყვი! აღარც მკვდარია და აღარც ცოცხალი.

მატრიონა. რა ჰქნა, ფული ხომ არ მისცა ვინმეს?

ანისია. აგე, ახლა მარფა დაიბარა, თავისი დაი, ღვიძლი. ეტყობა, ფულის ამბავია.

მატრიონა. ალბათ. ნეტა აქამდე ხომ არ მიუცია ვინმესთვის, ჰა?

ანისია. რას ამბობ, ქორივით ვადგევარ თავზე, ვდარაჯობ.

მატრიონა. სადა აქვს, ნეტავი!

ანისია. არ ამბობს. ვერც ვერაფრით გავიგე. ხან სად მალავს და ხან სად. მეც ეს აკულინა არ მაძლევს გასაქანს. სულელი უძახე შენ, არადა, ასი თვალი და ყური გამოიბა. ვაი, ჩემს თავს, უბედურს, გავწამდი ქალი!

მატრიონა. ღმერთმა ნუ ქნას და გააპაროს, მორჩა, თავის დღეში სატირლად გავიხდება საქმე. ასე ცარიელ-ტარიელს გამოგაგდებენ სახლიდან, ცარიელზე დაგსვამენ! შენი დღე და მოსწრება გადაჰყევი საძულველ კაცს, ახლაც თუ უფულოდ დარჩი, რაღა გეშველება ქვრივ-ოხერს!

ანისია. ეჰ, ნუღა მეტყვი, დეიდა! გამიწყალდა გული, აღარ ვიცი, რა წყალში ჩავვარდე! არც არავინა მყავს, რჩევა რომ ვკითხო. ვუთხარი მიკიტას, მაგრამ ეშინია, არ უნდა ამ საქმეში გარევა. ეს კი მითხრა გუშინ, იატაკშია ფულიო.

მატრიონა. მერე რა ჰქენი, ჩადი?

ანისია. როგორ ჩავიდე, თვითონ იქაა ხოლმე. ეს კი შევატყვე: ხან ზედვე აქვს ფული, ხან სადღაც-სადღაც მალავს.

მატრიონა. კარგად დაიხსომე, გოგო: თუ ახლა ფეხი წაიმტვრიე, გათავდა, აღარაფერი გეშველება, თავის დღეში ვერ მოიბრუნებ დაკარგულს. (ჩურჩულით). რა ქენი, მიეცი ის მაგარი ჩაი?

ანისია. ვაი ჩემს თავს! (უნდა უპასუხოს, მაგრამ მეზობელს დაინახავს და ჩუმდება).

იგინივე და ნათლიდედა (სახლს გასწვრივ ჩამოუვლის, აყურადებს სახლიდან გამოღწეულ ყვირილს. ანისიას:)

ნათლიდედა. ნათლი! ანისია, ჰა, ანისია! მგონი, შენი ქმარი გეძახის.

ანისია. ეგ სულ ასე ახველებს ხოლმე, გეგონება, იძახისო. ძაან ცუდადაა.

ნათლიდედა (მატრიონას მიეახლება). გამარჯობა, ბებო, რა ქარმა გადმოგაგდო?

მატრიონა. შინიდან მოვდივარ, ჭირიმე. წამოველი, შვილს დავხედავ-მეთქი. რაღაც პერანგები წამოვუღე. რა იზამ, შვილია, მეცოდება.

ნათლიდედა. რასაკვირველია. (ანისიას) ნათლი, მინდოდა ტილო ჩამელბო, გამეთეთრებინა, მაგრამ ადრეა-მეთქი, ვიფიქრე. ხალხს ჯერ არ დაუწყია.

ანისია. რა გაქვს საჩქარო.

მატრიონა. რა ქენით, აზიარეთ?

ანისია. მაშ როგორ, გუშინ გვყავდა მღვდელი.

ნათლიდედა. გუშინ მეც დავხედე, მიკვირს: რაში უდგა სული. სულ დადნა კაცი. ამას წინათ კიდე, კინაღამ მიიბარა უფალმა. ხატებქვეშ დავაწვინეთ, დავიტირეთ, საცაა უნდა განგვებანა კიდეც, მაშ.

ანისია. არადა, გამოცოცხლდა, წამოდგა. ისევ დაიარება ახლა.

მატრიონა. რას იზამთ, ზეთს უკურთხებთ უკვე?

ანისია. კი მირჩევს ხალხი. ამაღამ თუ გააწია, ხვალ მღვდელი უნდა მოვაყვანინოთ.

ნათლიდედა. ოჰ, ეტყობა, ძაან გიჭირს, ანისიუშკა, არა? ტყუილი კი არ არი: ვინც კვდება, ის არაფერი, ვინც რჩება, ის არი ცოდვაო.

ანისია. ეჰ, გაჭირვება და დარდი ჩემი თქვი. რაღაც ეშველოს მაინც, ან ერთი და ან მეორე.

ნათლიდედა. რასაკვირველია. ადვილი ხომ არ არი: მთელი წელია კვდება და ვერცა კვდება. ხელ-ფეხი გაქვს შეკრული.

მატრიონა. ეჰ, ქვრივის ბედიც რა მწარეა. თუ ჯეელია, კიდევ რა უჭირს, სიბერეშია ცოდვა, ვინ ეყოლება განმკითხავი. ძნელია ეს ტიალი სიბერე, ძნელი! აგე, ჩემი ამბავი ვთქვათ: რა დიდი გზა მე გამოვიარე, მაგრამ დავიღალე ქალი, ფეხები დამაწყდა. ჩემი ბიჭი სად არი რო?

ა ნ ი ს ი ა. სახნავშია წასული. შემოდი, სამოვარს დავდგამ; ჩაი დალიე, ცოტას მოგაღონიერებს.

მ ა ტ რ ი ო ნ ა (ჯდება). მართლა ძაან დავიღალე, თქვენი ჭირიმეთ. კურთხევა კი აუცილებლად უნდა. ამბობენ, ცოტა გულს მაინც მოუოხებსო.

ა ნ ი ს ი ა. ჰო, ხვალ მოვა მღვდელი.

მ ა ტ რ ი ო ნ ა. ძალიანაც კარგი. ჩვენ კიდე, ქორწილი გვაქვს სოფელში.

ნ ა თ ლ ი დ ე დ ა. გაზაფხულზე და — ქორწილი!

მ ა ტ რ ი ო ნ ა. ტყუილად კი არ უთქვამთ, გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში მიეწევაო. სემიონ მატვეევიჩი მარინკას ირთავს, მაშ!

ა ნ ი ს ი ა. ეგეც ბედსა სწევია, რაღა!

ნ ა თ ლ ი დ ე დ ა. ქვრივი კაცია, ეტყობა ბალღების გულისთვის ჰქნა.

მ ა ტ რ ი ო ნ ა. ოთხი ბალღი ჰყავს. აბა, ჭკვიანი ვინ გაჰყვებოდა, ამას ირთავს. ქალს რა უჭირს, გახარებულიც კია. მოგეხსენება, გაბზარული კოკაო...

ნ ა თ ლ ი დ ე დ ა. დახეთ თქვენ! ისე, ხომ გაგონილი ექნებათ ქალის ამბავი... კაცს რა, შეძლება რამე აქვს?

მ ა ტ რ ი ო ნ ა. არა უშავს რა, ცხოვრობს.

ნ ა თ ლ ი დ ე დ ა. ჰო, ამდენი ბალღის პატრონს აბა ვინ წაჰყვებოდა, რაც მართალია, მართალია. აგერ, თუნდაც ჩვენი მიხაილო. რო ვთქვა, კაცი...

კ ა ც ი ს ხ მ ა. ჰეი, მავრა, სად ჯანდაბაში დაიკარგე? მოდი, ძროხა შემოდენე.

მეზობელი გადის.

გამოსვლა მერვე

ა ნ ი ს ი ა დ ა მ ა ტ რ ი ო ნ ა.

მ ა ტ რ ი ო ნ ა (მეზობლის გასვლამდე ხმას არ იცვლის). მოვიცილე ერთი ჭირი! აწი, სხვა თუ არა, მიკიტას დაოჯახებაზე არ იფიქრებს ჩემი რეგვენი ბერიკაცი. (უცებ ჩურჩულს წყებს). წავიდა, როგორც იქნა! რა ქენი, ჩაი დაალევინე?

ა ნ ი ს ი ა. ნუღა გამახსენებ. სჯობდა, თავისი დღით მომკვდარიყო. მაინც არა კვდება, მარტო ცოდვა ვქენი და ეგაა. ოოჰ, ჩემო თაეო! შენც რაღაზედ მაძლევდი ამ ფხვნილს!

მ ა ტ რ ი ო ნ ა. ფხვნილი რაღა შუაშია! ძილის წამალია, რად არ უნდა მომეცა? მაგითი არაფერი მოუვა.

ა ნ ი ს ი ა. ძილის წამალზე კი არა, იმათზე გეუბნები, აი, თეთრები რომაა.

მ ა ტ რ ი ო ნ ა. ისიც წამალია, ჩემო კარგო, მერე რა მოხდა.

ა ნ ი ს ი ა (ოხრავს). ვიცი, მაგრამ მაინც მეშინია. გავწამდი.

მ ა ტ რ ი ო ნ ა. რა ქენი, ბევრი მიეცი?

ა ნ ი ს ი ა. ორჯერ დავალევინე.

მ ა ტ რ ი ო ნ ა. მერე, ეტყობა რამე?

ა ნ ი ს ი ა. მე თვითონ გავუსინჯე გემო, მემწარა ცოტა. დალია და ესღა თქვა: რა არი, ჩაიც კი უგემური მეჩვენებაო. მე ვუთხარი: ავადმყოფს ყველაფერი უგემური ეჩვენება-მეთქი. ძალიან შევშინდი, დეიდა.

მ ა ტ რ ი ო ნ ა. შენც ამდენს ნუ ფიქრობ. რაც მეტს იფიქრებ, მით უარესი.

ა ნ ი ს ი ა. უკეთესი იყო, სულაც არ მოგეცა, ცოდვაში არ ჩაგეგდე. რო გამახსენდება, სულ ელეთმელეთი მომდის. რატომ მომეცი, რატომ?

მ ა ტ რ ი ო ნ ა. რას ამბობ, გენაცვალე! ღმერთმა ხელი მოგიპართოს, მე რას მაბრალებ? შენ აი, რა გითხრა: შენს ამბავს მე ნუ მომახვევ თავზე, თუ ქალი ხარ! თუ რამე მოხდა, მე ხელი დამიბანია, არაფერი ვიცი და არც არაფერი გამიგონია, იცოდე! ხატზე დავიფიცებ, არაფერი ფხვნილი არ მიმიცია არავისთვის და არც მაგნაირი რამე გამიგონია-მეთქი! თავად იფიქრე საკუთარ საქმეზე. ამასწინეებზე სულ შენზე ვლაპარაკობდით: რა დღეშია საცოდავი, როგორ ეწამებაო. გერი სულელი გყავს, აქეთ ქმარიც დაჯანდაგებული; ამ ყოფის გადამკიდე რას არ იზამ ქალი.

ა ნ ი ს ი ა. აკი კიდევაც ვშვრები. ისეთ დღეში ვარ, ეგ კი არა, ან მე უნდა ჩამოვიხრჩო თავი, ან ეგ უნდა მოვახრჩო. ესაა ცხოვრება?

მ ა ტ რ ი ო ნ ა. მეც ამას არ გეუბნები? თავის მოფხანის დროც კი არ რჩება. ასეა თუ ისე, ის ფული უნდა ნახო და ჩაიც უნდა მისცე.

ა ნ ი ს ი ა. ვაი ჩემს თავს, უბედურს! თვითონაც არ ვიცი, აწი რაღა ვქნა, შიშით ვარ დაზაფრული. ნეტავი თვითონ მომკვდარიყო და ეს ცოდვა არ ამეკიდებინა!

მ ა ტ რ ი ო ნ ა (გაბოროტებით). კი მაგრამ, რად არ ამბობს, ფული სადა აქვს? მიწაში ხომ არ ჩაიყოლებს, ვინმეს არ დარჩესო? მერედა, კარგი საქმეა? ღმერთმა დაგვიფაროს და, ამდენი ფული ტყუილად წახდეს, ესეც განა ცოდვა არ არი? აბა, ამას რასა შვრება? ჩვენ რა, ვიდგეთ და მაგას ვუყუროთ?

ა ნ ი ს ი ა. თვითონაც არ ვიცი, რაღა ვქნა. გავწამდი.

მ ა ტ რ ი ო ნ ა. აბა, რად არ უნდა იცოდე? რა ძნელი საქმე ეგ არი! ახლა თუ არ ივარგე, მორჩა, მთელი ცხოვრება სანანებლად გა-

გიხდება. მისცემს ამ ფულს იმ თავის დას და უყარე მერე კაკალი!

ანისია. ოოჰ, აკი გამიშვა, წადი და ჩემი დაი მომგვარეო. ახლა წავიდე უნდა.

მატრიონა. ჯერ დაიცა, წასვლას მოესწრები. ჯერ სამოვარი დადგი. დავალევინოთ ჩაი და ორთავემ მოვძებნოთ ფული — ვნახავთ, ნუ გეშინია.

ანისია. ვაიმე, ცუდ რაღაცაში არ გავეხვიოთ და!..

მატრიონა. რაში უნდა გავეხვიოთ? აბა, რას უნდა უცადო! გინდა, თვალსა და ხელს შუა გაგიფრინდეს ის ფული? ქენი, რასაც გეუბნები.

ანისია. წავალ აბა, სამოვარს დავდგამ.

მატრიონა. წადი, გენაცვა. ისე უნდა მორთო საქმე, მერე თავში საცემად არ გაგიხდეს, ასეა. (ანისია მიდის, მაგრამ მატრიონა კვლავ მოიხმობს). ერთი რამე: მიკიტას არაფერი უთხრა ამ ყველაფერზე. შტერია. ღმერთმა დაგვიფაროს, თუ წამლის ამბავი გაიგო. ვინ იცის, რას მოიხუშტურებს. გულჩვილია ნამეტანი. ზოგჯერ აი, ქათამი რო ქათამია, იმასაც ვერ დაკლავს. ჰოდა, არ უთხრა, რისი გამგები ეგ არი. (უცებ თავზარდაცემული ჩერდება: ზღურბლზე პეტრე გამოჩნდება).

გამოსვლა მეცხრე

იგივე და პეტრე (კედელს ხელით ეყრდნობა, გამოდის პარმაღზე და სუსტი ხმით იძახის).

პეტრე. რა მოგვიდათ, ვეღარაფერს შეგასმენთ კაცი! ოოჰ! ანისია, ვინ არი აქა? (ეცემა მერხზე).

ანისია (კუთხიდან გამოდის). რიღასთვის გამოხველი? წოლილიყავი, საცა იწექი.

პეტრე. წავიდა გოგო მარფას მოსაყვანად? ცუდადა ვარ... ოოჰმე, მალე მაინც მომაკითხავდეს მიქელ-გაბრიელი!..

ანისია. გოგოს არა სცალია, მდინარეზე გავუშვი. მაცალე პატარა ხანს, მოვრჩები საქმეს და თვითონ მე წავალ.

პეტრე. მაშინ, ანიუტკა გაგზავნე, სად არი? ვაიმე, რა ცუდადა ვარ! ვაი, მოვიდა სიკვდილი!..

ანისია. კი გავგზავნიდი, რომ იყოს.

პეტრე. ოოჰ!.. მერედა, სად არი აქამდე?

ანისია. რა ვიცი. მეხი კი დავაყარე.

პეტრე. ვაი, გამომელია ძალა, სულ დამეწვა გულ-მუცელი!.. ასე მგონია, ბურღი მიტრიალებს... რა არი, ეგრე ძაღლივით რო მიმაგდეთ? კაციშვილი არაა, წყალი მაინც მომაწოდოს... ოოჰ... ანიუტკა მომგვარე, აქ მოვიდეს.

ანისია. აგე, ანიუტკა.. მიდი მამაშენთან.

გამოსვლა მეათე

იგივე და ანიუტკა (შემორბის. ანისია კუთხეს ეფარება).

პეტრე. წადი... ოოჰ... მარფა მამიდასთან, უთხარი: მამა გეძახისთქო. მოვიდეს. ძაან მჭირდება.

ანიუტკა. კი, წავალ.

პეტრე. დაიცა! უთხარი, ჩქარა მოვიდეს. კვდება-თქო, უთხარი... ვაიმე!..

ანიუტკა. ამწუთას. მარტო თავსაფარს ავიღებ. (გარბის).

გამოსვლა მეთერთმეტე

პეტრე, ანისია და მატრიონა.

მატრიონა (ანისიას თვალს უკრავს). აბა, მიხედე აწი შენს საქმეს! შინ შედი, ყველგან დაძებნე! აი, ძაღლი რწყილებს რო ეძებს ხოლმე... ყველაფერი გადააქოთე. მეც ამასობაში ტანს მოვუსინჯავ, ზედ ექნება.

ანისია (მატრიონას). ახლავე. შენთან როცა ვარ, უფრო გაბედული ვხდები თითქო. (პარმაღს მიადგება. პეტრეს:) სამოვარი ხომ არ დაგიდგა? აგერ მატრიონა დეიდაც მოვიდა, შვილს მოაკითხა — ერთად დალევდით ორივე.

პეტრე. კარგი, დადგი.

გამოსვლა მეთორმეტე

პეტრე და მატრიონა. მატრიონა პარმაღს მოადგება.

პეტრე. გამარჯობა შენი.

მატრიონა. გაგიმარჯოს, ჩემო მწყალობელო, გაგიმარჯოს, ჭირიმე. ავადა ხარ, გეტყობა. ჩემს ბერიკაცსაც ძაან ეცოდები: წადი, მოინახულეო, მოკითხვა დამბარა. (ერთხელაც უკრავს თავს).

პეტრე. ვკვდები, მატრიონა, ვკვდები.

მატრიონა. ეჰ, გიყურებ აგერ, იგნატიჩ: არ ყოფილა თურმე ადამიანის საშველი, ძნელი ყოფილა სატკივარი, ძნელი! გიყურებ და,

სულ მთლად გალეულხარ კაცი. ეტყობა, არ ამშვენებს კაცს ეკ
ტიალი ავადმყოფობა!

პ ე ტ რ ე. მოვიდა ჩემი აღსასრული და ეგაა.

მ ა ტ რ ი ო ნ ა. რას იზამ, პიოტრ იგნატიჩ, ყველაფერი უფლის ნებაა. ზიარებული ხარ, აწი კურთხევაც იქნება, ღმერთი მოგცემს წყალობას. კიდე კარგი, ჭკვიანი ქალი გყავს — დაგმარხავენ, გაგაპატიოსნებენ, როგორც წესი და რიგია. ჩემი ბიჭიც აგერ არის, რამე რო იყოს, დატრიალდება, ეზო-კარს მიგიხედავს.

პ ე ტ რ ე. გამრიგე ხომ უნდა იყოს ვინმე — აღარავინაა! უთაური დედაკაცი მყავს, სისულელეებსაა გადაყოლილი, მე ხომ ყველაფერი ვიცი... ვიცი... გოგოც ქერქეტაა, თანაც ყმაწვილია ჯერ, მაგას რა მოეკითხება. აგერ, ამხელა სახლი ავაშენე, არადა, ვინაა პატრონი, ამ ყველაფერს ვინ გაუძღვება. მეცოდება ამდენი ნაკვდავ-ნაჯაფი! (სლუკუნებს).

მ ა ტ რ ი ო ნ ა. თუ ფულზეა საქმე, ან რამე ეგეთი, ბრძანე, რა უნდა...

პ ე ტ რ ე (ანისიას, საკუჭნაოში). რა ქნა ანიუტკამ, წავიდა?

მ ა ტ რ ი ო ნ ა (გვერდზე). დახეთ, გაახსენდა!

ა ნ ი ს ი ა (საკუჭნაოდან). იმწუთსავე წავიდა. შინ შედი, აგერ ხელ შეგაშველებ.

პ ე ტ რ ე. დამაცა, ვიქნები ერთხანს, მეტი არ მომიწევს აქ ჯდომა. მძიმე სუნია ოთახში. ვაიმე, ეეღარა ვარ კარგად... სულ დამეწვა გულ-გვამი... მალე მაინც მოვკვდებოდე...

მ ა ტ რ ი ო ნ ა. თავისით არ ამოვა სული, იგნატიჩ, ღმერთმა თუ აიღ მიიბარა... სიკვდილიცა და სიცოცხლეც ღვთის ნებაა. სიკვდილ რას გაუგებ კაცი: ისეც ხდება, გამოკეთდები, სულაც ფეხზე ადგები. აგერ გითხრა: ჩემს სოფელში სიკვდილის პირზე იყო კაცი, მაგრამ, გავიხედოთ და....

პ ე ტ რ ე არა, უკვე აღარაფერი მეშველება. ვგრძნობ, ახლა მოვკვდები, ვიცი... (მერხს მიესვენება და თვალებს ხუჭავს).

გამოსვლა მეცამეტე

ი გ ი ნ ი ვ ე დ ა ა ნ ი ს ი ა.

ა ნ ი ს ი ა (შემოდის). აბა, რას იზამ, შეხვალ თუ არა? შენსას რა გაიგებს კაცი. პეტრე, ჰა, პეტრე!

მ ა ტ რ ი ო ნ ა (გვერდზე გადის და თითით იხმობს ანისიას). რა ქენ

ა ნ ი ს ი ა (ჩამოდის პარმაღიდან, მატრიონას მიეახლება). ვერაფერ ვნახე.

მ ა ტ რ ი ო ნ ა. კი მაგრამ, ყველგან დაძებნე? იატაკი არ ნახე?

ა ნ ი ს ი ა. იქაც არაა. ეგებ ფარდულში იყოს? გუშინ აქ დაყიალობდ

მ ა ტ რ ი ო ნ ა. ჰოდა, უკეთ მოძებნე. აი, თითქოს ენით გაგილოკია, არაფერი დატოვო. ვატყობ, ახლა ისედაც მოკვდება: ფრჩხილები გაულურჯდა, სახეც მიწისფერი გაუხდა. სამოვარმა რა ქნა, ადუღდა?

ა ნ ი ს ი ა. ადუღდება სადაცაა.

გამოსვლა მეთოთხმეტე

ი გ ი ნ ი ვ ე დ ა ნ ი კ ი ტ ა (გამოდის მეორე მხრიდან ანდა, თუ შესაძლებელია, ცხენზე ამხედრებული მოდის ჭიშკრისაკენ; პეტრეს ვერ ხედავს).

ნ ი კ ი ტ ა (დედას). გამარჯობა, დედილო! რას შვრებით შინ, კარგადა ხართ?

მ ა ტ რ ი ო ნ ა. ვართ, მადლობა ღმერთს, ჯერჯეროობით არა გვიშავს რა.

ნ ი კ ი ტ ა. ბატონი რასა იქმს, როგორაა?

მ ა ტ რ ი ო ნ ა. ჩუმად! აგერა ზის. (უჩვენებს პარმაღზე).

ნ ი კ ი ტ ა. მერედა რა, იჯდეს.

პ ე ტ რ ე. მიკიტა, ჰა, მიკიტა, აქ მოდი!

ნიკიტა პეტრეს მიეახლება, ანისია და მატრიონა ჩურჩულებენ.

რა არი, ასე ადრე რად მოხვედი?

ნ ი კ ი ტ ა. მოვრჩი. სულ მოვხანი.

პ ე ტ რ ე. ხიდგაღმა რო პატარა საყანეა, ისიც?

ნ ი კ ი ტ ა. ის არა, შორსაა.

პ ე ტ რ ე. შორსაა? სახლიდან ჰო, მართლა შორსაა. მაშინ, ცხენებს რომ გადაიყვან იქით, ისიც გამოხანი.

ანისია მოფარებულში დგას, მათ ლაპარაკს უსმენს.

მ ა ტ რ ი ო ნ ა (შვილთან მიდგება). ეჰ, შვილო, რატომ არ უგონებ ბატონს, უფრო რატომ არ გაირჯები? ავადაა, შენს იმედზეა კაცი. აი, მშობელი მამა რო გინახავს, ისე უნდა მოუარო. დაიწყვიტე ძარღვები, მაგრამ ემსახურე, როგორც წესი და რიგია. მე რა გითხარი?

პ ე ტ რ ე. მაშინ ის ჭქენი... ოოჰმე!.. კარტოფილი გამოყარე, დედაკაცები გადაარჩევენ... ოოჰ!..

ა ნ ი ს ი ა (თავისთვის). ახლავე მკლავებს დავიკარწახებ, შენმა მზემ! თავიდან უნდა მოგვიცილოს ყველა, სადღაც-სადღაც გაგვკრიფოს. ეტყობა, ზედა აქვს ფული, უნდა სადმე შეჩურთოს.

პ ე ტ რ ე. თორემ... დადგება თესვის დრო და... ვაიმე!.. დალპება ყველა... ვაიმე, აღარა მაქვს ილაჯი! (დგება).

მ ა ტ რ ი ო ნ ა (არბის პარმაღზე, პეტრეს მხარში შეუდგება). შინ ხო არ შეგიყვანო?

პ ე ტ რ ე. შემიყვანე აბა. (შეჩერდა) მიკიტა!

ნ ი კ ი ტ ა (გაბრაზებით). კიდევ რაღა გინდა?

პ ე ტ რ ე. ველარა გნახავ მეტს... მოვკვდები ახლა... მაპატიე, ღვთის გულისათვის... მაპატიე, თუ რამე შეცოდება მქონია შენთან... სიტყვით ანდა საქმით თუ შეგცოდე როდისმე... რა ვიცი, იქნებ რა იყო... მაპატიე.

ნ ი კ ი ტ ა. რა გაქვს საპატიებელი, ყველანი ცოდვიანები ვართ.

მ ა ტ რ ი ო ნ ა. აჰ, შვილო, გულით გაიგე, რასაც გეუბნება!

პ ე ტ რ ე. მაპატიე, აგრემც ღმერთი შეგეწევა. (ტირის).

ნ ი კ ი ტ ა (ქშინავს). ღმერთმა გაპატიოს, პიოტრ, ბატონო. რას ამბობ, რა მაქვს საწყენი! არაფერი ცუდი შენგან არ გამიგია. პირიქით, შენ მაპატიე. იქნება, მე მეტი მაქვს ბრალი. (ტირის. პეტრე სლუკუნით გადის, მატრიონა მხარში შესდგომია).

გამოსვლა მეთხუთმეტე

ნ ი კ ი ტ ა და ა ნ ი ს ი ა.

ა ნ ი ს ი ა. ვაი ჩემს თავს უბედურს! ტყუილად არ უქნია ეს, რაღაცა უდევს გულში. (ნიკიტასთან მიდის). რატომ მითხარი, იატაკში არის ფულიო. იქ ვერაფერი ვნახე.

ნ ი კ ი ტ ა (არ პასუხობს, ტირის). კარგის მეტი არაფერი მახსოვს მაგისგან, მე კიდე, რა გავუკეთე!

ა ნ ი ს ი ა. კარგი, გეყოფა. ფული სად არი?

ნ ი კ ი ტ ა (გაბრაზებით). მე რა ვიცი, თვითონ მოძებნე!

ა ნ ი ს ი ა. აბა, ეგეთი გულჩვილი რადა ხარ?

ნ ი კ ი ტ ა. მებრალება, ოჰ, როგორ მებრალება! როგორ ატირდა... ეეჰ!

ა ნ ი ს ი ა. დახეთ, ებრალება ბიჭს! არ იცის, ვინ შეიბრალოს და ვინ არა! ძაღლადაც არ გაგდებდა, ახლაც სახლიდან გაგდებას გიპირებდა. შენ, აგერ, მე შემიცოდე, ისა სჯობია.

ნ ი კ ი ტ ა. შენ რა გჭირს შესაცოდებელი?

ა ნ ი ს ი ა. მოკვდება და ფულსაც დამალავს...

ნ ი კ ი ტ ა. ნუ გეშინია, ვერსადაც ვერ დამალავს.

ა ნ ი ს ი ა. ოჰ, ნიკიტუშკა! აკი თავისი დის მოსაყვანად გამიშვა — იმას უნდა მისცეს. ვაი ჩვენი ბრალი, როგორ უნდა ვიცხოვროთ, ფული თუ აღარ გვექნა! სულ გამომაგდებენ ამ სახლიდან! ცოტა შენც გაინძერი! ხომ თქვი, გუშინ ფარდულში შევიდაო.

ნ ი კ ი ტ ა. ვნახე, იქიდან გამოვიდა, მაგრამ მე რა ვიცი, ფული სად შეჩურთა!

ა ნ ი ს ი ა. ვაი, მე სულელი, წავალ და იქ მოვძებნი.

გამოსვლა მეთექვსმეტე

ი გ ი ნ ი ჯ ე და მ ა ტ რ ი ო ნ ა (ოთახიდან გამოდის, პარმაღს ჩამოივლის, ნიკიტასა და ანისიასთან მიდის. ჩურჩულით).

მ ა ტ რ ი ო ნ ა. ფეხი არსად გადგათ, ზედა აქვს ფული, ხელი შევავლე, ზონრითა აქვს მიბმული.

ა ნ ი ს ი ა. ვაი ჩემს თავს უბედურს!

მ ა ტ რ ი ო ნ ა. ახლა თუ გაუშვი ხელიდან, მოგჭამა ჭირი. მოვა სადაცაა მისი დაი, მერე დაემშვიდობე, ხვიშტი შეგრჩება.

ა ნ ი ს ი ა. მისცემს და დავიღუპე, რაღა ვქნა? ვაი ჩემს თავს!..

მ ა ტ რ ი ო ნ ა. რაღა ვქნაო? აქ მომხედე! ადუღდა უკვე სამოვარი. დაუსხი ჩაი, დაალევინე. (ჩურჩულით). ქაღალდში რაც არი, სულ გადმოყარე და დაალევინე. დალევს ერთ ფინჯანს და მერე ააღლიტე ფული, არაფერს იტყვის, ნუ გეშინია!

ა ნ ი ს ი ა. ვაიმე, მეშინია და რა ვქნა!

მ ა ტ რ ი ო ნ ა. ახლა ნუ დაიბნევი, ცოცხლად გაისარჯე, მე კიდე, მარფას დავუდარაჯდები, თუ რამე იქნა. იცოდე, არაფერი შეგცდეს, ააღლიტე ფული და აქ მოიტა, მიკიტა დამალავს.

ა ნ ი ს ი ა. ვაი ჩემს თავს! როგორ მივუდგე, როგორ...

მ ა ტ რ ი ო ნ ა. გეუბნები, ფიქრის დრო არ არი, ის ჰქენი, რაც გითხარი! მიკიტა!

ნ ი კ ი ტ ა. რა გინდა?

მ ა ტ რ ი ო ნ ა. შენ აქ დარჩი, ჩამოჯექი მაგერ, მიწაყრილზე, იქნება შენი თავი დაგვჭირდეს.

ნ ი კ ი ტ ა (ხელს ჩაიქნევს). ოჰ, ეს ქალები, რას არ მოიგონებენ ხოლმე! ჩაგითრევენ ეგრევე. ჯანდაბას თქვენი თავი! ჯობია წავიდე და ის კარტოფილი გამოვყარო.

მ ა ტ რ ი ო ნ ა (მკლავში ჩააფრინდება, აჩერებს). აქ იყავი, რომ გეუბნები!

გამოსვლა მეჩვიდმეტე

ი გ ი ნ ი ვ ე და ა ნ ი უ ტ კ ა (შემოდის).

ა ნ ი ს ი ა. აბა, რა ქენი?

ა ნ ი უ ტ კ ა. თავის გოგოსთან გადასულიყო ბოსტანში, ახლავე მოვა.

ა ნ ი ს ი ა. მოვა და, მერე რაღა ვქნათ?

მ ა ტ რ ი ო ნ ა (ანისიას). ჩქარა-მეთქი! ისა ვქნათ, რაც გითხარი!

ა ნ ი ს ი ა. აღარ ვიცი, სწორედ აღარ ვიცი, რა ვქნა, სულ თავგზა მაქვს აბნეული! ანიუტკა! მიდი, საყვარელო, ხბორებს მიხედე, გაიფანტნენ. ოჰ, ვერ ვბედავ და რა ვუყო...

მ ა ტ რ ი ო ნ ა. წადი, რაღა, სამოვარი გადმოვიდა, გავიგონე.
ა ნ ი ს ი ა. ვაი ჩემს თავს, უბედურს! (გადის).

გამოსვლა მეთვრამეტე

მ ა ტ რ ი ო ნ ა და ნ ი კ ი ტ ა.

მ ა ტ რ ი ო ნ ა (შვილს უახლოვდება). ასე, შვილო. (ჯდება მის გვერდით, მიწაყრილზე). შენი საქმეც კარგად უნდა ავწონ-დავწონოთ, ასე ღვთის ანაბარა კი არ უნდა მიგაგდოთ...
ნ ი კ ი ტ ა. კი მაგრამ, ეგეთი რა საქმეა?
მ ა ტ რ ი ო ნ ა. ის საქმეა და — ხომ უნდა იყო ამ ქვეყანაზე, რამენაირად ხომ უნდა იცხოვრო?
ნ ი კ ი ტ ა. როგორ უნდა ვიცხოვრო? სხვები როგორც ცხოვრობენ — ისე.
მ ა ტ რ ი ო ნ ა. ეს ბერიკაცი სადაცაა მოკვდება, ხომ ასეა?
ნ ი კ ი ტ ა. მოკვდება და, აცხონოს ღმერთმა! მე რა?
მ ა ტ რ ი ო ნ ა (ლაპარაკობს და თან პარმაღსაც არ აცილებს თვალს). ეჰ, შვილო! ამ ქვეყანაზე თუ ხარ, ამ ქვეყნისა უნდა იფიქრო კიდეც კაცმა. ამასაც დიდი ჭკუა უნდა, შემოგევლე. შენ რა გგონია: ათას ალაგას მივედი შენი გულისთვის, იმდენი ჩალიჩი დამჭირდა, სულ გადავიტყავე მუხლები, მაშ! ჰოდა, იცოდე, ამაგი დამიფასე, როცა დრო იქნება.
ნ ი კ ი ტ ა. კი მაგრამ, ამდენს რაღაზედ ჩალიჩობდით?
მ ა ტ რ ი ო ნ ა. შენზე, შვილო, შენს ბედიღბალზე. კაცმა წინდაწინ, ერთი წლით ადრე თუ არ შეიწუხე თავი, ისე არაფერი იქნება. ივან მოისეიჩი ხო იცი? იმასაც კარი ავუტალახე. მივედი ამასწინაზე, ერთი საქმე გავარიგე. დავჯექით, რაღაცეები ვთქვით. აი, ივან მოისეიჩ, ასე და ასეა ჩემი საქმე, რას მირჩევ, როგორ მოვიქცეთ-მეთქი? ვთქვათ, კაცმა მეორე ცოლი შეირთო, ორი შვილი ჰყავს, ერთი იმისგან, ერთი ამისგან... ვთქვათ, ეს კაცი მოკვდა; შეუძლია ახლა ამ კაცის ქვრივს, ადგეს და სხვა კაცი ჩამოისიძოს? ამ კაცს კიდე: ის გოგოები დაათხოვოს და თვითონ გახდეს სახლის პატრონი? აი, რაები ვუთხარი. კიო, კი შეიძლებაო. ოღონდ ძაან ჯახირი უნდა თურმე. ფულით თუ გააკეთებს კაცი, ისე სულ ტყუილი იქნება, ფიქრშიც კი ნუ გაივლებთო.
ნ ი კ ი ტ ა (იცინის). ჰო, მაგათ ფული მიეცი და!.. ფული ვის არ უნდა.
მ ა ტ რ ი ო ნ ა. ჰოდა, სულ ყველაფერი ჩავუკაკლე. ჯერ, მთავარია, ინ სოფელში ჩაწერო შენი ბიჭიო. მაგრამ ამასაც ფული უნდა, მაშ უფროსობას წააქეიფებ, ისინიც ნებას დაგრთავენ, ეგრეა. ყველაფერს ჭკუით უნდა მიდგომაო. აბა, ეს ნახე (ცხვირსახოციდან რაღაც ქაღალდს იღებს), ქაღალდიც დამიწერა. წაიკითხე, ამეებში მარჯვე ხარ. (ნიკიტა კითხულობს, მატრიონა უსმენს).
ნ ი კ ი ტ ა. იმდენი არაფერი, რაღაც განჩინებაა... არაფერი სიბრძნე ამაში არ ყრია.
მ ა ტ რ ი ო ნ ა. შენ მომისმინე, აი, რა მითხრა ივან მოისეიჩმა: მთავარია, ფული მოიგდოთ ხელშიო. ფული თუ არ ექნა იმ ქალს, სულ ტყუილია, არავის ჩასიძებას არ დაანებებენო. თავიდათავი ფულიაო, თქვა. ჰოდა, იცოდე, შვილო, საქმე წკიპზეა მიმდგარი.
ნ ი კ ი ტ ა. მე რა, ფული ქალისაა, იმან იმტვრიოს თავი.
მ ა ტ რ ი ო ნ ა. რას ამბობ, შვილო, რა უჭკუოდ ლაპარაკობ! ქალს მაგდენი ტვინი ვინ მისცა! გინდაც აიღოს ფული, საქმეს თავს როგორ დაადგამს! შენ კიდე, კაცი ხარ, შეგიძლია დამალო, თუ ვინმე აგიხირდა. ჭკუაც უფრო გიჭრის და ყველაფერი.
ნ ი კ ი ტ ა. ეჰ, ყველანი რა უთაურები ხართ ეს ქალები!
მ ა ტ რ ი ო ნ ა. უთაურობა რა სათქმელია? შენ ფული მოიგდე ხელში, მერე ქალიც სად წაგივა, ჭუკივით გეყოლება გამოჭერილი! ვთქვათ და, დაგიწყო ჭიჭინი, მოთოკავ და ის იქნება!
ნ ი კ ი ტ ა. ჯანდაბა თქვენს თავს, წავალ.

გამოსვლა მეცხრამეტე

ნ ი კ ი ტ ა, მ ა ტ რ ი ო ნ ა და ა ნ ი ს ი ა (ფერდაკარგული გამორბის სახლიდან, მატრიონას მიეჭრება).
ა ნ ი ს ი ა. ზედა პქონდა! აგე, ფული! (წინსაფარქვეშ უჩვენებს).
მ ა ტ რ ი ო ნ ა. მიკიტკას მიეცი, ეგ შეინახავს. მიკიტკა, გამოართვი, სადმე დამალე.
ნ ი კ ი ტ ა. კარგი, მომეცი.
ა ნ ი ს ი ა. ვაი ჩემს თავს!.. მე თვითონ შევინახავ. (ჭიშკრისკენ მიდის).
მ ა ტ რ ი ო ნ ა (ხელში სწვდება). სად მიდიხარ! წაგართმევენ, აგე მარფა მოდის! ამას მიეცი, იცის, ნუ გეშინია. რა შტერი ხარ!
ა ნ ი ს ი ა (ყოყმანობს). ვაი ჩემს თავს!
ნ ი კ ი ტ ა. მაშ, მომეცი, რაღა, სადმე შევჩურთავ და ის იქნება.
ა ნ ი ს ი ა. სად შეჩურთავ განა?
ნ ი კ ი ტ ა. რაო, ხო არ გეშინია? (იცინის).

გამოსვლა მეოცე

იგინივე და აკულინა (თეთრეული მოაქვს).

ანისია. ვაი ჩემს თავს უბედურს! (ნიკიტას ფულს აჩეჩებს). აბა, შენ იცი, მიკიტკა...

ნიკიტა. რისი გეშინია, ისე შევინახავ, მერე მეც ველარ ვიპოვო. (მიდის).

გამოსვლა ოცდამეერთე

მატრიონა, ანისია და აკულინა.

ანისია (შეშინებული დგას). ვაიმე!.. როგორ იყო...

მატრიონა. რა ჰქნა, მოკვდა?

ანისია. ჰო, მოკვდა, მგონი. ვერც გაიგო, ფული რომ ავაცალე.

მატრიონა. შინ შედი. აგე, აკულინა მოდის.

ანისია. ეს რა ვქენი, რა ცოდვაში გავეხვიე! რას უზამს ახლა იმ ფულს...

მატრიონა. გეყოფა, შინ შედი! აგე, მარფაც მოვიდა.

ანისია. ვენდე მიკიტას, რა ვიცი, რა იქნება. (გადის).

გამოსვლა ოცდამეორე

მარფა, აკულინა, მატრიონა.

ჭარფა (შემოდის ერთი მხრიდან, აკულინა — მეორე მხრიდან. აკულინას:) აქამდე მოვიდოდი, მაგრამ ჩემს გოგოსთან ვიყავი გადასული. აბა, რასა იქმს ბერიკაცი, სიკვდილს ეპირება?

აკულინა (თეთრეულს დებს). აბა რა ვიცი, მდინარეზე ვიყავი.

მარფა (მატრიონაზე უჩვენებს). ეს ვიღაა?

მატრიონა. ზუევოდანა ვარ, მიკიტას დედა გახლავარ, ჩემო კარგო, ზუევოელი. კაი გამარჯობა. ძაან შეწუხებული იყო შენი ძმა, ნამეტანი შეწუხებული. თვითონ გამოვიდა, ჩემი დაი მომგვარეო, მითხრა. რაღაც მინდაო... ვაიმე!.. ხომ არ მოკვდა ნეტა!

გამოსვლა ოცდამესამე

იგინივე და ანისია (კივილით გამოიჭრება სახლიდან, სვეტს ხელს ჩაავლებს, მოთქვამს:)

ვაი, ეს რა მიქენი, ეს რა დღეში ჩამაგდე, ვაი... ვაიმე, უკვე ქვრივი ვარ მე უბედური!.. ვაიმე, აღარ არი უკვე, დახუჭა თვალები!..

გამოსვლა ოცდამეოთხე

იგინივე და ნათლიდედა. ნათლიდედა და მატრიონა ანისიას აკავებენ. აკულინა და მარფა სახლში შედიან. შემოდის ხალხი.

ხმა ხალხიდან. დედაბრებს დავუძახოთ, მიხედვა უნდა მიცვალებულს.

მატრიონა (ხელებს იკაპიწებს) მგონი, წყალი კი არი ქვაბში, არა? თუ არადა, სამოვარშია, თვითონ ვნახე. არ გადაუღვრიათ. მეც გავირჯები, შევაშველებ ხელს.

ფარდა

მესამე მოქმედება

მესამე მოქმედების მოქმედი პირნი

ანიმი.
ნიკიტა.
აკულინა.
ანისია.
ანიუტკა.
მიტრიჩი — ბებერი მოჯამაგირე,
ყოფილი ჯარისკაცი.
ნათლიდედა ანისიასი.

პეტრეს სახლი. მეორე მოქმედების შემდეგ გავიდა ცხრა თვე. ანისია ჯარას უზის, ქსოვს, უკვე მორთული აღარ არის, უბრალოდ აცვია. ანიუტკა ღუმელზე. მიტრიჩი, ბებერი მოჯამაგირე.

გამოსვლა პირველი

მიტრიჩი (ნელა შემოდის, ჯუბას იხდის). ოჰ, უფალო, შეგვიწყალე! ბატონი რა, არ მოსულა?

ანისია. რა თქვი?

მიტრიჩი. მიკიტა არ მოსულა-მეთქი ქალაქიდან?

ა ნ ი ს ი ა. არა.

მ ი ტ რ ი ჩ ი. ეტყობა, წაუქეიფა. ოჰ, უფალო!

ა ნ ი ს ი ა. კალო რა ჰქენი, მოითავე?

მ ი ტ რ ი ჩ ი. მაშ როგორ? ყველაფერი ავხვეტე და ზემოდანაც ჩალა დავაყარე. არ მიყვარს მისამშაბათებული საქმე. ოჰ, უფალო! მიკოლა მწყალობელო! (ხელზე კოჟრებს იჩიჩქნის). არადა, დროა, აქამდე მოსულიყო უნდა.

ა ნ ი ს ი ა. რა ეჩქარება: ფული აქვს, დროს ატარებს გოგოსთან, მე ხო ვიცი...

მ ი ტ რ ი ჩ ი. ფული აქვს, დროს რაზე არ გაატარებს. აკულინას რაღა უნდოდა ქალაქში?

ა ნ ი ს ი ა. იმასა ჰკითხე, რა ჯანდაბამ წაიყვანა!

მ ი ტ რ ი ჩ ი. ქალაქში რამ წაიყვანაო... ქალაქში, რა გინდა, რომ არ არი, შენ ფული გქონდეს და! ოჰ, უფალო!

ა ნ ი უ ტ კ ა. მე, დედილო, ჩემი ყურით გავიგონე: თავსაფარს გიყიდიო, უთხრა. მე მოვკვდე. შენ თვითონ აირჩიე, რომელიც მოგეწონებაო. ისედაც როგორაა გამოპრანჭული: უსახელო ზედატანი ჩაიცვა, დაპლისული, თავზე კიდე, ფრანგული თავსაფარი დაიხურა!

ა ნ ი ს ი ა. სწორი ნათქვამია: გოგოს სირცხვილ-ნამუსი კარის ზღურბლამდეო. გადააბიჯა და მოგჭამა ჭირი! დახეთ, რა უსირცხვილობაა!

მ ი ტ რ ი ჩ ი. აკი ვთქვი! რაზე უნდა შერცხვეს? თუ გაქვს ფული — მიდი და დრო ატარე. ოჰ, ღმერთო! ვახშამი, მგონი, ადრეა, არა?

ანისია დუმს.

მივალ, გავთბები ცოტას. (ღუმელზე ადის). ოჰ, ღმერთო! დედაო ღვთისმშობელო! წმინდა ნიკოლა!

გამოსვლა მეორე

ი გ ი ნ ი ვ ე დ ა ნ ა თ ლ ი დ ე დ ა.

ნ ა თ ლ ი დ ე დ ა (შემოდის). ეტყობა, არ დაბრუნებულა შენი ქმარი.

ა ნ ი ს ი ა. არა.

ნ ა თ ლ ი დ ე დ ა. უკვე დრო არი. ნეტა, ჩვენს სამიკიტნოში ხო არ შევიდა? ფეკლამ მითხრა, ჩემმა დამ: აუარება მარხილი დგას, ქალაქიდან მოსულიო.

ა ნ ი ს ი ა. ანიუტკა, ჰა, ანიუტკა!

ა ნ ი უ ტ კ ა. რა იყო?

ა ნ ი ს ი ა. გაიქე, საყვარელო, აგერ, სამიკიტნოში. ნახე, იქ ხო არ შეყიალდა ნამთვრალევზე.

ა ნ ი უ ტ კ ა (ღუმელიდან ჩამოხტა, იცვამს). ახლავე.

ნ ა თ ლ ი დ ე დ ა. აკულინაც წაიყვანა?

ა ნ ი ს ი ა. აბა, მეტი რისთვის წავიდოდა, სხვა რა საქმე ჰქონდა. იმის გამო აუტყდა საქმეები. ბანკში ვარ მისასვლელიო, მითხრა, ფული არის ასაღებიო. არადა, სულ მაგ გოგოს ამბავია, ეგ დაატარებს თავის ჭკუაზე!

ნ ა თ ლ ი დ ე დ ა (თავს აქნევს). შენც იტყვი რაღაცას.

დუმილი.

ა ნ ი უ ტ კ ა (კარებში). თუ იქაა, რამე ვუთხრა?

ა ნ ი ს ი ა. არა, მარტო შეხედე, იქ არის თუ არა.

ა ნ ი უ ტ კ ა. კარგი, ახლავე გავვარდები. (გადის).

გამოსვლა მესამე

ა ნ ი ს ი ა, მ ი ტ რ ი ჩ ი დ ა ნ ა თ ლ ი დ ე დ ა.

ხანგრძლივი დუმილი.

მ ი ტ რ ი ჩ ი (წამოიყვირებს). ოჰ, ღმერთო! მიკოლა მწყალობელო!

ნ ა თ ლ ი დ ე დ ა (შეკრთება). ეს ვიღაა? გული კინაღამ გამისკდა.

ა ნ ი ს ი ა. ჩვენი მოჯამაგირეა, მიტრიჩი.

ნ ა თ ლ ი დ ე დ ა. ვაი, როგორ შემაშინა! სულ არ მახსოვდა! ნათლი, აკულინას ათხოვებენო, მართალია?

ა ნ ი ს ი ა (ჯარას თავს ანებებს, მაგიდისაკენ გადმოჯდება). აგერ, დელოვოდან მოვიდნენ კინაღამ, მაგრამ, ეტყობა, რაღაც ჭორს წაჭკრეს ყური და ჩაჩუმდნენ. სადაცაა მოსულიყვნენ უნდა. ჩაიშალა. არავინაა სულელი.

ნ ა თ ლ ი დ ე დ ა. აი, ზუევოდან რო იყვნენ ლიზუნოვები, იმათ რაო?

ა ნ ი ს ი ა. კი მოვიდნენ სანახავად, მაგრამ ეს საქმეც ჩაიშალა. მიკიტას გაგონებაც არ უნდა.

ნ ა თ ლ ი დ ე დ ა. არადა, გათხოვება საჭიროა.

ა ნ ი ს ი ა. საჭიროა და მეტი არა? ყველანაირად ვცდილობ, ნათლი, მინდა, როგორმე მოვაცილო აქაურობას, მაგრამ ვერაფერს ვშვრები და რა ვქნა! მიკიტას არ უნდა. მაინცდამაინც არც გოგო იკლავს თავს გათხოვებაზე. ეტყობა, ჯერ ვერ მოიჯერა გული ბიჭმა, დააწოწალებს ამ თავის მზეთუნახავს და არიან ეგრე.

ნ ა თ ლ ი დ ე დ ა. იიჰ! ცოდოს ნუ ამბობ! აი, რას არ გაიფიქრებ ადამიანი! ბოლოს და ბოლოს, მამინაცვალია.

ა ნ ი ს ი ა. ეჰ, ნათლი, ისე გამაბეს მახეში, ისე გამატუტუცეს, მეტი არ შეიძლება. ვერაფერს ვხვდებოდი მე სულელი, ცოლად რო მივყვებოდი. ჭურში ვიჯექი. არადა, მაგათ თურმე უკვე პირი ჰქონდათ შეკრული.

ნ ა თ ლ ი დ ე დ ა. ვაი, როგორი საქმეა!

ა ნ ი ს ი ა. რაც დრო გადის, სულ უარესი და უარესი. არადა, ვხედავ, მემალებიან, ჩუმ-ჩუმად დაიწყეს ძრომიალი. ეჰ, ნათლი, გული მერევა, ამ ჩემს ცხოვრებას რომ ვუყურებ. ნეტავი არ შემყვარებოდა სულაც.

ნ ა თ ლ ი დ ე დ ა. შენ ეგა თქვი.

ა ნ ი ს ი ა. ძაან მიჭირს ამდენის მოთმენა, ოჰ, როგორ მიჭირს!

ნ ა თ ლ ი დ ე დ ა. ამბობენ, ხელიც წაიგრძელაო, მართალია?

ა ნ ი ს ი ა. ყველაფერი მართალია, ნათლიდედ, ყველაფერი. კი სვამდა უწინაც, მაგრამ არ იყო ეგეთი. რაც უნდა ყოფილიყო, მაინც კარგად ვიყავით ერთმანეთში. ახლა კიდე, რამეზე რო გაბრაზდება, მაშინვე ჩემზე მოიწევს, ლამისაა ფეხქვეშ გამიგდოს. ამასწინანდელ თმაში ჩამაფრინდა, ძლივს გავუსხლტი. გოგოც გველზე უარესი გახდა, ნეტავი როგორ აჩენს მიწა ეგეთ ბოროტ ხალხს!

ნ ა თ ლ ი დ ე დ ა. ო-ო-ო! ვატყობ, ძაან ცუდადა გაქვს საქმე, ნათლი, ძაან ცუდად! მართლაც როგორი მოსათმენია: ღარიბ-ღატაკი კაცი სახლში შემოიყვანო და ასე სამასხარაოდ გაგხადოს! კი მაგრამ, ვერ მოთოკავ როგორმე?

ა ნ ი ს ი ა. ოჰ, ნათლიდედ, გულს რა ვუყო, გულს! ის ჩემი ცხონებული ქმარი ხო ასე მკაცრი იყო, მაგრამ მაინც ჩემს ჭკუაზე დავატარებდი, ამასთან კი აღარ შემიძლია, ნათლიდედ, აღარა! დავინახავ და ეგრევე ლამის დადნეს გული. აღარც გამბედაობა მაქვს, ისე ვარ, აი, ქათამი რო გინახავს წყალში გაწუწული!

ნ ა თ ლ ი დ ე დ ა. ოჰ, ნათლი, გათვალული ხარ სწორედ, გათვალული. ამბობენ, კი ასდის მატრიონას ხელზე ეგეთი რამეებიო. ეტყობა, იმან გაგთვალა!

ა ნ ი ს ი ა. მეც ეგ ვიფიქრე, ნათლიდედ. აკი ხანდახან ისე ვარ გამწარებული, მგონია, აგერ-აგერ შუაზე გავგლეჯ-მეთქი, მაგრამ დავინახავ და, არაფერი, გული არ მომყვება.

ნ ა თ ლ ი დ ე დ ა. ჰოდა, ჯადო გაქვს გაკეთებული, ხომ გეუბნები. ადამიანის გათვალვას განა ბევრი უნდა! აგე, გიყურებ და გაკვირვებას ვარ, რას დაემსგავსე ქალი!

ა ნ ი ს ი ა. ჰო, დავიფეხკე სულ. ახლა, იმ სულელ აკულინასაც შეხედე. აკი ერთი გაჩეჩილი გომბიოა, ფეთხუმი ვიღაცა, მაგრამ ნახე, როგორაა. მორთო და მოკაზმა მიკიტამ. გამოიპრანჭა, გაიბერა საპნის ბუშტივით. ჰოდა, სულელი რისი სულელია, დაიჩემა: მე ვარ ამ სახლში დიასახლისიო. მამაჩემს მიკიტაზე უნდოდა გავეთხოვებინეო. ღმერთმა დაგიფაროს, ისეთი ბოროტი გახდა. რო გაანჩხლდება, სულ ცოფებსა ჰყრის!

ნ ა თ ლ ი დ ე დ ა. ოჰ, რა დღეში ხარ, ნათლი, რა დღეში! არადა, შურს

ხალხს, რა მდიდრები არიანო. ეტყობა, ოქროშიაც არ არი დიდი ხეირი!

ა ნ ი ს ი ა. შური კი, ბატონო, მაგრამ ეს სიმდიდრე რა არი — ქარია! ისე ფანტავს ამ ფულებს, მეტი რომ არ შეიძლება...

ნ ა თ ლ ი დ ე დ ა. კი მაგრამ, ეგრე რატო მიუშვი, აკი შენი ფულია!

ა ნ ი ს ი ა. ეჰ, ყველაფერი რო გაცოდინა... შევცდი და ახლა რა ვუყო.

ნ ა თ ლ ი დ ე დ ა. ერთი, შენს ადგილზე მქნა, ავდგებოდი და, რომელიც ყველაზე დიდი უფროსია, იმასთან მივიდოდი. შენი ფულია, რა უფლება აქვს, მისდგეს და ასე ფანტოს. არ არი ეგეთი უფლებები!

ა ნ ი ს ი ა. ეჰ, მაგეებს ვინ უყურებს ახლა!

ნ ა თ ლ ი დ ე დ ა. ეჰ, ნათლი, ვერა ხარ კარგად, ძაან დასუსტდი.

ა ნ ი ს ი ა. მართლაც ძაან დავსუსტდი, ნათლიდედ, ძაან. ილაჯი გამიწყვიტა ამ კაცმა. თავადაც არ ვიცი, რა ვქნა. ოჰ, ჩემს თავს უბედურს!

ნ ა თ ლ ი დ ე დ ა. მგონი, ვიღაც მოდის, არა? (აყურადებს. კარი იღება და შემოდის აკიმი).

გამოსვლა მეოთხე

ი გ ი ნ ი ვ ე დ ა ა კ ი მ ი.

ა კ ი მ ი (პირჯვარს იწერს, ქალამნებს იბერტყავს, ქურქს იხდის). ჯვარი აქაურობას! რასა იქმთ, ხო კარგადა ხართ? გამარჯობა, შვილო.

ა ნ ი ს ი ა. გაგიმარჯოს, ჩემო ბატონო. შინიდან მოდიხარ? შემოდი, გაიხადე.

ა კ ი მ ი. ვიფიქრე, სიტყვაზე, მოდი ერთი, ბიჭს გავუვლი-მეთქი... ჩემს შვილს გავუვლი-მეთქი. ადრე ვეღარ გამოვეტიე გარეთ, აი, სადილი მოვითავე და წამოველი, ესე იგი... მაგარი თოვლია, ჭირს სიარული... წამოველი და აი, დამიგვიანდა... მაშ, ბიჭი შინ არი, შინ არი-მეთქი ჩემი შვილი?

ა ნ ი ს ი ა. არა, ქალაქს წავიდა.

ა კ ი მ ი (მერხზე ჯდება). პატარა საქმე მაქვს, სიტყვაზე, რაღაც პატარა საქმე... კი ვუთხარი ამასწინანდელ, სიტყვაზე... ცხენი მომიკვდა და რაღა ვქნა, გავბრიყვდე უნდა და სხვა ვიყიდო... რა ცხენიც უნდა იყოს, სიტყვაზე, ცხენი კი იყოს და... ამისთვის მოვედი.

ა ნ ი ს ი ა. კი ამბობდა მიკიტა. მოვა და მოილაპარაკებთ. (ღუმელთან მიდგება). ივახშმე აგერ და, მოვა ამასობაში, აბა რას იზამს. მიტრიჩ, მოდი, საჭმელი ჭამე.

მ ი ტ რ ი ჩ ი (გამოიღვიძებს, ყვირის). რა იყო?
ა ნ ი ს ი ა. მოდი, საჭმელი ჭამე.
მ ი ტ რ ი ჩ ი. ოჰ, უფალო, მიკოლა მწყალობელო!
ა ნ ი ს ი ა. მოდი, ივახშმე-მეთქი.
ნ ა თ ლ ი დ ე დ ა. მე წავედი. კარგად მეყოლეთ. (გადის).

გამოსვლა მეხუთე

ა კ ი მ ი, ა ნ ი ს ი ა და მ ი ტ რ ი ჩ ი.

მ ი ტ რ ი ჩ ი (ძირს ჩამოდის). ვერაფერი გავიგე, ისე ჩამძინებია. ოჰ, უფალო, წმინდაო მიკოლა! გამარჯობა, აკიმ ძია!
ა კ ი მ ი. ჰე! მიტრიჩი! შენ აქ რა გინდა...
მ ი ტ რ ი ჩ ი. მოჯამაგირედ ვარ შენს შვილთან, ნიკიტასთან.
ა კ ი მ ი. უყურე შენ! მაშ, ჩემს შვილთან ხარ მოჯამაგირედ... უყურე შენ!
მ ი ტ რ ი ჩ ი. ქალაქში ვიყავი, ერთ ვაჭარს ვედექი, მაგრამ რაც მებადა, სულ არაყში გავანიავე... ჩამოვედი აგერ, სოფელში, მოჯამაგირედა ვარ. თავი ხომ უნდა შემეფარებინა სადმე. (ამთქნარებს). ოჰ, ღმერთო!
ა კ ი მ ი. კი მაგრამ, მიკიშკა რაღას აკეთებს, სიტყვაზე, თვითონ რასა შვრება? ეტყობა, ბევრი საქმე აქვს, რახან მოჯამაგირე აიყვანა!
ა ნ ი ს ი ა. რა ბევრი საქმე მაგასა აქვს, აგერ ახლა არ იყო, მარტოკა რომ უძღვებოდა ყველაფერს? მაგრამ ახლა სხვა რაღაცეები აქვს თავში, მოჯამაგირე მოინდომა.
მ ი ტ რ ი ჩ ი. კაცს ფული აქვს, მაშ როგორ...
ა კ ი მ ი. ეს კი ტყუილად უქნია, ღმერთმანი. ტყუილად უქნია, სულ ტყუილად. ნებივრობა ჰქვია ამას, სიტყვაზე...
ა ნ ი ს ი ა. კი ნებივრობს, რაც მართალია. უბედურებაც ეგ არის, რომ ძაან განებივრდა.
ა კ ი მ ი. აი, სწორედ: გგონია, უკეთესად არის საქმე, სიტყვაზე, არადა, უარესადაა თურმე. ანებივრებს კაცს სიმდიდრე, სწორედ ანებივრებს.
მ ი ტ რ ი ჩ ი. ქონი ძაღლსაც კი აცოფებს თურმე. ქონში ხარ კაცი, რატო არ განებივრდები რა! მე აგერ, ქონმა იმდენი მიქნა, სამი კვირა ზედიზედ არაყსა ვსვამდი, ერთი დღეც არ ვყოფილვარ ფხიზელი. უკანასკნელი ქალამანიც კი არაყს გადავაყოლე. აღარაფერი რომ არ დამრჩა, კი დავანებე თავი. ახლა აღთქმა მაქვს დადებული, ჯანდაბას მაგისი მომგონი!
ა კ ი მ ი. დედაკაცი სადღაა, ესე იგი, ცოლი სადა გყავს, სიტყვაზე?
მ ი ტ რ ი ჩ ი. დედაკაცი, ძმაო, იქ არი, საცა უნდა იყოს: ქალაქშია, სამიკიტნოებში ზის ხოლმე. ეგეც კაი დარდიმანდი მყავს: ერთი თვალი ამოთხრილი აქვს, მეორეც დაშავებული, სიფათი კიდე, გვერდზე მოღრანჭული. ერთ დღესაც ვერ ნახავ ფხიზლად, ჯანდაბას მაგისი თავი და ტანი!
ა კ ი მ ი. ო-ო! მერედა, რად არი ეგრე?
მ ი ტ რ ი ჩ ი. მაშ, მეტი სად უნდა იყოს სალდათის ცოლი! იქ არის, საცა მისი ადგილია.

დუმილი.

ა კ ი მ ი (ანისიას). მიკიტა რაღაზე წავიდა ქალაქში, გასასყიდი ხო არ წაიღო რამე?
ა ნ ი ს ი ა (სუფრას შლის). არაფერი წაუღია. ფულისთვის არი წასული, ბანკიდან ფული უნდა გამოვიტანოო, თქვა.
ა კ ი მ ი (ვახშმობს). კი მაგრამ, რა უნდა უყოთ, სიტყვაზე, მაგ ფულს, კიდევ სად უნდა წაიღოთ განა?
ა ნ ი ს ი ა. არა, მთელ ფულს კი არ ვახლებთ ხელს, მარტო ოცი თუ ოცდაათი მანეთია. გვიწევს და ავიღოთ უნდა, გამოვიტანოთ.
ა კ ი მ ი. გამოიტანოთ? კი მაგრამ, რაღაზედ უნდა გამოიტანოთ? დღეს გამოიტან, სიტყვაზე, ხვალ გამოიტან, რაღა დაგრჩებათ? ასე ხომ მთელს ფულს გამოიტანთ და მორჩა.
ა ნ ი ს ი ა. არა, ეს ნამატი ფულია, თორემ მთელი ფული ისევ-ისეა, არაფერი აკლდება.
ა კ ი მ ი. არაფერი აკლდება? როგორ თუ არაფერი აკლდება! აიღე შენ აგერ, ფქვილი, სიტყვაზე; კიდობანში, გინდა ბეღელში ჩაყარე. მერე მისდექი და ნაწილ-ნაწილ გამოიტანე, მაინც ის ფქვილი იქნება? არაფერი მიაკლდება? არა, ეგრე არ არი საქმე. იტყუებიან ეგენი. შენ ერთი, კარგად გაიკითხე, არ მოტყუვდეთ ეგრე. როგორ თუ არაფერი აკლდება! გამოიტანე, სიტყვაზე, და მაინც ისევ-ისეა?
ა ნ ი ს ი ა. კარგად მეც აღარ ვიცი, ბატონო. ივან მოისეიჩმა გვირჩია მაშინ; ბანკში შეიტანეთ და მთლად შეგენახებათო, პროცენტებს მიიღებთო.
მ ი ტ რ ი ჩ ი (ჭამას მორჩა). ეს მართალია. ვაჭართან ვცხოვრობდი, იმათაც ეგრე აქვთ ყველაფერი. შეიტანე ფული ბანკში და წამოწექი მერე ღუმელზე არხეინად, მოდის და მოდის ფული.
ა კ ი მ ი. სასწაულ რამეს ამბობ, ღმერთმანი! მოდის და მოდისო... კი მაგრამ, იმათ საიდან მოაქვთ ეს ფულები, სიტყვაზე, იმათ საიდან მოაქვთ განა?
ა ნ ი ს ი ა. ბანკი იძლევა, ბატონო.
მ ი ტ რ ი ჩ ი. ეს რა არი? ამან რა იცის, ქალია, შენ მე მომხედე, ყველაფერს მე აგიხსნი. მიყურე და დაიხსომე. ვთქვათ, შენ ფული

გაქვს, მე კიდე, გაზაფხული მომადგა კარზე. მიწა მიცდება, არაფერი მაქვს, რო დავთესო, აღარც გამოსაღები რამე. რა ვქნა, ვდგები და შენთან მოვდივარ. აკიმ-მეთქი, გეუბნები, მომე ერთი წითელი თუმნიანი, ავიღებ მოსავალს და კი მოგართმევ შენს ფულს-მეთქი. შენ, ვთქვათ, ხედავ, რა მაბადია და რის წაღლეტა შეიძლება: ცხენი იქნება, ძროხა თუ რამე. ჰოდა, მეუბნები: აგერ, ბატონო, წაიღე, ოღონდ ორი თუ სამი მანეთი უნდა წამიმატო, მორჩა და გათავდა. მეც რა ვქნა, მეტი რა გზა მაქვს. კარგი-მეთქი, გეუბნები, გართმევ ამ ათ მანეთს. მერე შემოდგომაზე ის შენი ათი მანეთიც მომაქვს და ზედმეტ სამ მანეთსაც ამაფცქვნი, მაშ!

ა კ ი მ ი. კი მაგრამ, ამას ხო ცუდი ხალხი აკეთებს... აი, ვისაც ღმერთი აღარ ახსოვს, ეგეთი ხალხი... ეგ არ არი საქმე.

მ ი ტ რ ი ჩ ი. შენ დაიცა, მომისმინე. აგერ, ანისიაც ნახე, რას იზამს. დაიხსომე, რას გეტყვი. ახლა შენ ეს საქმე ჰქენი, ეს სამი მანეთი წამღლიტე, ანისიას კიდე ტყუილად უდევს ფული, დედაკაცია — არ იცის, რა უყოს, სად წაიღოს. ჰოდა, მოდის შენთან: თუ შეიძლება, ამ ფულიდან რამე სარგებელი ვნახოო? როგორ არაო, შენ ეუბნები და ხარ ასე, დროს უცდი... აგერ, მოვიდა ზაფხული და კიდევ მოგადექი: აკიმ-ბატონო, ერთი თუმანიც მომე, ჩემზე იყოს შენი პატივისცემა და ეგეთი რამეები. შენც აწონ-დაწონი: თუკი მთლად არ მაქვს ტყავი გამძვრალი და კიდე შეიძლება რამე ამაფცქვნა, მაძლევ ამ ანისიას ფულს. ანდა, ვთქვათ, აღარაფერი მაბადია, ლუკმა პური რა არი, ისიც კი არა მაქვს. იცი, ვეღარაფერს გამომრჩები და მეუბნები: არა, ძმაო, წადი, ღმერთმა ხელი მოგიმართოს... სხვა ვიღაცას ეძებ, იმას აძლევ ამ შენსა და ანისიას ფულს, ახლა იმას ატყავებ. აი, ეს არი შენი ბანკიც. ეგრეა აწყობილი. დიდი ჭკვიანური რამეა, ძმაო.

ა კ ი მ ი (გაბრაზებით). ეს რა ყოფილა! სიბილწე და მეტი არაფერი! გლეხები აკეთებენ ასე... მაგრამ გლეხი რო გლეხია, იმანაც იცის, ამით ცოდვასა შვრება! უკანონოა ეგ საქმე, სიბილწეა! კი მაგრამ, ნასწავლი ხალხი რას ამბობს, სიტყვაზე...

მ ი ტ რ ი ჩ ი. რას ამბობს და, ესაა მაგათი ყველაზე საყვარელი საქმე. აგერ, დაიხსომე: არ იცის ზოგმა, როგორ ასარგებლოს თავისი ფული, უგნურია, ვთქვათ, ანდა ქალია... მიდის და ბანკში მიაქვს ეს თავისი ფული. იგინი კიდე, ჯანდაბას მათი თავი და ტანი, ბოჭავენ ამ ფულს და ატყავებენ ხალხს. ჭკვიანური რამეა, ღმერთმანი.

ა კ ი მ ი (ამოიოხრებს). ეჰ, მე რო ვხედავ, უფულობა რა უბედურებაც არი, ფულიანობა ორჯერ მეტი ყოფილა. მართლაც როგორი საქმეა, სიტყვაზე: უფალმა ღმერთმა შრომა გვიბრძანა, შენ კიდე, შეგაქვს ბანკში ფული და ხარ წამოწოლილი. იწექი და იძინე, ეს შენი ფული გაჭმევს და გასმევს, ხელის განძრევა არ გჭირდება. არა, მართლა სიბილწეა, ღმერთის ხელი არ ურევია ამ ამბავში, სიტყვაზე...

მ ი ტ რ ი ჩ ი. ღმერთის ხელი არ ურევიაო? არა, ძმაო, ამას ვინღა უყურებს ახლა. შენ ისა თქვი, რა პირწმინდად ფცქვნიან ხალხს. საქმეც ეგ არი.

ა კ ი მ ი (ამოიოხრებს). ჰო, ეტყობა, დრო მოდის ეგეთი. ამასწინაზე ქალაქში ვიყავი, საპირფარეშოები ვნახე. გაკრიალებული, მორთულ-მოკაზმული. სამიკიტნო გეგონება, სიტყვაზე. მერედა, რისთვის? არაფრისთვის. ყველაფერი ეგრეა. ღმერთი დაივიწყა ხალხმა. ღმერთი-მეთქი. აღარავის ახსოვს ღმერთი, ყველამ დავივიწყეთ, სიტყვაზე. გმადლობ, შენი ჭირიმე, გამაძღარი ვარ, აღარ ძინდა მეტი.

დგებიან სუფრიდან, მიტრიჩი ღუმელზე ადის.

ა ნ ი ს ი ა (ჭურჭელს ალაგებს, თვითონაც ჭამს). მამამისმა მაინც უთხრას რამე, ცოტა გულისხმაში ჩააგდოს. მე რო ვუთხრა, მრცხვენია და რა ვქნა.

ა კ ი მ ი. რა თქვი?

ა ნ ი ს ი ა. აგერ, ჩემთვის ვთქვი რაღაცა.

გამოსვლა მეექვსე

ი გ ი ნ ი ვ ე და ა ნ ი უ ტ კ ა. ანიუტკა შემოდის.

ა კ ი მ ი. აჰა! მოვიდა ჩვენი ჭკვიანი გოგო! სულ რო ფუსფუსებს! ბა ჭქენი, გაიყინე?

ა ნ ი უ ტ კ ა. მაგრად გავიყინე. გამარჯობა, ბაბუ!

ა ნ ი ს ი ა. აბა, რას მეტყვი, იქაა?

ა ნ ი უ ტ კ ა. არ არის. მარტო ანდრიანი ვნახე, ქალაქიდან ჩამოსულა. იქ იყო ორივე, სამიკიტნოშიო. მამაშენი ძაან მთვრალი იყოო.

ა ნ ი ს ი ა. საჭმელი არ გინდა? აი, აგერ...

ა ნ ი უ ტ კ ა (ღუმელისაკენ მიდის). გავიყინე, წამძვრა ხელები.

აკიმი ფეხსაცმელს იხდის. ანისია კოვზებს რეცხავს.

ა ნ ი ს ი ა. მამა-ბატონო!

ა კ ი მ ი. რა იყო?

ა ნ ი ს ი ა. მარინკა რასა შვრება, როგორა ცხოვრობს?

ა კ ი მ ი. არა უშავს, არის გვარიანად. ჭკვიანი ქალია, წყნარი, მეცადინი... არა უშავს, სიტყვაზე. გული აქვს ოჯახზე დადებული, მუშა-

ობა არ ეზარება და არაფერი. თანაც წყნარი ქალია, ქმრის დამ-
ჯერი... არა უშავს რა, გვარიანადაა.

ანისია. გავიგე, ჩვენი აკულინას დანიშვნა უნდოდათ თქვენსოფლე-
ლებს, მარინკას ქმრის ნათესავებს. რამე ხო არ გაგიგიათ?

აკიმი. მირონოვებს ამბობ? რაღაცას კი ტიტინებდნენ დედაკაცები.
ნამდვილად არაფერი ვიცი, რაც მართალია. დედაბრები კი ამბობ-
დნენ რაღაცას, სიტყვაზე, მაგრამ ვერ დავიხსომე. აღარა მაქვს ეს
მახსოვრობა, აღარა. რა გინდა, მირონოვები კაი ხალხია, ვერ
იტყვი ცუდს.

ანისია. უკვე აღარ ვიცი, რა ვქნა, რამენაირად მალე უნდა გავა-
თხოვოთ.

აკიმი. რა იყო განა?

ანისია (აყურადებს). მოვიდნენ.

გამოსვლა მეშვიდე

იგინივე და ნიკიტა (შემოდის, მთვრალია, ტომარა
შემოაქვს, იღლიაშიც ნავაჭრით სავსე ფუთა და ქაღალდის
პარკი გაუჩრია. კარს აღებს და დგას).

ანისია. აი, ნუ ეტყვი ახლა ნურაფერს. (განაგრძობს კოვზების რე-
ცხვას, კარის გაღებაზე თავსაც კი არ აბრუნებს).

ნიკიტა. ანისია, დედაკაცო! აბა, თქვი: ვინ მოვიდა!
ანისია მოჰხედავს და ზურგს შეაქცევს. დუმს.

ნიკიტა (ვრისხანედ). ვინ მოვიდა-მეთქი! ხო არ დაგავიწყდა?..

ანისია. დაბიწყებს ახლა ყელყელაობას! შემოდი!

ნიკიტა (უფრო მრისხანედ). ვინ მოვიდა-მეთქი, გეუბნები!

ანისია (მიადგება, ხელზე ხელს ჰკიდებს). ქმარი მოვიდა, თუ ეგრე
გინდა. შემოდი სახლში, რაღას უდგეხარ.

ნიკიტა (ჯიუტობს). საქმეც ეგ არი, რომ ქმარი მოვიდა. შენ ეს მი-
თხარი: რა ჰქვია ამ ქმარს? სწორად მითხარი!

ანისია. ერთი შენც... მიკიტა ჰქვია.

ნიკიტა. საქმეც ეგ არი! არა, შენ ის მითხარი, მამის სახელი რა
აქვს ამ მიკიტას, ჰა!

ანისია. აკიმიჩი. მეტი რაღა გინდა?

ნიკიტა (კვლავ კართან დგას). საქმეც ეგ არი! არა, შენ ის მითხარი:
რა გვარია?

ანისია (იცინის, ხელზე ეწევა). რა გვარია და, ჩილიკინი. დახეთ,
როგორ გაიფხორა!

ნიკიტა. საქმეც ეგ არი! (კარის წირთხლს ებღაუჭება, თავს იმაგრებს).
არა, შენ ის მითხარი: რომელი ფეხით შემოდის სახლში ჩილი-
კინი?

ანისია. კარგი, გეყოფა, გამოცივდება აქაურობა.

ნიკიტა. თქვი-მეთქი, რომელი ფეხით შემოდის? აუცილებლად უნდა
თქვა!

ანისია (თავისთვის). გამაბეზრებს ახლა! მარცხენა ფეხით, აჰა! შე-
მოდი.

ნიკიტა. საქმეც ეგ არი!

ანისია. შენ იმას შეხედე, ვინა გვყავს სტუმარი!

ნიკიტა. მამაჩემია? მერე რა, მშობელს არ ვთაკილობ მე. მშობლის
პატივისცემა მაქვს და ყველაფერი. გამარჯობა, მამა-ბატონო!
(ხელს უწვდის). ჩვენი უმდაბლესი სალამი!

აკიმი (არ პასუხობს). აი, ხომ ხედავ, რასა შვრება არაყი... სიბილ-
წეა, სწორედ სიბილწეა!

ნიკიტა. არაყი? რახან დავლიე, არა? ეგ კი, მართლა დამნაშავე ვარ.
რა მექნა, ამხანაგთან დავლიე, დავლოცეთ ერთმანეთი.

ანისია. წადი და დაიძინე, სჯობია.

ნიკიტა. აბა, დედაკაცო, სადა ვდგავარ — მითხარი!

ანისია. გეყოფა ახლა, წადი და დაწექი.

ნიკიტა. დაწექი კი არა და, ჩაი უნდა დავლიო აგერ, მამაჩემთან. სა-
მოვარი დამიდგი. აკულინა, რაღას უყურებ, შემო!

გამოსვლა მერვე

იგინივე და აკულინა.

აკულინა (შემოდის გამოპრანჭული, ნავაჭრი შემოაქვს. ნიკიტას).
რა არი, ყველაფერი რო დაფანტე! ნართი სადღაა?

ნიკიტა. ნართი? იქ არი. ჰეი, მიტრიჩ! სადა ხარ, გძინავს? წადი,
ცხენს მიხედე!

აკიმი (აკულინას ვერა ხედავს, შვილს უყურებს). დახეთ რასა შვრე-
ბა! ბერიკაცი მთელი დღე მუშაობდა, წელი არ გაუმართავს, სი-
ტყვაზე. დახეთ, როგორ გადიდკაცდა: ცხენს მიხედეო! ფუჰ, სი-
ბილწეა, აბა რა!

მიტრიჩი (ღუმელიდან ჩამოდის, თექურებს იცვამს). ოჰ, ღმერთო,
მწყალობელო! ეზოშია ცხენი, ხომა? ქანცი ექნება გამწყდარი.
იფ, როგორ უსვლეპია, ყელში ამოსდის სასმელი! ოჰ, უფალო!
წმინდაო მიკოლა! (ქურქს იცვამს და გარეთ გადის).

ნიკიტა (ჯდება). მაპატიე, მამილო, დავლიე, რაც მართალია. აბა,
რა ვქნა, ქათამი რო ქათამია, ისიცა სვამს ხოლმე. ეგრე არ არი?
ჰოდა, მაპატიე. შენ რა გინდა, მიტრიჩს არა სწყინს, კი მიხედავს
ცხენს.

ანისია. სამოვარი მართლა დავდგა?

ნ ი კ ი ტ ა. დადგი. მამა მომივიდა, ველაპარაკო უნდა, ჩაისაც დავლევ-
(აკულინას) ნავაჭრი სულ მოიტანე?

ა კ უ ლ ი ნ ა. ნავაჭრი? მე ჩემი მოვიტანე, დანარჩენი მარხილშია. აგე,
ეს აიღე, ჩემი არ არი. (მაგიდაზე ფუთას აგდებს და თავის საქო-
ნელს სკივრში ალაგებს. ანიუტკა აკულინას შესცქერის. აკიმი არ
უყურებს შვილს, ფეხსახვევებსა და ქალამნებს აწყობს ღუ-
მელზე).

ა ნ ი ს ი ა. (მიდის, ხელში სამოვარი უჭირავს). ისედაც სავსეა სკივ-
რი — არ იქნებოდა, კიდევ არ ეყიდა.

გამოსვლა მეცხრე

ა კ ი მ ი, ა კ უ ლ ი ნ ა, ა ნ ი უ ტ კ ა და ნ ი კ ი ტ ა.

ნ ი კ ი ტ ა (თავს ისე იჭერს, თითქოს ფხიზელია). შენ, მამაჩემო, ჩემ-
ზე ნუ ხარ ნაწყენი. შენ გგონია, მთვრალი ვარ. ყველაფერი შე-
მიძლია მე, დავლევ კიდევაც, მაგრამ ჭკუას კი არ დავკარგავ. შე-
მიძლია, ვიჯდე ახლა და გელაპარაკო, სუყველაფერი მახსოვს, მაშ!
ისიც ვიცი, ფული რო მიბრძანე, აი, ცხენი მომიკვდაო, რო მი-
თხარი... მახსოვს. ყველაფერი შემიძლია, სულ ჩემს ხელშია ეგე-
თი რამეები. ძაან დიდი ფული რო გინდოდეს, მაშინ ცოტა დაცდა
დაგჭირდებოდა, ეს კი არაფერი, არ გამიჭირდება. აგერ, ეს
ფული!

ა კ ი მ ი (კვლავ ქალამნის თასმებს უკირკიტებს). ეჰ, შვილო, ეს გზა
არ არი, ამას მოლიპული გზა ჰქვია, იცოდე...

ნ ი კ ი ტ ა. ამას რაზე ამბობ? მთვრალს რაღა გელაპარაკოო, არა? გე-
უბნები, ნუ ფიქრობ მაგას. ჩაი დავლიოთ აგერ. ხომ გითხარი, ყვე-
ლაფერი შემიძლია მე, რა საქმე უნდა იყოს, ვერ გავაკეთო.

ა კ ი მ ი (თავს აქნევს). ეჰ, **რა გითხრა...**

ნ ი კ ი ტ ა. აგერა მაქვს ფული. (ჯიბიდან საფულეს იღებს, ფულს აფ-
რიალებს, თუმნიანს იღებს). აიღე ცხენის საფასური. გამომარ-
თვი, არ შემიძლია მე მშობლის დავიწყება. ვერა და ვერ მივატო-
ვებ. იმიტომაც არი მშობელი, მაშ როგორ! აჰა, გამომართვი. ძა-
ლიანაც კარგი. სულაც არ მენანება. (მიდის და ფულს აჩრის.
აკიმი არ ართმევს).

ნ ი კ ი ტ ა. (ხელზე ხელს სტაცებს). გამომართვი, **რომ** გეუბნები. **რაზან**
გაძლევენ, ესე იგი არ მენანება.

ა კ ი მ ი. ვერა, ვერ გამოგართმევ, არ შემიძლია... არც ლაპარაკი შე-
მიძლია შენთან, არა... კაცს არ გავხარ და იმიტომ, არა გაქვს ადა-
მიანის სახე...

ნ ი კ ი ტ ა. გამომართვი, ისე არ გაგიშვებ. აგე. (ფულს ხელში სჩრის).

გამოსვლა მეათე

ი გ ი ნ ი ვ ე და ა ნ ი ს ი ა.

ა ნ ი ს ი ა (შემოდის და ჩერდება). გამოართვი, სჯობია. მაინც არ მო-
გეშვება, ხო იცი.

ა კ ი მ ი (თავს გადააქნევს და ართმევს ფულს). ეჰ, ამ არაყისა რა
ვთქვა! კაცი ხომ კაცს არა ჰგავს...

ნ ი კ ი ტ ა. აი, ასე სჯობია. თუ მოცემაა, მოცემა იყოს, არა და — ჯანი
გავარდეს. ასე ვიცი მე! (დაინახავს აკულინას). აკულინა, გვაჩვე-
ნე, ერთი, ეს შენი საჩუქრები.

ა კ უ ლ ი ნ ა. რა თქვი?

ნ ი კ ი ტ ა. საჩუქრები გვაჩვენე-მეთქი.

ა კ უ ლ ი ნ ა. საჩუქრები! რა ჩვენება გინდა, უკვე შევინახე.

ნ ი კ ი ტ ა. ამოიღე, რო გეუბნები: აგერ, ანიუტკამ ნახოს, გაიხაროს. აბა,
უჩვენე ანიუტკას. თავსაფარი გახსენი. აქ მოიტა!

ა კ ი მ ი. ოჰ, რა სანახავია, გული გაგიწვრილდება კაცს! (ღუმელზე
ადის).

ა კ უ ლ ი ნ ა (იღებს თავსაფარს და მაგიდაზე დებს). აჰა, რა ნახვა ამას
უნდა?

ა ნ ი უ ტ კ ა. ვაი, რა ლამაზია! სტეპანიდინას თავსაფარზე ნაკლები არც
ესაა.

ა კ უ ლ ი ნ ა. სტეპანიდინასი? რას ამბობ, ამასთან სად მოვა! (გამოცო-
ცხლდება, თავსაფარს შლის). აქ ნახე, რა კარგია... ფრანგულია,
მაშ!

ა ნ ი უ ტ კ ა. ჩითიც რა ლამაზია! მაშუტკას აქვს ეგეთი, ოღონდ ის უფ-
რო ღია ფერისაა, მწვანე პირი აქვს. ეს ძალიან კარგია!

ნ ი კ ი ტ ა. საქმეც ეგ არი!

გაბრაზებული ანისია საკუჭნაოში გადის, მოაქვს სუფრა,
მაგიდასთან მიდის.

ა ნ ი ს ი ა. ერთი თქვენაც, გამიფინეთ აქა!

ნ ი კ ი ტ ა. შეხედე, ერთი, შეხედე!

ა ნ ი ს ი ა. რას უნდა შევხედო, არ მინახავს თუ რა! მომაცილე აქედან!
(ხელს გაავლებს თავსაფარს და ძირს აგდებს).

ა კ უ ლ ი ნ ა. რას აგდებ! შენი რო იყოს, მაშინ გადააგდე! (იღებს).

ნ ი კ ი ტ ა. ანისია! შეხედე-მეთქი!

ა ნ ი ს ი ა. რას შევხედო, ადამიანო!

ნ ი კ ი ტ ა. შენ გგონია, დამავიწყდი? აბა, აქ უყურე. (დაანახებს ფუთას,
მერე ზედ ჯდება). შენთვისაც მაქვს საჩუქრები. ოღონდ ჯერ და-
იმსახურო უნდა. აბა, მითხარი, სადა ვზივარ?

ა ნ ი ს ი ა. შენ შენი თავი აიგდე, სულაც არ მეშინია შენი! ვისი ფუ-

ლითაა, რო ბუჟბუჟებ და მაგ შენს სქელუას საჩუქრებს აყრი? ჩემი ფულია.

აკულინა. ვინ მოგახსენა, შენი ფულიაო. კი გინდოდა მოპარვა, მაგრამ ვეღარ მოგართვეს! მომეცალე ერთი! (უნდა გაიაროს და ხელსა ჰკრავს).

ანისია. შენ რა ხელს იკვრეკინები? ხელის კვრას გაჩვენებ, როგორია!

აკულინა. მაჩვენებ? აბა, სცადე ერთი! (მისკენ წაიწევს).

ნიკიტა. აბა, დედაკაცებო, გეყოფათ ახლა! (შუაში ჩადგება).

აკულინა. ეგეც რო დამიწყებს აქა! ჩუმად მაინც იყოს, თავის გულში იცოდეს! შენ გგონია, არავინ იცის, არა?

ანისია. რა იცის? აბა, თქვი, ვინ რა იცის, თქვი!

აკულინა. ყველაფერი ვიცი შენი!

ანისია. კახპა ხარ, კახპა, სხვის ქმართან წევხარ!

აკულინა. შენ აკი მოკალი საკუთარი ქმარი.

ანისია (აკულინას მივარდება). სტყუი!

ნიკიტა (ანისიას აკავებს). ანისია! რაო, ხო არ დაგავიწყდა?

ანისია. ნუ მაშინებ, თუ კაცი ხარ! არ მეშინია მე შენი!

ნიკიტა. გადი გარეთ! (მოაბრუნებს და კარისკენ უბიძგებს).

ანისია. სად უნდა წავიდე? არსადაც არ წავალ ჩემი სახლიდან.

ნიკიტა. გადი, გეუბნები! და არც გაბედო შემოსვლა!

ანისია. არ გავალ! (ნიკიტა კვლავ უბიძგებს. ანისია ტირის, წივის, კარს ებღაუჭება). ვის გაუგია, საკუთარი სახლიდან კინწისკვრით აგდებდნენ ადამიანს! რასა შვრები, შე უკეთურო, შენა! გგონია, შენთვის არ არი სასწორ-სამართალი? დამაცა შენ, დამაცა!

ნიკიტა. აბა, აბა!

ანისია. მამასახლისთან მივალ, ურიადნიკთან მივალ, იცოდე!

ნიკიტა. გადი-მეთქი, რო გეუბნები! (გარეთ აგდებს).

ანისია (კარებიდან). თავს ჩამოვიხრჩობ!

გამოსვლა მეთერთმეტე

ნიკიტა, აკულინა, ანიუტკა და აკიმი.

ნიკიტა. აგრემც გიქნია...

ანიუტკა. ვაი, დედილო, ჩემო კარგო დედილო. (ტირის).

ნიკიტა. ძაან არ შემაშინა! შენ რა გატირებს? მოვა, ნუ გეშინია. მიდი, სამოვარს დახედე.

ანიუტკა გადის.

გამოსვლა მეთორმეტე

ნიკიტა, აკიმი და აკულინა.

აკულინა (აქუჩებს ნავაჭრს, ალაგებს). დახეთ მაგ გათახსირებულს, რა ამბავი დაათენა! დამაცა, ავდგები და სულ დავჭრი მაგის ემაგ კაბას. მართლა დავჭრი.

ნიკიტა. ხო გავაგდე, მეტი რაღა გინდა?

აკულინა. ახალი თავსაფარი დამისვარა მაგ ძუკნამ. ერთი არ გასულიყო, თვალებს ამოვთხრიდი!

ნიკიტა. შენ რაღას ჯავრობ? რო მიყვარდეს, სხვა ამბავია.

აკულინა. მიყვარდესო!.. ესღა გაკლია, ეგ დრუნჩა გიყვარდეს! უნდა გაგეგდო მაშინ, არაფერიც არ იქნებოდა. ჯანდაბაში წათრეულიყო. ჩემია ეს სახლი და ფულიც ჩემია. ეგეც დიასახლისი მყავს, რაღა, დიასახლისი კი არა, ქმრის მკვლელია. სული ამოხადა კაცს. შენც ეგრე გიზამს.

ნიკიტა. ეჰ, დედაკაცის ენას რა დააყენებს! თვითონაც არ იცი, რასა ტიტინებ!

აკულინა. ძალიანაც კარგად ვიცი! აღარ შემიძლია მაგასთან ცხოვრება, სულ გავაგდებ აქედან. ვეღარა ძლებს ჩემთან ქალბატონი! აქ კი არა, ციხეში უნდა ეგდოს, საცა სამართალია!

ნიკიტა. გეყოფა, კარგი. რა გაქვთ გასაყოფი, მართლა და მართლა. მაგას რას უყურებ, მე მიყურე აგერ. მე ვარ აქ უფროსი. რაც მე მინდა, იმას ვაკეთებ. ეგ უკვე გადავიყვარე, ახლა შენ მიყვარხარ. ჩემი საქმეა, ვინც მე მინდა, ის მეყვარება! ჩემი ნებაა. მაგას — ყადაღა, აი, აქა მყავს დაჩოქილი. (ფეხებს აჩვენებს). ეჰ, გარმონი არა მაქვს!

ღუმელის თავს კვერი დევს,
ღუმელის ძირს ფაფა,
ვიცხოვროთ და ვილხინოთ,
არ ღირს დიდი ჯაფა,
დრო მოვა და მოვკვდებით,
სხვა რა გზა გვაქვს აბა.
ღუმელის თავს კვერი დევს,
ღუმელის ძირს ფაფა...

გამოსვლა მეცამეტე

იგინივე და მიტრიჩი (შემოდის, ქურქს იხდის და ღუმელზე ადის).

მიტრიჩი. ეტყობა, ისევ ატეხეს დედაკაცებმა დაკადაკა! დაკაწრეს ერთმანეთი. ოჰ, ღმერთო! მიკოლა მწყალობელო!

აკიმი (ღუმელის კიდეზე ზის, ილებს ფეხსახვევებსა და ქალამნებს, იცვამს). აგერ გადმოდი, აგერა, კუთხეში.

შ ი ტ რ ი ჩ ი (გადადის). ეტყობა, ვერა და ვერ გაიყვეს საჩუქრები. ოჰ, უფალო!

ნ ი კ ი ტ ა. ნაყენი მოიტა, ჩაის მივაყოლებთ.

გამოსვლა მეთოთხმეტე

ი გ ი ნ ი ვ ე დ ა ა ნ ი უ ტ კ ა.

ა ნ ი უ ტ კ ა (შემოდის; აკულინას:) სამოვარი ადუღდა, გადმოვა სადაცაა.

ნ ი კ ი ტ ა. დედაშენი სადაა?

ა ნ ი უ ტ კ ა. დერეფანში დგას, ტირის.

ნ ი კ ი ტ ა. ეგრე. დაუძახე, უთხარი, სამოვარი მოიტანოს. რას უდგეხარ, აკულინა, ჭურჭლეული მოიტა.

ა კ უ ლ ი ნ ა. ჭურჭლეული? კარგი. (მაგიდაზე ჭურჭელს აწყობს).

ნ ი კ ი ტ ა (იღებს ნაყენს, ბლითს, ქაშაყებს). ეს ჩემი, ეს დედაკაცების ნართი, ნავთი იქაა, დერეფანში. აგე, ფულიც. მოიცა. (იღებს საანგარიშოს), ახლავე გამოვთვლი. (საანგარიშოს აჩხაკუნებს). ფქვილი თექვსმეტი შაური, საჭმელი ზეთი... მამაჩემს ათი მანეთი. მამა-ბატონო! მოდი, ჩაი დალიე!

დუმილი. აკიმი ღუმელზე ზის და ქალამნის თასმებს იკრავს.

გამოსვლა მეთხუთმეტე

ი გ ი ნ ი ვ ე დ ა ა ნ ი ს ი ა.

ა ნ ი ს ი ა (სამოვარი შემოაქვს). სად დავდგა?

ნ ი კ ი ტ ა. მაგიდაზე დადგი. რა ქენი, მამასახლისთან იყავი? აბა, თან ილაპარაკე და თან ჭამე. დამიწყებს აქ ფეთიანობას. დაჯექი და დალიე. (ნაყენს უსხამს სირჩაში). აგერ, საჩუქარიც შენი. (აწვდის ფუთას, რომელზედაც იჯდა. ანისია უსიტყვოდ ართმევს, თავსღა გადააქნევს).

ა კ ი მ ი (ღუმელიდან ჩამოდის და ქურქს იცვამს. მიდის მაგიდასთან და ფულს დებს). აჰა, შენი ფული. აიღე.

ნ ი კ ი ტ ა (ფულს ვერა ხედავს). სად მიდიხარ, რო ჩაგიცვამს?

ა კ ი მ ი. წავალ მე, წავალ, მაპატიეთ, თუ ღმერთი გწამთ. (იღებს ქუდსა და სარტყელს).

ნ ი კ ი ტ ა. კაი ამბავი! სადღა წახვალ ამ ღამეში!

ა კ ი მ ი. აღარ შემიძლია მე თქვენს სახლში დარჩენა... ამ სახლში ყოფნა, სიტყვაზე... აღარ შემიძლია და მაპატიეთ, ესე იგი...

ნ ი კ ი ტ ა. რა დროს წასვლაა, სუფრას მოუჯექი, ჩაი არ გინდა?

ა კ ი მ ი (სარტყელს იკრავს). წავალ მე... ცუდი ამბავი გაქვს სახლში, მიკიშკა, ცუდი ამბავი-მეთქი... ცუდად ცხოვრობ, ძაან ცუდად, მიკიშკა... წავალ მე, არ გავჩერდები.

ნ ი კ ი ტ ა. დამიწყებს ახლა ღრიტინს — დაჯე, ჩაი დალიე.

ა ნ ი ს ი ა. როგორ იქნება, ბატონო, დაინახავს ვინმე და ჩავვარდებით სირცხვილში. რა იყო, რა გეწყინა განა?

ა კ ი მ ი. არაფერი... არა, არაფერი მწყენია, სიტყვაზე, არაფერი... ეგ არი, რო ვხედავ: მეღუპება შვილი, დაღუპვის კარზეა, მეღუპება...

ნ ი კ ი ტ ა. ნეტაი, რა დაღუპვას ამბობ! დაამტკიცე აბა!

ა კ ი მ ი. დაღუპვაა სწორედ, თავით ფეხამდე დაღუპული ხარ და ეგ არი, აბა რა გითხარი მე, აი ზაფხულში.!. გახსოვს, რა გითხარი?

ნ ი კ ი ტ ა. რა ვიცი მე, შენ რას იტყვი ხოლმე.

ა კ ი მ ი. ობოლ გოგოზე გითხარი — ობოლი გოგო დაჩაგრე შენ, აი, მარინა რო დაჩაგრე, ის ობოლი გოგო.

ნ ი კ ი ტ ა. ამანაც გამახსენა, რაღა! ახლა ეგ რა მოსატანია! წასული წასულია, მორჩა...

ა კ ი მ ი. წასულია? არა, ძმაო, არ არი წასული... ცოდვას ცოდვა ემატება, სულ მატულობს და მატულობს, სიტყვაზე, ითრევს და ითრევს კაცს, მაშ! შენც ცოდვაში გიდგას ფეხი, მიკიშკა, ცოდვაში ხარ ჩაფლული, შვილო...

ნ ი კ ი ტ ა. დაჯექი და ჩაი დალიე, მოვრჩეთ ამ ლაპარაკს.

ა კ ი მ ი. არა, არ შემიძლია მე შენს სუფრასთან დაჯდომა, არ შემიძლია და რა ვქნა! ვერ დავლევ მაგ შენს ჩაის... მძაგს ეს შენი სიბილწე, ნეტა გაცოდინა, როგორ მძაგს! ვერ დავჯდები-მეთქი შენს სუფრასთან, ვერ დავჯდები.

ნ ი კ ი ტ ა. რად გინდა ეგ ჯანჯლობა, მოდი და დაჯექი აქა!

ა კ ი მ ი. ბადეა ეგ შენი სიმდიდრე, ბადეში ხარ გაბმული, მიკიშკა, ბადეში ხარ გაბმული, შვილო! სულზედაც ხო უნდა იფიქრო, სიტყვაზე, ადამიანმა!

ნ ი კ ი ტ ა. ნეტა რა უფლება გაქვს, მომდგომიხარ ამ ჩემს სახლში და მევე მსაყვედურობ! რას მომდექი, მართლა და მართლა! შენი ღლაპი ხო არა ვარ, ყურები ამიწიო! აღარ არი ახლა ეგეთი რამეები, თორემ კი, ბატონო!

ა კ ი მ ი. ჰო, ვიცი, რო აღარ არი, ახლა პირიქით: მამებს ათრევენ წვერებითო, გავიგე. ოღონდ, დაღუპვისაა ეგ, დაღუპვის ამბავია ყველაფერი, წახდა ხალხი!

ნ ი კ ი ტ ა (გაბრაზებით). რა გინდა: ჩვენთვისა ვართ, შენ არაფერსა გთხოვთ! აგერ, შენ თვითონ მომაკითხე, გაჭირვება დაგადგა და მომაკითხე, ხო ეგრეა!

ა კ ი მ ი. ფულზე ამბობ? მაგერაა შენი ფული, აიღე. მათხოვრად წა-

ვალ და, შენსას არაფერს ავიღებ, სიტყვაზე... არ მინდა, არა და არა!

ნ ი კ ი ტ ა. კარგი ახლა. რასა ბრაზობ, ხალხს ჭამის მადა გაუფუჭე. (ხელს ჰკიდებს და აკავებს).

ა კ ი მ ი (ყვირის). გამიშვი-მეთქი, არ დავრჩები! მირჩევნია სადმე ღობის ძირში გავათიო ღამე, ოღონდ ამ შენს სიბილწეში არ ვიყო და!.. ფუჰ, მომიტევე, უფალო! (მიდის).

გამოსვლა მეთექვსმეტე

ნ ი კ ი ტ ა, ა კ უ ლ ი ნ ა, ა ნ ი ს ი ა და მ ი ტ რ ი ჩ ი.

ნ ი კ ი ტ ა. ესეც კაი ამბავი!

გამოსვლა მეჩვიდმეტე

ი გ ი ნ ი ვ ე და ა კ ი მ ი.

ა კ ი მ ი. (კარს აღებს). გონს მოდი, მიკიტა! სულზედაც ხო უნდა იფიქრო ადამიანმა! (გადის).

გამოსვლა მეთვრამეტე

ნ ი კ ი ტ ა, ა კ უ ლ ი ნ ა, ა ნ ი ს ი ა და მ ი ტ რ ი ჩ ი.

ა კ უ ლ ი ნ ა (ფინჯნებს იღებს). რა ვქნა, დავასხა?

ყველა დუმს.

მ ი ტ რ ი ჩ ი (წამოიყვირებს). ო, უფალო, მომიტევე მე ცოდვილს!

ყველანი შეკრთებიან.

ნ ი კ ი ტ ა (მერხზე წამოწვება). ოჰ, დარდი მაქვს, დარდი, აკულკა, დარდი შემომაწვა! სადაა ჩემი გარმონი?

ა კ უ ლ ი ნ ა. გარმონი? აკი შესაკეთებლად მიეცი. აგერ, დაგისხი, დალიე.

ნ ი კ ი ტ ა. არ მინდა. ჩააქრეთ სინათლე... ოჰ, დარდი შემომაწვა, როგორი დარდი შემომაწვა! (ტირის).

ფარდა

მ ე ო თ ხ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ა

მეოთხე მოქმედების მოქმედი პირნი

ნ ი კ ი ტ ა.
მ ა ტ რ ი ო ნ ა.
ა ნ ი ს ი ა.
ა ნ ი უ ტ კ ა.
მ ი ტ რ ი ჩ ი.
მ ე ზ ო ბ ე ლ ი ქ ა ლ ი.
ნ ა თ ლ ი დ ე დ ა.
მ ძ ა ხ ა ლ ი — კუშტი გლეხკაცი.

შემოდგომა. საღამო. მთვარე ანათებს. შიგა ეზო. შუაში დერეფანი, მარჯვნივ საზამთრო სახლი და ჭიშკარი, მარცხნივ საზაფხულო სახლი და ფარდული. სახლიდან ლაპარაკი და მთვრალების ყაყანი ისმის. დერეფნიდან გამოდის მ ე ზ ო ბ ე ლ ი ქ ა ლ ი, ანისიას ნ ა თ ლ ი დ ე დ ა ს გამოიხმობს.

გამოსვლა პირველი

ნ ა თ ლ ი დ ე დ ა და მ ე ზ ო ბ ე ლ ი ქ ა ლ ი.

მ ე ზ ო ბ ე ლ ი ქ ა ლ ი. აკულინა რატო არ გამოვიდა?

ნ ა თ ლ ი დ ე დ ა. რატო არ გამოვიდა? დიდი სიხარულით გამოვიდოდა, მაგრამ რა ქნას, ავად არი საწყალი. ქალის სანახავად მოვიდა ხალხი, ის კიდე, წევს საცოდავი სიცივეში, თავი ვერ გამოუყვია გარეთ.

მ ე ზ ო ბ ე ლ ი ქ ა ლ ი. კი მაგრამ, ეგეთი რა მოუვიდა ნეტავი?

ნ ა თ ლ ი დ ე დ ა. თვალი აქვს ნაცემი, თქვეს, რაღაც მუცელი ასტკენია.

მ ე ზ ო ბ ე ლ ი ქ ა ლ ი. არა, მართლა?

ნ ა თ ლ ი დ ე დ ა. მაშ რა გეგონა. (ყურში ეჩურჩულება).

მ ე ზ ო ბ ე ლ ი ქ ა ლ ი. არა? აი, ცოდვა თუ გინდა. მძახლებმა რო გაიგონ, მაშინ?..

ნ ა თ ლ ი დ ე დ ა. რისი გამგები ეგენი არიან, მთვრალია სუყველა. თანაც, უფრო მზითევზე უჭირავთ თვალი. ხუმრობა ხო არ არი: ორ ქურქს ატანენ, დედილო, აქეთ — ექვს სარაფანს, ფრანგულ შალს, აუარება ტილოს, ზედაც კაი ორას მანეთ ფულს. აგრე თქვეს.

მეზობელი ქალი. ეჰ, ეგეთი ამბავია, ამდენი ფულიც რას მოგიოხებს გულს. როგორი თავის მოჭრაა!

ნათლიდედა. სსუ... მძახალი არ იყოს...

ჩუმდებიან და დერეფანში შედიან.

გამოსვლა მეორე

მძახალი მარტო გამოდის დერეფნიდან, ასლოკინებს.

მძახალი. როგორ გავვოფლიანდი. ნამეტანი სიცხეა. სულ ერთ წამში შეიძლება გაცივდეს კაცი. (დგას, ოფლს იშრობს). ღმერთმა იცის, რა ამბავია.. რაღაც ისე ვერაა საქმე, ვერ მიჯდება ჭკუაში... ეს დედაბერი მაინც რა ყოფილა...

გამოსვლა მესამე

მძახალი და მატრიონა.

მატრიონა (გამოდის დერეფნიდანვე). არადა, ვფიქრობ, მძახალი სად არი, სად დაიკარგა-მეთქი. შენ კი აგერ ყოფილხარ თურმე, ჩემო კარგო. მადლი ღმერთს, ყველაფერი კარგად ეწყობა. ქალის შერთვა ხუმრობა ნუ გგონია. ისევმც ღმერთმა მაცოცხლოს, მე ხუმრობის არაფერი ვიცოდე. კეთილ საქმეზე ხარ მობრძანებული. ღმერთმა თუ ქნა და ყველაფერი კარგად აეწყო, თავის დღეში მადლიერი იქნები... რო იცოდე, ბედაური გოგოა, მეორეს ვერ ნახავ მაგისთანას, მთელი ეს მხარე რო მოიარო, მაშ!

მძახალი. ეს კი, ბატონო, ოღონდ ფულზე არ შემიშალოთ პირი და...

მატრიონა. ფულზე ერთი წუთითაც ნუ წუხარ. რაც კი მისცეს მშობლებმა, ყველაფერი აქვს, არაფერი მიჰკლებია. ამ ჩვენს დროში თხუთმეტი თუმანი განა ცოტა ფულია!

მძახალი. ბიჭს ვამბობ, თორემ ჩვენ რა გვაქვს საწუხარი. უკეთ გვინდა იყოს, თორემ ჩვენ რა.

მატრიონა. აი, მართალს გეტყვი, მძახალო, წყალი რო არ გაუვა. მე არ ვყოფილიყავი, ტყუილია, თავის დღეში ვერ იპოვიდით ეგეთ გოგოს. აგერ, კორმილინებიც კი მოვიდნენ, მაგრამ მე არ ვქენი, მაგრად დავუდექი. ფულზე კიდე, რაც გითხარი, სწორე გითხარი: რო კვდებოდა მამამისი, აცხონოს ღმერთმა, ეგრე ბრძანა — მიკიტა ჩაისიძოს ჩემმა ქვრივმაო. ჩემმა ბიჭმა მითხრა ეს ყველაფერი. მერე, ჩემი ფულები აკულინას დარჩესო. აკ სხვა ვინმე რო ყოფილიყო, ყველას გამორჩენაზე ექნებოდა თვალი, არადა, ნიკიტა სულ კაპიკ-კაპიკ აძლევს მთელს ფულს. პატარა რამე ხო არ არი, ამოდენა ფულია!

მძახალი. რა ვიცი, ხალხი ლაპარაკობს, უფრო მეტი ფული აქვს ნათქვამი, მეტი დაუტოვაო. შენი ბიჭიც კაი მარდია, ღმერთმანი.

მატრიონა. ვიშ, ჩემო კარგო, რას ამბობ, რო ამბობ! სხვისი ქონება ყველას ერთიათად გვიჩანს თვალში! რაც იყო, იმას იძლევიან... აბა ერთი კარგად აწონ-დაწონე ყველაფერი. ქალად ქალი როგორია — ესეც ხომ სათქმელია! მარწყვივით ქალია.

მძახალი. რა ვიცი, აგერ მე და ჩემი დედაკაცი ვფიქრობთ: აბა, რაზე არ გამოვიდა, არ გამოგვეჩვენა? იქნება რამე სჭირს, რა ვიცით...

მატრიონა. იეჰ!.. რამე სჭირსო!.. რას ამბობ, გენაცვა, მთელ ამ მხარეში მეორე არ დაიარება მაგისთანა ქალი! ბწკენა რო გინდოდეს, ხელს ვერ წაატან, მაშ! ახლა საქმეცა თქვი — როგორი საქმიანია. ცოტა ყურს აკლია, რაც მართალია, მაგრამ წითელი ვაშლი ჭიანაჭამობით ვის დაუწუნებია! რაზე არ გამოგვეჩვენაო... თვალნაცემია-მეთქი, ხო გეუბნები, როგორ გამოგეჩვენებოდა! კი ვიცი, რომელმა ძუკნამაც გათვალა. იცოდა, მნახველები მოუვიდოდა და, აგე, თვალი სცეს, ჯადო გაუკეთეს. არაფერი, მაგის გამოსალოციც ვიცი, ხვალვე ფეხზე წამოვაყენებ. არა, გოგოს ამბავი ნუ გეფიქრება, ეგ რა სათქმელია.

მძახალი. მოკლედ, მოგვარებულია ეს საქმე.

მატრიონა. დიდხანსაც ნუღა გავწელავთ აწი. აქეთ მეც ნუ დამიიწყებთ, მეც ბევრი ჩალიჩი შემხვდა. ასე არ დამტოვო...

ქალის ხმა დერეფნიდან. წავედით, თუ მივდივართ! ივან, წამოდი, კაცო!

მძახალი. მოვდივარ. (მიდის).

დერეფანში მოქუჩდნენ, წასვლას აპირებენ.

გამოსვლა მეოთხე

ანისია და ანიუტკა.

ანიუტკა (გამორბის დერეფნიდან, ანისიას იხმობს). დედი, დედი!

ანისია (აქედან). რა იყო?

ანიუტკა. დედილო, აქ მოდი, თორემ გაიგონებენ. (ორივე ფარდულქვეშ მიდგება).

ანისია. აბა, თქვი, რა გინდა. აკულინა სადღაა?

ანიუტკა. ბელელში შევიდა. გავგიჟდები, ისეთ დღეშია. მე მოვკვდე, მეტის მოთმენის თავი არა მაქვსო. ვიკივლებ და ქვეყანას შევყრიო. მე მოვკვდე.

ანისია. ნუ გეშინია, მოითმენს. მოდი, სტუმრები გავაცილოთ.

ა ნ ი უ ტ კ ა. ოი, დედილო, ძაან ცუდადაა! თანაც, გაბრაზებულია. ტყუილად ლოთობენ, სულ ერთია, მაინც არ გავთხოვდებიო. მირჩევნია, მოვკვდეო. მართლა არ მოკვდეს, დედილო! ძაან მეშინია!

ა ნ ი ს ი ა. ნუ გეშინია, არ მოკვდება. არ მიხვიდე, არ მიეკარო. წამო.

ანისია და ანიუტკა გადიან.

გამოსვლა მეხუთე

მ ი ტ რ ი ჩ ი (მარტოა, ჭიშკრიდან მოემართება და გაბნეულ თივას აქუჩებს). ოჰ, ღმერთო, მიკოლა მოწყალეო! სულ გამოწრუპეს, რაც არაყი იყო. რა სუნი დააყენეს, სულ აქოთდა აქაურობა. არა, ბატონო, არ მინდა, დაიწვას არყის მომგონი! დახეთ, როგორ დაუწიაწებიათ მთელი თივა. ჭამენ განა, აოხრებენ და ეგ არი. აგერამოდენა თალამი. ოჰ, რა სუნია, შიგ ცხვირში მიღიტინებს! ჯანდაბას მაგის მომგონი! (ამთქნარებს). ძილის დროა. არადა, მეზარება შინ შესვლა. ამ არყის სუნის გაძლება არ გინდა? პირდაპირ ცხვირში მომდის. მაინც რა სუნი აქვს ამ ოხერს.

ისმის: სტუმრები მიემგზავრებიან.

წავიდნენ, დაადგათ საშველი. ოჰ, ღმერთო, მიკოლა მოწყალეო! რა დღეში არიან, კისერზე უღელს იდგამენ, ერთმანეთს ასულელებენ. არადა, სულ ტყუილია ყველაფერი.

გამოსვლა მეექვსე

მ ი ტ რ ი ჩ ი დ ა ნ ი კ ი ტ ა.

ნ ი კ ი ტ ა (შემოდის). მიტრიჩ, წადი, ღუმელზე აძვერი, ამას მე ავკრებ.

მ ი ტ რ ი ჩ ი. კეთილი. ოღონდ, ცხვრებს დაუყარე. რა ქნეს, წავიდნენ?

ნ ი კ ი ტ ა. გავაცილე, მაგრამ კარგად ვერაა საქმე. არც ვიცი, რა ვქნა.

მ ი ტ რ ი ჩ ი. რა ბედენა ეგაა! რა დიდი ამბავი უნდა. იმიტომაც არი ობლების სახლი. იქ გინდაც დააგდო, ყველა აიყვანს. რაც გინდა მიეცი, არავინ გეკითხება. აქეთაც ფულს იძლევიან, ის კი არა, მისვლა უნდა და მეტი არაფერი. ახლა ეს იოლი საქმეა.

ნ ი კ ი ტ ა. მიტრიჩ, შენ იცი: რამე რო იყოს, ზედმეტი არაფერი დაგცდეს.

მ ი ტ რ ი ჩ ი. მე რა. როგორც გინდა, ისე წაშალე კვალი. იჰ, სულ არაყით ყარხარ. მაშ, შინ შევალ. (მიდის მთქნარებით). ოჰ, ღმერთო

გამოსვლა მეშვიდე

ნ ი კ ი ტ ა დიდხანს დუმს. მარხილზე ჯდება.

ნ ი კ ი ტ ა. ხათაბალაა, ვერაფერს იტყვი!

გამოსვლა მერვე

ნ ი კ ი ტ ა დ ა ა ნ ი ს ი ა.

ა ნ ი ს ი ა (შემოდის). სადა ხარ?

ნ ი კ ი ტ ა. აქა ვარ, აგერ.

ა ნ ი ს ი ა. მერედა, რას უზიხარ? არ არი მოცდის დრო. ახლა გამოვიყვანოთ უნდა.

ნ ი კ ი ტ ა. კი მაგრამ, რა უნდა ვუყოთ?

ა ნ ი ს ი ა. გითხარი მე, რაც უნდა ვუყოთ. ჰოდა, ჰქენი.

ნ ი კ ი ტ ა. ობლების სახლში წაგეყვანათ, რაკი ეგრეა.

ა ნ ი ს ი ა. ადექი და წაიყვანე, თუ ეგრე გეხალისება. სიბილწეზე კაი მარდი ხარ, შენი წამხდარი საქმის მოგვარებაზე როცა მიდგება საქმე, მაშინ დაგლახაკდები ხოლმე.

ნ ი კ ი ტ ა. მაშ, რაღა ვქნა, მითხარი.

ა ნ ი ს ი ა. აკი გითხარი: სარდაფში ჩადი, ორმო ამოთხარე.

ნ ი კ ი ტ ა. იქნება თქვენ გექნათ რამენაირად, ჰა?

ა ნ ი ს ი ა (გამოაჯავრებს). რა რამენაირად გინდა? ალბათ, არ ეწყობა ეგრე. ამაზე ადრიანად უნდა გეფიქრა. წადი-მეთქი, საცა გეუბნებიან.

ნ ი კ ი ტ ა. ეჰ, ხათაბალაა, რაღა! ხათაბალაა!

გამოსვლა მეცხრე

ი გ ი ნ ი ვ ე დ ა ა ნ ი უ ტ კ ა.

ა ნ ი უ ტ კ ა. დედი, დედი! ბაბო გეძახის! აკულინას პატარა ბალღი ჰყავს. მე მოვკვდე, ტირილი გავიგონე.

ა ნ ი ს ი ა. რასა ტყუი, მეხი კი დაგაყარე! კატის კნუტებია, ისინი ჩხავიან. შინ შედი და დაიძინე, თორემ მე ვიცი...

ა ნ ი უ ტ კ ა. მართალს ვამბობ, დედი, ღმერთმანი, ჩემი ყურით გავიგონე...

ა ნ ი ს ი ა (ხელს მოუღერებს). მე შენ გიჩვენებ!.. კრინტი არ გავიგონო-მეთქი შენი!

ანიუტკა გარბის.

ა ნ ი ს ი ა (ნიკიტას). მიდი და ჰქენი, რაც გითხარი! თორემ მე ვიცი! (გადის).

გამოსვლა მეათე

ნ ი კ ი ტ ა მარტოა. დიდხანს დუმს.

ნ ი კ ი ტ ა. ხათაბალაა, მართლა და მართლა! ოჰ, ეს დედაკაცები! შარია, მაშ რა არი! ადრევე უნდა გეფიქრაო. ადრე როდის უნდა მეფიქრა? აბა, როდის უნდა მეფიქრა? გადამეკიდა ეს ანისია, რა მექნა, ბოლოს და ბოლოს, ბერი ხო არა ვარ? მოკვდა მისი ქმარი და კი ჩავფარცხე ყველა ცოდვა, როგორც საჭირო იყო. ჩემი ბრალი იყო? უარესებიც ხომ ხდება ხოლმე. ახლა კიდე, ის რაღაც წამალი. თვითონ დაალევინა, განა მე გავუპირდი. პირიქით — ეგ რო მცოდნოდა, ხო მოვკლავდი მაშინ მაგ ძუკნას, მართლა მოვკლავდი. მეც თავის სიბილწეში გამხვია მაგ მურდალმა. ჰოდა, კიდეც შემაძულა თავი, აბა რა იქნებოდა. როგორც კი მიხვრა დედაჩემმა ის ამბავი, ეგრევე შემძულდა, დანახვაც კი არ მინდოდა! აბა, როგორ უნდა მეცხოვრა ეგეთ დედაკაცთან? ამასობაში ეს აკულინაც ჩამომეკიდა კისერზე და კიდეც დავიწყეთ ის ამბები... მე რო არ ვყოფილიყავი, მაინც სხვა ვიღაცას აეკიდებოდა. მაშ, აქაც ჩემი ბრალია? ეჰ, ხათაბალაა პირდაპირ. (ზის ჩაფიქრებული). ამ დედაკაცებსაც რა გული აქვთ, არაფრისა ეშინიათ — აგე, რა მოიგონეს! არა, ვერ ვიზამ ეგეთ რამეს, ტყუილია.

გამოსვლა მეთერთმეტე

ნ ი კ ი ტ ა და მ ა ტ რ ი ო ნ ა (ფარანი და ნიჩაბი უჭირავს, ცუხცუხით მოდის.)

მ ა ტ რ ი ო ნ ა. რასა ზიხარ, აი, ქათამი რო დაჯდება ხოლმე ქანდარაზე? ქალმა რა გითხრა? წადი, საქმეს მიხედე.

ნ ი კ ი ტ ა. თქვენ კი არ უნდა ჰქნათ?

მ ა ტ რ ი ო ნ ა. ჩვენ ჩვენი ვიცით, შენ შენი საქმე ჰქენი.

ნ ი კ ი ტ ა. რაღაცაში გამხვევთ მე თქვენ, ვიცი.

მ ა ტ რ ი ო ნ ა. შენ რაო, უარზე ხარ? საქმე საქმეზეა მიმდგარი და, ახლა ითრევ ფეხს?

ნ ი კ ი ტ ა. აკი როგორი საქმეა! ეგეც სულიერია, ბოლოს და ბოლოს!

მ ა ტ რ ი ო ნ ა. სულიერიო... რას ამბობ, ისედაც სიკვდილის პირზეა... აბა, რა უნდა ვუყოთ? ობლების სახლში რომ წაიყვანო, სულ ერთია, მაინც მოკვდება. არადა, ხმა გავა, ქვეყანას მოედება... მერე ნახე, გაუთხოვარი რო დაგიჯდება გოგო სახლში!

ნ ი კ ი ტ ა. კი მაგრამ, ვინმემ რო გაიგოს?

მ ა ტ რ ი ო ნ ა. რა, ჩვენს სახლში ისე ვერ უნდა ვქნათ რამე, ვერავინ

გაიგოს? ნუ გეშინია, კაციშვილი ვერაფერს მიხვდება. ოღონდ შენ მე დამიჯერე, ის ჰქენი, რასაც გეუბნები. ქალები ვართ, უკაცოდ, აბა, რა შეგვიძლია. აგე, გამომართვი ნიჩაბი და ჩადი, მე კიდე, ფარანს მოგინათებ. ქენი, რო გეუბნები...

ნ ი კ ი ტ ა. რა ვქნა განა?

მ ა ტ რ ი ო ნ ა (ჩურჩულით). ორმო ამოთხარე. მერე უცებ გამოვიყვანთ და მოვაყუჩებთ მანდა. აგე, ანისია ისევ იძახის. ჩადი-მეთქი. მივალ, ერთი, რა უნდა.

ნ ი კ ი ტ ა. რა, ხო არ მომკვდარა?

მ ა ტ რ ი ო ნ ა. მოკვდა, ჰო. ოღონდ მალე უნდა ქნა. ხალხი არ დაწოლილა ჯერ — ვინმე გაიგონებს, დაინახავს, მეტი რა უნდათ მაგ გათახსირებულებს! ურიადნიკმაც ჩამოიარა ამ საღამოთი. შენ კიდე, ფეხს ითრევ. (აწვდის ნიჩაბს). ჩადი, მანდ, კუთხეში ამოთხარე, რბილი მიწაა, მერე ისევ მოასწორებ. მუნჯია ეს, დალოცვილი დედამიწა, არავის არაფერს ეტყვის. აბა, ჩადი, გენაცვალე, ჩადი.

ნ ი კ ი ტ ა. რაღაცაში გამხვევთ მე თქვენ, ვიცი. არა, ჯანდაბას თქვენი თავი. წავალ, მირჩევნია. მართლა წავალ. თქვენ თვითონ ქენით, რაც გინდათ.

გამოსვლა მეთორმეტე

ი გ ი ნ ი ვ ე და ა ნ ი ს ი ა.

ა ნ ი ს ი ა (კარიდან). რა ქნა, ამოთხარა?

მ ა ტ რ ი ო ნ ა. შენ სად წახვედი... იმას რა უყავი?

ა ნ ი ს ი ა. ტომარა წავაფარე. ხმას ვერ გაიღებს. რა ქნა, ამოთხარა?

მ ა ტ რ ი ო ნ ა. არ უნდა და...

ა ნ ი ს ი ა (გამოვარდება გაცოფებული). არ უნდა! ციხეში ჩალპობა ხო უნდა! ახლავე წავალ, ურიადნიკს ვეტყვი ყველაფერს! თუ დაღუპვაა, ორივე ერთად დავიღუპოთ. ახლავე ყველაფერს ვეტყვი!

ნ ი კ ი ტ ა (შეკრთომით). რას ეტყვი, აბა, რას?

ა ნ ი ს ი ა. რას? რას და, ყველაფერს! ფული ვინ წაიღო? შენ წაიღე! ნიკიტა დუმს.

შხამი ვინ მისცა? მე მივეცი! მაგრამ შენ იცოდი, იცოდი, იცოდი! შენი თანხმობით ვქენი ყველაფერი!

მ ა ტ რ ი ო ნ ა. კარგი ახლა. შენ, ნიკიტა, რაღას ჯიუტობ? აბა, რა უნდა ვქნათ? გავისარჯოთ უნდა, მეტი რა გზაა. მიდი, გენაცვა, მიდი.

ა ნ ი ს ი ა. ამას დამიხედეთ, რა წმინდანი გამომივიდა! არ უნდა თურმე ვაუბატონს! გამათახსირე და გეყოფა! ხო მაჯირითე, როგორც გინ-

დოდა, ახლა ჩემი ჯერია! მიდი-მეთქი, რო გეუბნები, თორემ მე ვიცი შენი წამალი! ჰა, ნიჩაბი, გამომართვი! მიდი ახლა!

ნ ი კ ი ტ ა. კარგი ერთი, რას მომდექი! (ართმევს ნიჩაბს, მაგრამ მაინც ჭოჭმანობს). ჩემი საქმეა: თუკი არ მინდა, არც ვიზამ.

ა ნ ი ს ი ა. არ იზამ? (კივის). ხალხოო!.. ჰეი!..

მ ა ტ რ ი ო ნ ა (პირზე ხელს აფარებს). აბა, რასა შვრები! გაგიჟდი? წავა, აბა რას იზამს... მიდი, შვილო, მიდი, ჭირიმე.

ა ნ ი ს ი ა. ახლავე ყარაულს დავუძახებ!

ნ ი კ ი ტ ა. გეყოფა ახლა! ეს რა ხალხია, კაცო! გაინძერით აბა, ერთად ვქნათ ყველამ. (სარდაფისკენ მიდის).

მ ა ტ რ ი ო ნ ა. აბა, რა გეგონა, ჩემო კარგო: რო ბუჟბუჟობდი არხეინად, ახლა კვალიც დაფარე!

ა ნ ი ს ი ა (კვლავ აღელვებულია). გამამასხარავეს მაგან და მაგისმა ტიკინამ — მეყოფა! მე მარტო რატო ვიყო კაცისმკვლელი, ეგეც იყოს! ნახოს ერთი, როგორია!

მ ა ტ რ ი ო ნ ა. აბა-აბა, ნუ გაცხარდი. ახლა გაბრაზება კი არა, ისე უნდა ვქნათ, როგორც უფრო კარგი და ლამაზი იქნება. მიდი, აკულინას მიხედე, ეს აქ მიხედავს. (ფარნით მიჰყვება შვილს, ნიკიტა სარდაფში ჩადის).

ა ნ ი ს ი ა. ის კი არა, თავისი ხელით დავახრჩობინებ თავის ნაბიჭვარს. (კვლავ აღელვებით). დავიტანჯე მარტო მე ერთი, პეტრეს ძვლების ხვრამ დამღალა! მაგანაც გაიგოს, თუ კარგია. არა, თავს არ დავინდობ. მითქვამს და ეგრეა!

ნ ი კ ი ტ ა (სარდაფიდან). მომინათე, რაღა!

მ ა ტ რ ი ო ნ ა (უნათებს. ანისიას:) აგე, თხრის. წადი, მოიყვანე.

ა ნ ი ს ი ა. თავზე დაადექი, თორემ წავა ეგ უნამუსო, ეგა! მე წავალ, გამოვიყვან.

მ ა ტ რ ი ო ნ ა. შენ იცი, მონათვლა არ დაგავიწყდეს. თუ არადა, მე მოვნათლავ. ჯვარი ხო გაქვს?

ა ნ ი ს ი ა. კი ვნახავ. ვიცი, როგორცა ვქნა. (გადის).

გამოსვლა მეცამეტე

მ ა ტ რ ი ო ნ ა (მარტო) და ნ ი კ ი ტ ა (სარდაფში).

მ ა ტ რ ი ო ნ ა. რა დედაკაცივით დაჭყიტა თვალები. თუმცა, ადვილი განა. ღმერთმა ქნას, მოვითავოთ ეს საქმე და მორჩა, მივაფუჩეჩებთ. ამ გოგოსაც გავათხოვებთ, აღარ მოიჯაყება. მშვიდად იცხოვრებს მერე ჩემი ბიჭი. მადლობა ღმერთს, სავსეა სახლი დოლათით. მეც აღარ დამივიწყებს. მატრიონა რო არა, რა იქნებოდ

ნენ ეგენი? ვერაფერსაც ვერ მოაბამდნენ თავს. (სარდაფში). მზადაა, შვილო?

ნ ი კ ი ტ ა (ამოდის, თავი უჩანს). აბა, რა დიდი საქმე ეს იყო. მოიყვანეთ, რაღა. დროს რაღაზედ კარგავთ? თუ საქმეა, საქმე იყოს.

გამოსვლა მეთოთხმეტე

ი გ ი ნ ი ვ ე და ა ნ ი ს ი ა. მატრიონა დერეფნისკენ მიდის, ანისიას ეგებება. ანისია გამოდის, ჩვრებში გახვეული ჩვილი უჭირავს.

მ ა ტ რ ი ო ნ ა. რა ქენი, მონათლე?

ა ნ ი ს ი ა. მაშ, რას ვიზამდი... ძლივს გამოვგლიჯე, არ მაძლევდა. (მოდის და ბავშვს ნიკიტას აწვდის).

ნ ი კ ი ტ ა (არ ართმევს). შენ თვითონ ჩაიყვანე.

ა ნ ი ს ი ა. აჰა, გამომართვი-მეთქი! (ბავშვს გადაუგდებს).

ნ ი კ ი ტ ა (იჭერს ბავშვს). ცოცხალია! დედი, დედილო, ტოკავს, ცოცხალია! აბა, მე რა უნდა ვუყო...

ა ნ ი ს ი ა (ბავშვს გამოსტაცებს და სარდაფში მოისვრის). ჩქარა მოახრჩვე და მაშინ აღარ იქნება ცოცხალი! (ხელს ჰკრავს, ქვევით ჩააგდებს). შენი ნამამაძაღლარია და შენვე მოუთავე ხელი!

მ ა ტ რ ი ო ნ ა (საფეხურზე ჯდება.) ჩვილი გული აქვს, უჭირს საწყალს. არადა, მეტი რა გზაა. აკი მაგისი ბრალიცაა. (ანისია სარდაფის თავზე დგას, მატრიონა საფეხურზე ზის, მას შეჰყურებს და მსჯელობს). იიჰ, როგორ დაიზაფრა! არადა, რას იზამ? ძნელი საქნელია, მაგრამ არც უქნელობა იქნება, რა გზაა მეტი. არადა, ბავშვს რო ნატრულობს ზოგ-ზოგები! არ აძლევს ღმერთი, მკვდრებს შობენ ხოლმე. აგერ, თუნდაც ჩვენი მღვდლის ცოლი. ჩვენ კიდე, ცოცხალია და არ გვინდა. (სარდაფს ჩასცქერის). მოკლა, ეტყობა. (ანისიას). აბა, როგორაა საქმე?

ა ნ ი ს ი ა (სარდაფში იყურება). ფიცარი დააფარა და ზედ დააჯდა. ეტყობა, მორჩა.

მ ა ტ რ ი ო ნ ა. ოოჰ! კარგი იყო, აგრე არ გვექნა, კი ჯობდა, მაგრამ რას იზამ, მეტი რა გზა იყო.

ნ ი კ ი ტ ა (ამოდის, ერთიანად ცახცახებს). მაინც ცოცხალია! აღარ შემიძლია... ცოცხალია-მეთქი!

ა ნ ი ს ი ა. თუ ცოცხალია, შენ სადღა მიდიხარ! (უნდა დააკავოს).

ნ ი კ ი ტ ა (ანისიას მივარდება). მომცილდი! მოგკლავ! (ხელს წაავლებს, მაგრამ ანისია გაუსხლტება. ნიკიტა ნიჩაბმოღერებული მისდევს, მაგრამ მატრიონა გზას გადაუჭრის, აჩერებს. ნიკიტა ახლა მას მივარდება). მოგკლავ, შენც მოგკლავ, მომცილდი! (მატრიონაც

ანისიასთან არბის პარმაღზე, ნიკიტა შედგება). მოგკლავ-მეთქი! სუყველას დაგხოცავთ!

მ ა ტ რ ი ო ნ ა. შიშისგან არი ეგრე. არა უშავს, გაუვლის.

ნ ი კ ი ტ ა. ეს რა ქნეს, რა გააკეთეს! მეც რა მიყვეს! როგორ იწივლა... როგორ ატკაცუნდა, რო დავაჯექი... ეს რა მიყვეს! ცოცხალია-მეთქი, ცოცხალი! (დუმს, ყური სარდაფისკენ აქვს). წივის... აგე, წივის, (სარდაფისკენ გარბის).

მ ა ტ რ ი ო ნ ა. წავიდა... ალბათ, უნდა დამარხოს. მიკიტა, ფარანი წაგელო, დაგჭირდება.

ნ ი კ ი ტ ა (არ პასუხობს, დგას სარდაფთან და აყურადებს). აღარაფერი ისმის. მომეჩვენა. (აქეთ გამოდის და ჩერდება). როგორ დაიწყო ძვლებმა ტკაცუნი... ტკაც... ეს რა მიყვეს! (ისევ აყურადებს). არა, ისევ წივის, მართალს ვამბობ — წივის! წივის ისევე! ნეტა ეს რა არი... დედი, ჰა, დედი! (მატრიონასთან მიდის).

მ ა ტ რ ი ო ნ ა. რა არი, შვილო?

ნ ი კ ი ტ ა. დედი, აღარ შემიძლია მეტი, შენი ჭირიმე, დედილო. არ შემიძლია. შემიბრალე, დედი, არ შემიძლია!

მ ა ტ რ ი ო ნ ა. ოჰ, როგორ შეშინდი, შე საბრალო. მოდი, მოდი, არაყი დალიე, გულს გაგიკეთებს.

ნ ი კ ი ტ ა. დედი, შენი ჭირიმე, ეტყობა გავგიჟდი. ეს რა მიყავით, რა? როგორ გატკაცუნდა, როგორ აწივლდა!.. ეს რა მიყავით, დედილო, შენი ჭირიმე, ეს რა მიყავით! (გამოდის და მარხილზე ჯდება).

მ ა ტ რ ი ო ნ ა. ამოდი, საყვარელო, აგერ არაყი გადაჰკარი. ღამეა და ასე მიტომ დაიზაფრე. დაიცა ცოტა, დილა გათენდება, ერთი-ორი დღე გავა და დაგავიწყდება ყველაფერი. დაიცა ცოტა, ამ გოგოს გავათხოვებთ და ყველაფერი დაგავიწყდება. არაყი დალიე-მეთქი, ამოდი და გადაჰკარი ცოტა. სარდაფში მე თვითონ ჩავალ, მე მივხედავ მაქაურობას.

ნ ი კ ი ტ ა (გამოცოცხლდება). რამე არაყი დარჩა მანდ? სმას შევძლებ კი? (მიდის. ანისია, რომელიც მთელი ეს ხანი დერეფანთან იდგა, ჩუმად მოეცლება).

გამოსვლა მეთხუთმეტე

მ ა ტ რ ი ო ნ ა დ ა ა ნ ი ს ი ა.

მ ა ტ რ ი ო ნ ა. მოდი, მოდი, საყვარელო. მე თვითონ ჩავალ, მე დავმარხავ. ნიჩაბი სად დააგდო ნეტავი? (იპოვის ნიჩაბს, სარდაფში ჩადის, ნახევრად მოჩანს). ანისია, მოდი აქა, გამომინათე.

ა ნ ი ს ი ა. ეგ კი რაღას მიკეთებს?

მ ა ტ რ ი ო ნ ა. ხო ხედავ, დაიზაფრა კაცი. შენც ძაან მისდექი, მართლა და მართლა. დაანებე თავი, მოვა გონზე ნელ-ნელა. იყოს, მე თვითონ გავირჯები. აქ დამიდგი ფარანი, კი დავინახავ. (სარდაფში იმალება).

ა ნ ი ს ი ა (იყურება კარისკენ, სადაც ნიკიტა შევიდა). რაო, მორჩა შენი ქეიფი, არა? ძაან ხელგაშლილად რო იყავი, აწი დაიცა, თვითონ მიხვდები, როგორია. მოდგები ცოტა.

გამოსვლა მეთექვსმეტე

ი გ ი ნ ი ვ ე დ ა ნ ი კ ი ტ ა (დერეფნიდან გამოვარდება, სარდაფისკენ გარბის).

ნ ი კ ი ტ ა. დედი, დედი!

მ ა ტ რ ი ო ნ ა (სარდაფიდან თავს ამოყოფს). რა იყო, შვილო?

ნ ი კ ი ტ ა (აყურადებს). ნუ დამარხავ, ცოცხალია! განა არ გესმის — ცოცხალია! აგე... წივის. აგე, გარკვევით ისმის...

მ ა ტ რ ი ო ნ ა. აბა, რას ამბობ, აბა, რანაირად იწივლებს! აკი ბლინივით გააბრტყელე, სულ დაუთქლიშე თავი!

ნ ი კ ი ტ ა. მაშ, ეს რა არი? (ყურებს იცობს). მაინც წივის! მორჩა, დავღუპე მთელი ჩემი ცხოვრება! დავღუპე! ეს რა მიყვეს! ახლა სადღა წავიდე?! (საფეხურზე ჯდება).

ფარდა

ვ ა რ ი ა ნ ტ ი

მეოთხე მოქმედების მეთორმეტე-მეთოთხმეტე, მეთხუთმეტე და მეთექვსმეტე გამოსვლის ნაცვლად შეიძლება წაკითხული იქნეს ეს ვარიანტი.

ს ცე ნ ა მ ე ო რ ე

პირველი მოქმედების სახლი

გამოსვლა პირველი

ა ნ ი უ ტ კ ა, გახდილი წევს მერხზე, ხიფთანი ახურავს.
მ ი ტ რ ი ჩ ი ქორედზე ზის და თამბაქოს აბოლებს.

მ ი ტ რ ი ჩ ი. დახეთ, როგორ ააქოთეს აქაურობა, ჯანდაბას მაგათი თავი და ტანი! ტყუილად გადაღვარეს ამდენი არაყი. თამბაქოს სუნი-

თაც არ გადის, ტიალი! შიგ ცხვირში მიღიტინებს. ოჰ, ღმერთო! ეტყობა, ძილის დროა. (მიდის ლამპასთან, უნდა ჩააქროს).

ანიუტკა (მაშინვე წამოჯდება საწოლზე). ბაბუ, არ ჩააქრო, შენი ჭირიმე, ბაბუ!

მიტრიჩი. რად არ უნდა ჩავაქრო?

ანიუტკა. რაღაცას ხმაურობენ ეზოში. (ყურს უგდებს). აგე, ისევ ბეღლისკენ წავიდნენ, არ გესმის?

მიტრიჩი. მერე შენ რა გინდა, მგონი, შენ არაფერს გერჩიან. დაწექი და დაიძინე. მე აგერ, ლამპას ჩავაქრობ. (უწევს ლამპას).

ანიუტკა. ბაბუ, შენი ჭირიმე, სულ ნუ ჩააქრობ. სულ პატარაზე მაინც დატოვე, თორემ მეშინია!

მიტრიჩი (იცინის). კარგი, კარგი. (ახლოს მიუჯდება). კი მაგრამ, რად გეშინია რო?

ანიუტკა. აბა, როგორ არ მეშინოდეს, ბაბუ! აკულინა რა დღეში იყო... სულ კიდობანს ახლიდა თავს. (ჩურჩულით). მე ხო ვიცი... პატარა ბავშვი უნდა გააჩინოს... იქნება უკვე კიდეც გააჩინა...

მიტრიჩი. რა მოუსვენარი ხარ, შენ შეგჭამონ ბაყაყებმა, აჰანდე! ყველაფერი შენ როგორ უნდა იცოდე! დაწექი და დაიძინე... აი, ეგრე. (საბანს აფარებს). აი, ეგრე. თორემ ბევრი რომ გეცოდინება, ადრე დაბერდები, მაშ!

ანიუტკა. შენ ღუმელზე დაწვები, არა?

მიტრიჩი. მაშ, სად უნდა წავიდე. აი, რა სულელი ხარ, რო გიყურებ. ყველაფერი შენ როგორ უნდა იცოდე. (უფრო ჩაფუთნის და დგება). აი, ეგრე იწექი და იძინე. (ღუმელისკენ მიდის).

ანიუტკა. ერთი წამოიწივლა და მორჩა, არაფერი ისმის.

მიტრიჩი. ოჰ, უფალო, მიკოლა მოწყალეო! რა არ ისმის, განა?

ანიუტკა. რა და, ბავშვის ხმა.

მიტრიჩი. არაფერი ბავშვიც არ არის და მიტომაც არ ისმის.

ანიუტკა. არა, გავიგონე მე, ჩემი ყურით გავიგონე. მე მოვკვდე, გავიგონე. აი, ასე, წვრილად...

მიტრიჩი. ბევრი რამე გაიგონე. აი, ის თუ გაიგონე, სწორედ შენისთანა გოგო ჯადოქარმა ტომარაში რო ჩაისვა და ტყეში გააცუნცულა?

ანიუტკა. რა ჯადოქარმა?

მიტრიჩი. რა ჯადოქარმა და იმ ჯადოქარმა. (ადის ღუმელზე). როგორ გატკბა უკვე ღუმელი, რა თბილია. პირდაპირ ცხონებაა! ოჰ, უფალო, მიკოლა მოწყალეო!

ანიუტკა. ბაბუ, იძინებ, ბაბუ?

მიტრიჩი. მაშ, რა გგონია, სიმღერას ვეპირები?

დუმილი.

ანიუტკა. ბაბუ, ჰა, ბაბუ! გესმის, მიწას თხრიან სარდაფში! ღმერთმანი, მიწას თხრიან, არ გესმის? მე მოვკვდე, მართლა თხრიან!

მიტრიჩი. რას არ მოიგონებს ეს ბალღი! ამ ღამით რა დროს მიწის თხრაა! აბა, ვინა თხრის? ძროხა ზურგს იფხანს, ეს კიდე — მიწას თხრიანო! დაიძინე-მეთქი, გეუბნები, თორემ ახლავე ლამპას ჩავაქრობ.

ანიუტკა. არ ჩააქრო, ბაბუ, არ ჩააქრო, შენი ჭირიმე! გავჩუმდები, ღმერთმანი, მე მოვკვდე, გავჩუმდები. ვაი, მეშინია...

მიტრიჩი. გეშინია? ნურაფრის შიში ნუ გექნება, ჰოდა, მაშინ აღარ შეგეშინდება. თორემ თან შიში გაქვს და თან მეშინიაო — გაიძახი. შიში როგორ არ გექნება, როცა გეშინია, ჰა? ეს რა სულელი გოგოა.

დუმილი. ჭრიჭინა ჭრიჭინებს.

ანიუტკა (ჩურჩულით). ბაბუ, ჰა, ბაბუ! დაგეძინა?

მიტრიჩი. აბა, კიდე რა გინდა?

ანიუტკა. ჯადოქარი რანაირია, მითხარი.

მიტრიჩი. რანაირია და, იმნაირი. აი, შენისთანა რო იქნება ბავშვი, რო არ იძინებს ხოლმე, მოვა ტომრით და ჩაუძახებს იმ ტომარაში, თვითონაც შიგ ჩაძვრება, აუწევს პერანგს და მოსცხებს და მოსცხებს შენი მოწონებული.

ანიუტკა. რითი მოსცხებს განა?

მიტრიჩი. ცოცხს აიღებს და მითი.

ანიუტკა. კი მაგრამ, ტომარაში რას დაინახავს რო?

მიტრიჩი. შენ ნუ გეშინია, ძალიანაც კარგად დაინახავს.

ანიუტკა. მე კიდე, ვუკბენ და მორჩა.

მიტრიჩი. ვერა, ძმობილო, იმას ვეღარ უკბენ.

ანიუტკა. ბაბუ, ვიღაცა მოდის! ვინ არი ნეტა... ვაიმე, დედი, ვინ არი?

მიტრიჩი. მოდის და მოვიდეს, რა დაგემართა! მგონი, დედაშენი მოდის.

გამოსვლა მეორე

იგინივე და ანისია (შემოდის).

ანისია. ანიუტკა!

ანიუტკა თავს იმძინარებს.

მიტრიჩ!

მიტრიჩი. რას ბრძანებთ?

ანისია. ლამპას რადა წვავთ? ჩვენ იქით სახლში ვწვებით ამაღამ.

მიტრიჩი. ამწუთას დავწექი. ჩავაქრობ.

ანისია (რაღაცას ეძებს სკივრში, ბუზღუნებს). რამე რო დაგჭირდება, ვერაფრით მოიძევ ხოლმე.

მიტრიჩი. რას ეძებ რო?

ანისია. ჯვარი მინდა. უნდა მოვნათლო. ღმერთმა დაგვიფაროს და, ეგრე მოუნათლავი მოკვდეს, ცოდვა-ბრალია.

მიტრიჩი. მაშ, როგორ, წესი და რიგი უნდა, რასაკვირველია. რა ქენი, იპოვე?

ანისია. ვიპოვე. (გადის).

გამოსვლა მესამე

მიტრიჩი და ანიუტკა.

მიტრიჩი. ეგრე, თორემ მე ჩემი უნდა მიმეცა. ოჰ, ღმერთო!

ანიუტკა (კვლავ წამოჯდება საწოლზე, ცახცახებს). ვაიმე, ბაბუ! არ დაიძინო, იწამე ღმერთი! ვაი, როგორ მეშინია!

მიტრიჩი. აბა, რისი გეშინია?

ანისია. მოკვდება, ხომ, ის პატარა ბავშვი? აი, არინა ძალოს ბავშვიც ეგრე მონათლა ბებიამ — ჰოდა, მოკვდა.

მიტრიჩი. მოკვდება და დამარხავენ, მეტი რა.

ანიუტკა. იქნება არ მომკვდარიყო, მაგრამ მატრიონა ბებია აქა. მე ხო გავიგონე, რაცა თქვა. მე მოვკვდე, გავიგონე.

მიტრიჩი. რა გაიგონე, აბა, რა გაიგონე? დაიძინე-მეთქი. წაიფარე თავზე და მორჩა.

ანიუტკა. არადა, მე მოვუვლიდი, ცოცხალი რო ყოფილიყო...

მიტრიჩი (წამოიძახებს). ოჰ, უფალო!

ანიუტკა. ნეტა რას უზამენ, სად წაიყვანენ?

მიტრიჩი. საცა საჭიროა, იქ წაიყვანენ, შენ მაგაზე ნუ წუხარ. დაიძინე, რო გეუბნები. აგერ, მოვა დედაშენი და ნახე, რას გიზამს!

დუმილი.

ანიუტკა. ბაბუ! აი, ის გოგონა, შენ რო მომიყევი, აკი არ მოუკლავთ?

მიტრიჩი. ვინ გოგონა? აჰა... ის გოგონა გზაზე დადგა, კარგად წაუვიდა საქმე.

ანიუტკა. აი, რო მიყვებოდი, როგორ იპოვეთ განა?

მიტრიჩი. როგორ ვიპოვეთ და ისე ვიპოვეთ.

ანიუტკა. სად იპოვეთ? მითხარი.

მიტრიჩი. იმათ სახლში ვიპოვეთ. შევედით სოფელში, დაიწყეს ჯარისკაცებმა სახლების ჩხრეკა... ვნახეთ, პირჩაღმა ეგდო. მოკვლა უნდოდათ. ისეთი დარდი შემომაწვა, მეტი არ შეიძლება. დავწვდი და ავიყვანე. ძლივს ავწიე, ხუთი ფუთი რატო არ იქნებოდა, ისე იყო დამძიმებული. რაც კი ხელში მოხვდებოდა, ტყუილია, ისე ჩაებღაუჭებოდა, ხელს ვერ გააშვებინებდი. ჰოდა, ავიყვანე, თავზე ხელი გადავუსვი. არადა, ხეშეში თავი ჰქონდა, აი, ზღარბი რო გინახავს აჯაგრული. მიყურა, მიყურა და გაყუჩდა მერე. მეც ორცხობილა დავალბე, მივეცი. კი იყო გაბურსალებული, მაგრამ მაინც მიხვდა, საჭმელი რო იყო. მოხუხნა და მოხუხნა. რა უნდა გვექნა, თან წავიყვანეთ. დავუწყეთ საჭმლის ჭმევა. მიგვეჩვია ნამეტანი. ლაშქრობაშიაც გვახლდა ხოლმე, მივდიოდით და მოგვყვებოდა. კაი გოგონა კი იყო.

ანიუტკა. მონათლული თუ ჰყავდათ ნეტავი?

მიტრიჩი. აბა, მე რა ვიცი. ამბობდნენ, არც მთლად ეგრეო. არ იყო ის ხალხი ჩვენებური ხალხი.

ანიუტკა. გერმანელები იყვნენ, არა?

მიტრიჩი. რას ამბობ, რისი გერმანელები. გერმანელები კი არა, აზიელები. აი, ზუსტად ურიებსა ჰგვანან, მაგრამ არც ურიები არიან. უფრო პოლონელები ითქმის, მაგრამ აზიაში ცხოვრობენ... კრუდლები ჰქვიათ. დამავიწყდა, რაღა. გოგოს კიდე, საშკა დავარქვით. საშკა ერქვა, კარგი გოგონა იყო, რაც მართალია. აგე, ხო ხედავ, ყველაფერი დამავიწყდა, იმ გოგონას კიდე, აი, სულ თვალნათლივა ვხედავ, დალახვროს ღმერთმა. გაროზგვა მახსოვს ერთი, რო გამროზგეს, და ის გოგო მახსოვს, არა და არ მავიწყდება. კისერზე ჩამომეკიდებოდა ხოლმე, მივდიოდი და აეგრე მიმყავდა. ისეთი იყო, უკეთესს ნუღა იტყვი, სად ნახავდი მეორე იმისთანას. მერე ასისთავის ცოლმა იშვილა — მივეცით. კიდეც ეწია ბედს, მაშ. ძაან გული დაგვწყდა ყველას, მთელს ჯარისკაცებს!

ანიუტკა. აგერ მეც, ბაბუ, კარგად მახსოვს, მამაჩემი რო მოკვდა. შენ მაშინ არ ცხოვრობდი ჩვენსა. დაუძახა მიკიტას, აგრე უთხრა: მაპატიე, მიკიტაო... ატირდა თანაც. (ამოიოხრებს). ძაან შემეცოდა.

მიტრიჩი. ეგა თქვი და.

ანიუტკა. ბაბუ, ბაბუ! აგე, რაღაც ისევ ფხაკურობენ სარდაფში. ოჰმე, წმინდაო ღვთისმშობელო, დედაო ზეციერო! ოჰ, ბაბუ, რაღაცას წაჰკიდებენ იმ ბავშვს... მოკლავენ. ეგეთ პაწაწკინტელას... ვაიმე! (თავზე საბანს იფარებს და ტირის).

მიტრიჩი (აყურადებს). მართლა რაღაცას ბილწობენ, ჯანდაბას მაგათი თავი და ტანი! რა წყეულები არიან ეს დედაკაცები, მართლა და მართლა! კაცებიც ხო რა არიან, მაგრამ დედაკაცებს ნუღა იტყვი... ეგენი ხო სულ ტყიურები არიან, ტყის მხეცები. არაფრის რო არ ეშინიათ!

ანიუტკა (დგება). ბაბუ!

მ ი ტ რ ი ჩ ი. კიდევ რაღა გინდა?

ა ნ ი უ ტ კ ა. ამასწინაზე ვიღაცამ ჩამოიარა, ჩვენსა გაათია, ჰოდა, ეგრე თქვა: ბავშვი რო მოკვდება, მისი სული პირდაპირ ცაში მიდისო. მართალია განა?

მ ი ტ რ ი ჩ ი. ვინ იცის, იქნება ეგრეცაა. რაო?

ა ნ ი უ ტ კ ა. ნეტა მე მოვკვდებოდე-მეთქი. (სლუკუნებს).

მ ი ტ რ ი ჩ ი. მოკვდები და კიდეც სათვალავში დააკლდები ქვეყანას.

ა ნ ი უ ტ კ ა. ათ წლამდე კიდევ ბავშვია ადამიანი, ჰოდა, იქნება მართლა წავიდეს ღმერთთან სული. ათი წლის მერე რაღა ვქნა, აკი წავწყდებით ყველანი.

მ ი ტ რ ი ჩ ი. წავწყდებით და მერე როგორ! მით უფრო თქვენი ჯილაგი, დედაკაცები... აბა, დედაკაცს ვინ რას ასწავლის? ანდა, რას ნახავთ, რას გაიგონებთ? სიბილწეს და მეტს არაფერს! მე აგერ, რა დიდი ნასწავლი მქვია, მაგრამ რაღაცა ხო მაინც ვიცი. დიდი არაფერი, მაგრამ სოფლის დედაკაცზე მეტი მაინც ხო ვიცი. აბა, სოფლის დედაკაცი რა არი? თხლეა და მეტი არაფერი! მილიონობით დედაკაცია რუსეთში, მაგრამ რა გინდა, ყველანი თხუნელებივითა ხართ დაბრმავებულები. არაფერი თქვენ არ იცით. მარტო ძროხის შელოცვა და რაღაც ათასი ჯადო, ანდა ბალღების საქათმეში შეყვანა და გამოლოცვა — სულ ეგაა თქვენი ცოდნა.

ა ნ ი უ ტ კ ა. დედაჩემსაც მივყავდი საქათმეში ხოლმე.

მ ი ტ რ ი ჩ ი. ეგა თქვი და. მილიონობითა ხართ, მილიონობით, დედაკაცები და გოგოები, არადა ტყიურებივითა ხართ ყველანი, მხეცებივითა ხართ. როგორც გაიზრდება, ისევე ჩაკვდება დედაკაცი, მეტი რა... არაფერი უნახავს, არაფერი გაუგია... კაცი სამიკიტნოში მაინც შევა, ანდა ციხეში მოხვდება, ან კიდე ჯარში წაიყვანენ და რაღაცას გაიგებს მაინც. დედაკაცი კი რას გაიგებს? ღმერთი კი არა, აი, პარასკევი რა არი, არ იცის რიგიანად. პარასკევიო, გაიძახის, მაგრამ ჰკითხე ერთი, რა არი, არა, ვერ გეტყვის, აზრზე არ არი. დაღოღიალობენ ბრმა ლეკვებივით, ნეხვში ჩრიან თავებს. მარტო ის თავიანთი სულელური შაირები იციან: ჰა-ჰაიო. მაგრამ რა არი ეს ჰაი-ჰაი, თავადაც არ იციან...

ა ნ ი უ ტ კ ა. მე კიდე, ბაბუ, მამაო ჩვენო ვიცი ნახევრამდე...

მ ი ტ რ ი ჩ ი. შენ ბევრი რამე იცი! არადა, არც უნდა მოგკითხოთ ადამიანმა. აბა, ვინ რას გასწავლით? მთვრალი კაცი თუ გაწურთნის ქალს ზოგჯერ სადავით, ეგაა. ეგაა მთელი თქვენი სწავლა-განათლება. არადა, აღარც ვიცი, ვის უნდა მოეკითხოს თქვენი ამბავი. რეკრუტი რო რეკრუტია, იმასაც ჰყავს ხოლმე ლალა ან ზემდეგი, დედაკაცის პატრონი კი აღარავინაა. პირუტყვები ხართ, თავაშვებული საქონელი და აღარც მწყემსია ვინმე, თავზე რო დაგადგეთ

და გიპატრონოთ. არავინაა დედაკაცზე უფრო ბნელი და ბეჩავი, ეგრეა.

ა ნ ი უ ტ კ ა. აბა, რა ვქნათ, რა გვეშველება?

მ ი ტ რ ი ჩ ი, რა ქნათ და, ის ქნათ... შეყავი ახლა თავი და დაიძინეო, ღმერთო!

დუმილი. ჭრიჭინა ჭრიჭინებს.

ა ნ ი უ ტ კ ა (წამოვარდება). ბაბუ! ვიღაცა ყვირის, რაღაც ამბავია! ღმერთმანი, მართლა ყვირის! ბაბუ, შენი ჭირიმე, აქეთ მოდის ვიღაცა!

მ ი ტ რ ი ჩ ი. გეუბნები, თავზე წაიფარე-მეთქი!

გამოსვლა მეოთხე

ი გ ი ნ ი ვ ე, ნ ი კ ი ტ ა და მ ა ტ რ ი ო ნ ა.

ნ ი კ ი ტ ა (შემოდის). ეს რა მიყვეს, რა დღეში ჩამაგდეს!

მ ა ტ რ ი ო ნ ა. გადაჰკარი, გენაცვალე, არაყი გადაჰკარი! (გამოაქვს არაყი, წინ უდგამს). რა დაგემართა...

ნ ი კ ი ტ ა. მომე, დავთვრები...

მ ა ტ რ ი ო ნ ა. ჩუმად, არა სძინავთ. აჰა, გადაჰკარი!

ნ ი კ ი ტ ა. რა ქენით ეს, რა მოიგონეთ! წაგეყვანათ მაინც სადმე...

მ ა ტ რ ი ო ნ ა (ჩურჩულით). იჯექი, იჯექი აქა. კიდე დალიე, ანდა თამბაქო მოსწიე, საფიქრალს მოგაცილებს.

ნ ი კ ი ტ ა. დედი, შენი ჭირიმე, ეტყობა გავგიჟდი და ეგაა. როგორ იწივლა... როგორ ატკაცუნდა ძვლები... ტკაც — ასე... აღარა ვარ ადამიანი.

მ ა ტ რ ი ო ნ ა. იიჰ, ნუ ამბობ სისულელეს! ღამის ბრალია, იმიტომაც ხარ დაზაფრული. დაიცა, გათენდეს, ერთი-ორი დღეც გავიდეს, ყველაფერი დაგავიწყდება. (მიდის და მხარზე ხელს ადებს).

ნ ი კ ი ტ ა. მომცილდი! ეს რა მიყავით, რა მიყავით?

მ ა ტ რ ი ო ნ ა. რა იყო, შვილო, რა მოგივიდა, ბოლოს და ბოლოს. (ხელზე ხელს ჰკიდებს).

ნ ი კ ი ტ ა. მომცილდი-მეთქი! მოგკლავ! უკვე ფეხებზე მკიდია ყველაფერი! მოგკლავ!

მ ა ტ რ ი ო ნ ა. ეჰ, როგორა ხარ დაზაფრული. ჯობს წახვიდე, დაიძინო.

ნ ი კ ი ტ ა. აბა, სადა მაქვს წასასვლელი, დავიღუპე კაცი!

მ ა ტ რ ი ო ნ ა (თავს აქნევს). ეჰ, წავალ, იქაურობას მივხედავ. იჯდება ერთხანს და გაუვლის, აბა რა იქნება. (გადის).

გამოსვლა მეხუთე

ნიკიტა, მიტრიჩი, ანიუტკა.

ნიკიტა (ზის, სახეზე ხელები აუფარებია. მიტრიჩი და ანიუტკა გასუსულები არიან). წივის, მართლა მესმის, აგე... გარკვევით... დამარხავს ეს ქალი, დააფარებს მიწას! (კარისკენ გარბის). დედი, არ დამარხო, ცოცხალია-მეთქი...

გამოსვლა მეექვსე

იგინივე და მატრიონა.

მატრიონა (მობრუნდა. ჩურჩულით.). რა მოგდის, შეგეწიოს უფალი! რა გელანდება! ცოცხალი როგორღა იქნება, დაჩეჩქვილი აქვს ძვლები!

ნიკიტა. კიდე დამისხი. (სვამს არაყს).

მატრიონა. წადი, შვილო. დაგეძინება ახლა, არაფერია.

ნიკიტა (დგას, აყურადებს). ისევ ცოცხალია... აგე... წივის. ნუთუ არ გესმის?! აგე...

მატრიონა (ჩურჩულით). არაფერია-მეთქი, გეუბნები!

ნიკიტა. დედი, შენი ჭირიმე! წახდა ჩემი ცხოვრება. ეს რა მიყავით! ახლა სადღა წავიდე? (გარეთ გარბის. მატრიონაც მიჰყვება).

გამოსვლა მეშვიდე

მიტრიჩი და ანიუტკა.

ანიუტკა. ბაბუ, ბაბუ! დაახრჩვეს ამათ ის ბავშვი...

მიტრიჩი (გაბრაზებით). დაიძინე, რო გეუბნები! რა დღეში ხარ, შენ შეგჭამონ ბაყაყებმა! აი, ცოცხს მოგცხებ ახლა. დაიძინე-მეთქი!

ანიუტკა. ბაბუ, შენი ჭირიმე! ვიღაცა მხარში ჩამაფრინდა, თავი დამადო! შენთან გადმოვალ, რა, ბაბუ! მე მოვკვდე, მართლა გადმოვალ! ამომიშვი ღუმელზე, აგრემც ღმერთი შეგეწევა! აგე, მტაცა ხელი, აგე... ვაიმე! (ღუმელისკენ გარბის).

მიტრიჩი. აი, როგორ დაზაფრეს ბალღი! ეგ წყეულები, ჯანდაბას მაგათი თავი და ტანი! კარგი, ამოძვერი!

ანიუტკა (ღუმელზე ადის). ოღონდ არსად წახვიდე, რა, ბაბუ!

მიტრიჩი. ნუ გეშინია, არსადაც არ წავალ, სად უნდა წავიდე? ამოძვერი, ამოძვერი. ოჰ, ღმერთო, წმინდაო მიკოლა, ყაზანის წმინდა ღვთისმშობელო!.. როგორ დააშინეს ბალღი! (საბანს აფარებს). აი, სულელი, მართლა სულელი... დაზაფრეს მაგ წყეულებმა, ჯანდაბას მაგათი თავი და ტანი!

ფარდა

მეხუთე მოქმედება

მეხუთე მოქმედების მოქმედი პირნი

ნიკიტა.
ანისია.
აკულინა.
აკიმი.
მატრიონა.
ანიუტკა.
მარინა.
მარინას ქმარი.
I გოგო.
II გოგო.
ურიადნიკი.
მეეტლე.
მაყარი.
მაჭანკალი ქალი.
სიძე — აკულინას საქმრო.
მამასახლისი.
სტუმრები, ქალები, გოგოები, ქორწილის ხალხი.

პირველი სცენა

კალო. წინა პლანზე ჩანს ზვინის საძირე ლასტი, მარცხნივ კალოს წრე, მარჯვნივ საბძელი. საბძლის კარი ღიაა, კართან ნამჯა ყრია; სიღრმეში ჩანს ეზო და ისმის სიმღერა და ეჟვნების წკრიალი. ბილიკზე, საბძლის გასწვრივ სახლისკენ მოდის ორი გოგო.

გამოსვლა პირველი

I გოგო. აი, ხო ხედავ, რა სუფთად გამოვედით, წაღებიც არ გაგვსვრია, არადა, სოფელზე გამოვლა პირდაპირ უბედურებაა, ტალახია...

ჩერდებიან, ნამჯით ფეხსაცმელებს იწმენდენ.

I გოგო (ნამჯას დაჰყურებს; რაღაც შეამჩნია). ეს რაღაა აქა?

II გოგო (აკვირდება). მიტრიჩია, ამათი მოჯამაგირე. დახე, როგორ გამომტყვრალა.

I გოგო. ეგ ხო არა სვამდა?

II გოგო. ეტყობა, დღემდე ჰქონდა დათქმული.

I გოგო. შეხედე, ნამჯისთვის მოსულა, თოკიც ხელთა აქვს. ეგრევე ჩასძინებია.

II გოგო (ყურს უგდებს). ჯერ მეფე-დედოფლის მილოცვა-შემკობაში არიან, არ დაულოცია მშობლებს. ამბობენ, აკულინას სულ არ დაუწყია წიწინიო.

I გოგო. რა ვიცი, დედაჩემმა თქვა, არ უნდოდა თურმე გათხოვება. მამინაცვალი დაემუქრა, თორემ თავის დღეში არ გათხოვდებოდაო. ხო გახსოვს, რას არ ჭორაობდნენ მაგაზე!

გამოსვლა მეორე

ი გ ი ნ ი ვ ე დ ა მ ა რ ი ნ ა წამოეწევათ.

მ ა რ ი ნ ა. გამარჯობათ, გოგოებო!

გ ო გ ო ე ბ ი. გაგიმარჯოს, ძალო!

მ ა რ ი ნ ა. ქორწილში მიდიხართ, საყვარლებო, არა?

I გ ო გ ო. საცაა დამთავრდება კიდეც. ისე, შევხედავთ-თქო.

მ ა რ ი ნ ა. ერთი ჩემს ქმარს დამიძახეთ, სემიონი როა, ზუევოელი მგონია, იცნობთ?

I გ ო გ ო. როგორ არ ვიცნობ, სხვა თუ არა, სიძის ნათესავია.

მ ა რ ი ნ ა. ჰო, სიძის ბიძაა.

I I გ ო გ ო. თვითონ რად არ შეხვალთ? ქორწილი იყოს და, არ შეხ... ვიდე?

მ ა რ ი ნ ა. არ მეხალისება, გოგონი, თანაც არცა მცალია. გზას ვადგ... ვარ, ქორწილში არც ვაპირებდით. ქალაქს მივდივართ, შვრია მ... გვაქვს. ცხენებს ვაჭმევთ-თქო, ამაზე შევჩერდით. დაინახეს ჩემ... ქმარი და დაუძახეს.

I გ ო გ ო. ვისთანა ხართ გაჩერებული? ფეოდორიჩთან, არა?

მ ა რ ი ნ ა. სწორედ მანდა. მაშ, მე აქ ვიდგები, შენ კი გამომიყვან... ჩემი ქმარი, კარგი? გამომიყვანე, საყვარელო. უთხარი: შენი ცო... ლი გეძახის, მარინა-თქო. ხალხმა უკვე შეაბა ცხენები, მიდიან... თქო.

I გ ო გ ო. კარგი, რაკი თვითონ არ გინდა მისვლა.

გოგოები ეზოსაკენ მიუყვებიან ბილიკს. ისმის სიმღერა და გარ... მონის ხმა.

გამოსვლა მესამე

მ ა რ ი ნ ა, მ ა რ ტ ო.

მ ა რ ი ნ ა (ჩაფიქრებით). არა უშავს, მივიდოდი, ქვეყანა არ დაიქცე... ოდა, მაგრამ აღარა მაქვს მისვლის ხალისი. უარი რო მითხრ... იმის მერე აღარც მინახავს. მეორე წელია. არადა, კი მინდა ერთ... თვალი შევავლო, ვნახო — როგორ არი იმ თავის ანისიასთან... ხალხი ამბობს, ვერ ეწყობიან ერთმანეთსო. კი, უხეში ქალ... მძიმე ხასიათი აქვს. ეჰ, ვიცი, ბევრჯერ გამიხსენებდა... შეეხარ... კაი ცხოვრება და ეგრე გამცვალა. არა უშავს, ღმერთმა ხელი მ... უმართოს, არა მაქვს ცუდი გული... მაშინ კი მართლა ძაან მ... წყინა, ვაი, როგორ მომიკვდა გული! მაგრამ უკვე მორჩა, მოე... ნელე ყველაფერი, კიდეც დამავიწყდა. არადა, კი შევხედავ... ერთს... (ეზოსკენ გაიხედავს და ნიკიტას დაინახავს). დახე, აგ... არი... კი მაგრამ, რიღასთვის მოდის? იქნება მას უთხრეს გოგ... ებმა? სტუმრების მიტოვება იქნება? წავალ მე...

გამოსვლა მეოთხე

მ ა რ ი ნ ა დ ა ნ ი კ ი ტ ა (ერთხანს თავჩაკიდებული მოდის, ხელებს აქნევს, რაღაცას ბუტბუტებს).

მ ა რ ი ნ ა. როგორ არი დაღონებული!

ნ ი კ ი ტ ა (დაინახავს მარინას, იცნობს). მარინა! ჩემო კარგო მარ... ნუშკა! რაზე მოხვედი განა?

მ ა რ ი ნ ა. აგერ, ქმარს მოვაკითხე.

ნ ი კ ი ტ ა. ქორწილში რაღაზედ არ შემოხვედი? შემხედავდი, იცი... ნებდი.

მ ა რ ი ნ ა. რა მაქვს საცინელი? ქმარს მოვაკითხე-მეთქი.

ნ ი კ ი ტ ა. ეჰ, მარინუშკა! (მოხვევას უპირებს).

მ ა რ ი ნ ა (გაბრაზებით). შენ, მიკიტა, გირჩევნია დაივიწყე ეგ ილე... თები! რაც იყო, იყო, წავიდა! ქმართანა ვარ მოსული. ხო თქვენ... საა?

ნ ი კ ი ტ ა. მაშ, ძველი აღარ გავიხსენოთ, არა? არ გინდა?

მ ა რ ი ნ ა. რა კარგი გასახსენებელი ის არი. რაც იყო, წავიდა, მორჩა.

ნ ი კ ი ტ ა. და აღარც დაბრუნდება განა?

მ ა რ ი ნ ა. არა, არ დაბრუნდება. შენ რა, რაღაზედ გამოხვედი? მას... პინძელმა ქორწილი მიატოვე...

ნ ი კ ი ტ ა (ნამჯაზე ჯდება). ვინ წამოვიდა რო? ეჰ, ნეტა გაცოდინა, ნეტა ჩემს გულში ჩაგახედა!.. დარდი მაქვს, მარინუშკა, ისეთი დარდი მაქვს, ნეტა ვერაფერს ვხედავდე, თვალები მქონდეს დავ... სილი. მივატოვე სუფრა, ავდექი და წამოვედი, ოღონდ კი არა... ვინ დავინახო-მეთქი.

მ ა რ ი ნ ა (მიუახლოვდება). რატომ ეგრე, მიკიტა?

ნ ი კ ი ტ ა. იმიტომ, რომ ჭამით ვერა ვჭამ, სმით ვერა ვსვამ, ვერ ვი... ძინებ, ძილი არ მეკარება! აჰ, მომბეზრდა ყველაფერი, მარინუშ... კა, როგორ მომბეზრდა! ყველაზე მეტად იმან გამაბეზრა, მარტო ვარ ადამიანი, არავინა მყავს, დარდი ვუთხრა, გულის ტკივილი გავუზიარო!

მ ა რ ი ნ ა. უდარდოდ ვერც იცხოვრებ, მიკიტა! მე აგერ, გამოვიტირე ჩემი სადარდელი და წავიდა, გაიარა.

ნ ი კ ი ტ ა. ეგ ძველი, ადრინდელი... შენ კი გამოიტირე და მოინელე, მე კიდე აი, აქ ამომივიდა!

მ ა რ ი ნ ა. რატომ, მერე?

ნ ი კ ი ტ ა. იმიტომ, რომ მომძულდა ცხოვრება, საკუთარი თავიც მომ... ძულდა! ეჰ, მარინა, ვერ ქენი, ვერ დამიჭირე ხელში და აგე, კი... დეც დამღუპე და თავიც დაიღუპე! განა ესაა ცხოვრება?

მ ა რ ი ნ ა (დგას ფარდულთან, ტირის, ცდილობს თავი შეიკავოს). მე

არ ვემდური ჩემს ბედს, ნიკიტა, არ ვემდური. მე რო ვცხოვრობ, ღმერთმა ყველას მისცეს ისეთი. არ ვემდური. მაშინ ყველაფერი ვუთხარი ჩემს ქმარს, ყველაფერი მოვინანიე. მაპატია. აღარც წამომძახებს ხოლმე. არა, არ ვუჩივი ჩემს ბედს. წყნარი კაცია, კაი გულით მიყურებს და ყველაფერი. ვაცმევ მის ბალღებს, ვბან, ვუვლი. ჰოდა, კაი გული აქვს ჩემზე. არა, არ ვუჩივი ჩემს ბედს. ეტყობა, ღმერთმა ეგრე გაარიგა.. შენ კი რასა იქმ, როგორა ცხოვრობ? მდიდრად კი ხარ...

ნ ი კ ი ტ ა. ჩემს ცხოვრებასაც თუ ცხოვრება ჰქვია!.. ქორწილის ჩაშლა არ მინდა, თორემ ავიღებდი აი, ამ თოკს (ნამჯაში დაგდებულ თოკს იღებს), აგერ ლატანზე გადავკიდებდი, კაი ლამაზ მარყუჟს გამოვსკვნიდი, ავიდოდი ზედ და გადმოვეშვებოდი თავით... აი, ეგაა ჩემი ცხოვრება!

მ ა რ ი ნ ა. კარგი, ერთი, ღმერთმა დაგიფაროს!

ნ ი კ ი ტ ა. შენ გგონია, ვხუმრობ, არა? გგონია, მთვრალი ვარ? არა ვარ მთვრალი, უკვე სასმელიც კი არ მეკიდება. დარდმა, დარდმა შემჭამა, მარინუშკა, მომკლა და გამათავა! ისე შემხრა, უკვე აღარაფერი მიხარია! ეჰ, მარინუშკა, თუკი ბედნიერი დღეები მქონია ცხოვრებაში, ის იყო, შენთან რო ვიყავი... გახსოვს, რკინიგზაზე ღამეებს რო ვათენებდით ხოლმე?

მ ა რ ი ნ ა. ძველ სატკივარს ნუღა გააარჯლებ, მიკიტა! მეც ჯვარდაწერილი ვარ და შენცა. მაპატიეს შეცოდება, ჰოდა, ნუ ამოქექავ იმ წარსულს...

ნ ი კ ი ტ ა. მაშ, ამ ჩემს გულს რა ვუყო? რაღა ვქნა?

მ ა რ ი ნ ა. რაღა ჰქნა? ცოლი გყავს, იმას მოუარე, სხვაზე ნუ გიჭირავს თვალი! აკი გიყვარდა ანისია, ჰოდა, აწიც გიყვარდეს.

ნ ი კ ი ტ ა. ეჰ, ანისია — ჩემი მწარე ყისმათი... აი, მწარე აბზინდა როა, სარეველა ბალახი, ეგრე ჩამეხვია, შემიბორკა ფეხები.

მ ა რ ი ნ ა. როგორიც უნდა იყოს, მაინც ცოლია შენი. თუმცა, რაღას ვლაპარაკობთ, უკეთესია სტუმრებს მიხედო, თან ჩემს ქმარსაც დაუძახე.

ნ ი კ ი ტ ა. ეჰ, ნეტა ყველაფერი გაცოდინა... აბა, რა გითხრა, რა საქმელი ეგ არი!

გამოსვლა მეხუთე

ნ ი კ ი ტ ა, მ ა რ ი ნ ა, მისი ქ მ ა რ ი, ა ნ ი უ ტ კ ა.

მ ა რ ი ნ ა ს ქ მ ა რ ი (გამოდის ეზოდან, გაწითლებული, მთვრალი). მარინა, ქალო! აქა ხარ?

ნ ი კ ი ტ ა. აგე, შენი ქმარიც გამოვიდა, გეძახის. აბა, მიდი.

მ ა რ ი ნ ა. შენ კი რაღას იზამ?

ნ ი კ ი ტ ა. მე განა? აქ წამოვწვები ერთხანს. (ნამჯაში წვება).

მ ა რ ი ნ ა ს ქ მ ა რ ი. სადაა ნეტა ეს ქალი?

ა ნ ი უ ტ კ ა. აი, აგერ არის, ძია, საბძელთან.

მ ა რ ი ნ ა ს ქ მ ა რ ი. აქ რაღას უდგეხარ? შემო ქორწილში, მასპინძლები გთხოვენ: მოვიდეს, პატივი გვცესო. მალე მოთავდება, წაიყვანენ დედოფალს და ჩვენც ჩვენს გზაზე წავალთ.

მ ა რ ი ნ ა (გამოდის, ქმარს ეგებება). რაღაც არ მინდა, იმიტომ არ შემოვედი.

მ ა რ ი ნ ა ს ქ მ ა რ ი. წამო, რო გეუბნები. დალიე ერთი ჭიქა, იმ ცუღლუტ პეტრუნკას დალოცავ. სწყინთ მასპინძლებს, ნუ გეშინია, ჩვენს საქმესაც მოვასწრებთ. (გადაჰხვევს ხელს და მასთან ერთად მიდის ბარბაცით).

გამოსვლა მეექვსე

ნ ი კ ი ტ ა და ა ნ ი უ ტ კ ა.

ნ ი კ ი ტ ა (წამოიწევს, ნამჯაზე წამოჯდება). ეჰ, დავინახე და უარესად გამიხდა გული! მარტო მასთან ვიყავი ბედნიერი, მარტო ეს მქონდა ცხოვრებაში. არაფრის გულისთვის დავღუპე ჩემი ცხოვრება, თავი გავიუბედურე! (კვლავ წამოწვება). ახლა რაღა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე? აჰ, ნეტა მიწამ პირი მიყოს და ჩამიტანოს!

ა ნ ი უ ტ კ ა (დაინახავს ნიკიტას და მისკენ გამორბის). მამა-ბატონო, შენ გეძებენ! უკვე ნათლიამაც დალოცა. მე მოვკვდე, დალოცა. ჯავრობენ, სად არისო.

ნ ი კ ი ტ ა (თავისთვის). რა წყალს მივცე თავი!

ა ნ ი უ ტ კ ა. რა დაგემართა, რას ამბობ რო?

ნ ი კ ი ტ ა. არაფერსაც არ ვამბობ, რას მომდექი!

ა ნ ი უ ტ კ ა. წამო, მამა-ბატონო, წავიდეთ! (ნიკიტა დუმს. ანიუტკა ხელზე ხელს ჰკიდებს და ეწევა). წამო, დალოცე ბარემ! მართალს ვამბობ, ჯავრობენ უკვე, ილანძღებიან.

ნ ი კ ი ტ ა (ხელს გამოსტაცებს). დამანებე თავი!

ა ნ ი უ ტ კ ა. წამო-მეთქი, რო გეუბნები!

ნ ი კ ი ტ ა (სადავეს წამოავლებს ხელს). მომცილდი, თორემ გიჩვენებ ახლა!..

ა ნ ი უ ტ კ ა. მაშინ დედიკოს გამოვუშვებ. (გარბის).

გამოსვლა მეშვიდე

ნ ი კ ი ტ ა, მარტოა.

ნ ი კ ი ტ ა (წამოიწევს). აბა, როგორღა მივიდე? ხატი როგორ ავიღო? აკულინას რა პირით შევხედო თვალებში? (ისევ წამოწვება). ეჰ, ნეტავი ბზარი ჰქონდეს ამ მიწას, ჩავძვრებოდი და დავიმალებოდი. კაციშვილი ვერ მნახავდა. (ისევ წამოიწევს). არა, არსადაც არ შევალ... ჯანდაბას ყველა. არ წავალ. (ჩექმებს იხდის. თოკს იღებს, მარყუჟს გამოსკვნის, ყელზე ჩამოიცვამს). აი, ეგრე...

გამოსვლა მერვე

ნ ი კ ი ტ ა და მ ა ტ რ ი ო ნ ა. ნიკიტა დაინახავს დედას, მარყუჟს მოიცილებს და კვლავ ნამჯაზე წამოწვება.

მ ა ტ რ ი ო ნ ა (ცუხცუხით მოდის). მიკიტა! ჰა, მიკიტა! დახეთ, ხმასაც არ იღებს! მიკიტა, რა მოგივიდა, დაითვერი? წამო, მიკიტუშკა, წამო, ჩემო კარგო. ლოდინით დაიღალა ხალხი.

ნ ი კ ი ტ ა. ეს რა მიყავით, რა მიყავით?! აღარა ვარ ადამიანი, აღარა!

მ ა ტ რ ი ო ნ ა. აბა, რას ამბობ! წამო, ჩემო კარგო, წამო, დალოცე, როგორც წესი და რიგია და წადი, საცა გინდა. აგე, გელოდება ხალხი.

ნ ი კ ი ტ ა. კი მაგრამ, როგორღა უნდა დავლოცო?

მ ა ტ რ ი ო ნ ა. რა ცოდნა მაგას უნდა, განა არ იცი?

ნ ი კ ი ტ ა. ვიცი, ვიცი, მაგრამ ვინ უნდა დავლოცო? აკი რა გავუკეთე?

მ ა ტ რ ი ო ნ ა. რა გაუკეთე? გაიხსენა ამანაც! კაციშვილმა არაფერი იცის, არც დიდმა და არც პატარამ. გოგო კიდე, თავისი ნებით მიდის.

ნ ი კ ი ტ ა. აბა, როგორ მიდისო?..

მ ა ტ რ ი ო ნ ა. კი ბატონო, შიშით მიდის, მაგრამ ხო მიდის! აბა, რა უნდა ქნას? მაშინ უნდა ეფიქრა, ახლა რაღა დროს ფეხის თრევაა. მძახლებიც არაფერს ჩივიან. ერთი-ორჯერ ნახეს გოგო, აქეთ ფულსაც ვატანთ. ყველაფერი კარგად და ლამაზად არი.

ნ ი კ ი ტ ა. კი მაგრამ, სარდაფში რაღაა?

მ ა ტ რ ი ო ნ ა (იცინის). სარდაფში რაღაა? კომბოსტო, სოკო, კარტოფილი... წასული საქმე რაღაზე გავიხსენოთ?

ნ ი კ ი ტ ა. ნეტა შემეძლოს, არ გავიხსენო, მაგას რაღა სჯობდა, მაგრამ არ შემიძლია და რა ვქნა! გამახსენდება თუ არა, ისევ ის ხმა მესმის... ოჰ, ეს რა მიყავით!..

მ ა ტ რ ი ო ნ ა. კარგი ერთი, რა თავპატიჟს იდებ, მართლა და მართლა!

ნ ი კ ი ტ ა (პირქვე დაემხობა). დედი! ნუღა მაწვალებ, მომეშვი! აი, აქა მაქვს ამოსული!

მ ა ტ რ ი ო ნ ა. კი მაგრამ, საჭიროა, შვილო, საჭიროა. ისედაც ჭორაობს ხალხი, აქეთ კიდე, მამა წავიდაო, აღარ მოდის, დალოცვას ვერა ბედავსო — რას იტყვიან? მაშინვე მიხვდება ყველა. ხელი თუ აგიკანკალდა, მიხვდებიან და მოგჭამა ჭირი! ხო გაგიგია, ქურდი თუ არ დაიჭირეს, ქურდი არ არისო. არადა, ვაის გავექეცი, ვუის შევეყარეო... არაფერი არ უნდა დაიმჩნიო, მაშ. ნუ დაფრთხები, თორემ მიხვდებიან-მეთქი.

ნ ი კ ი ტ ა. ეჰ, ამიბნიეთ გზა-კვალი და ეგაა!

მ ა ტ რ ი ო ნ ა. კარგი, კარგი, წავიდეთ ახლა. დალოცე, როგორც საჭიროა და მორჩა.

ნ ი კ ი ტ ა (პირქვე წევს). არ შემიძლია.

მ ა ტ რ ი ო ნ ა (თავისთვის). რა დაემართა? ყველაფერი კარგად იყო, ეს რა აუტყდა ასე უცებ. ეტყობა, ჯადო აქვს გაკეთებული. მიკიტა, ადექი-მეთქი! აგე, ანისიაც მოდის, სტუმრები მიატოვა.

გამოსვლა მეცხრე

ნ ი კ ი ტ ა, მ ა ტ რ ი ო ნ ა და ა ნ ი ს ი ა.

ა ნ ი ს ი ა (მორთულ-მოკაზმული, გაწითლებული, შემთვრალი). რა კარგადაა ყველაფერი, დედილო! რა კარგადაა, რაც მართალია! ხალხიც კმაყოფილია და ყველაფერი. სად არი რო?

მ ა ტ რ ი ო ნ ა. აქ არის, საყვარელო, აქა. დაწვა აგერ, ნამჯაში, და აღარა დგება. არ მოდის.

ნ ი კ ი ტ ა (ცოლს უყურებს). დახეთ, ეგეც გამობრუჟულა! ვუყურებ და გული მერევა. ამასთან როგორ უნდა ვიცხოვრო? (კვლავ პირქვე ჩაბრუნდება). მოვკლავ, როცა იქნება, და მთლად უარესი.

ა ნ ი ს ი ა. დახეთ სად შემძვრალა, ნამჯაში! დამთვრალა და ეგაა. (იცინის). წამოგიწვებოდი აგერ გვერდში, მაგრამ სადღაა მაგისი დრო. წამო, მიგიყვან. ოჰ, რა კარგადაა სახლში ყველაფერი! ყურებით ვერ გაძღები. გარმონიც რო გადი-გამოდის! ცეკვავენ ქალები, ვიშ, რას ცეკვავენ! მთვრალია ყველა. ხალხის პატივისცემაც ამას ჰქვია! რა კარგია!

ნ ი კ ი ტ ა. რა არი კარგი?

ა ნ ი ს ი ა. ქორწილი, ეგეთი მხიარული ქორწილი. ყველა ამბობს, იშვიათია ამისთანა ქორწილიო. ისე კარგად და პატიოსნადაა ყველაფერი. ერთად მივიდეთ... კი დავლიე, მართალია, მაგრამ მიგიყვან აგერ. (ხელს ხელზე ჰკიდებს).

ნ ი კ ი ტ ა (ზიზღით გამოსტაცებს ხელს). მარტო წადი. მე თვითონ მოვალ.

ა ნ ი ს ი ა. რასა ფრთხვინავ რო! ყველა უბედურება მოვიცილეთ, ეს გოგოც გავასაღეთ, ერთმანეთს რო გაგვყარა! აწი რაღა გვიჭირს, ვიცხოვროთ და ვიმხიარულოთ! ყველაფერი პატიოსნად და კანონიერად მოგვარდა. ისე ვარ გახარებული, ისე, რომ მეტი აღარ შეიძლება. მგონია, ახლა ვთხოვდები, ცოლად მოგყვები. ვიშ, რა კმაყოფილია ხალხი. ყველა მადლობელია. სტუმრებიც ყველა კარგია, სულ დარჩეული ხალხი. ივან მოისეიჩიც აქაა, ბატონი ურიადნიკიც. გვადღეგრძელეს და ყველაფერი.

ნ ი კ ი ტ ა. თუ ეგრეა, წადი და მიუჯექი გვერდში, აქ რაღაზედ მოდი?

ა ნ ი ს ი ა. მართლა უნდა მივიდე, თორემ რა გამოდის? მასპინძლები წავიდნენ და სტუმრები მარტოკა დააგდეს. არადა, რა კარგი ხალხია სუყველა.

ნ ი კ ი ტ ა (დგება, ნამჯას იბერტყავს). წადით და მეც ახლავე მოვალ.

მ ა ტ რ ი ო ნ ა. დახეთ, ზოგისა ბამბა ჩხრიალებს, ზოგისა ოქროც არაო. მე არ დამიჯერა, ცოლის სიტყვაზე კი ეგრევე მოდის. (მატრიონა და ანისია მიდიან). აბა, რასა შვრები, მოდიხარ?

ნ ი კ ი ტ ა. ახლავე მოვალ. თქვენ წადით, ახლავე მეც გამოგყვებით. მოვალ და დავლოცავ...

ქალები ჩერდებიან.

წადით, გამოგყვებით-მეთქი. წადით, რაღა!

ქალები მიდიან, ნიკიტა მათ გაჰყურებს დაფიქრებული.

გამოცვლა მეათე

ნ ი კ ი ტ ა, მარტო, შემდეგ მ ი ტ რ ი ჩ ი.

ნ ი კ ი ტ ა (ჯდება და ჩექმებს იხდის). ეგრევე დაგიჯერეთ და წაგყევით! ვერ მოგართვით! არა, ბატონო, მეძებეთ, ნახეთ, აგე, ლატანზე ხო არა ვარ ჩამოკონწიალებული. ჩამოვიცვი მარყუჟი და გადმოვეშვი. მეძებეთ. სადაეც აქაა, ძალიანაც კარგი, დიდი მადლობა. (ჩაფიქრდება). დავივიწყებდი ყველაფერს, მოვინელებდი, რა დარდიც უნდა ყოფილიყო, მოვინელებდი. მაგრამ აი, აქა მჭირს, შიგ გულში მჭირს, აბა რითი მოვიცილო! (ეზოს გასცქერის). ხო არ მოდის ისევ, ნეტავი. (ანისიას გამოაჯავრებს). „ვიშ, რა კარგია, რა კარგი! წამოგიწვებოდი აგერ გვერდში!“ უჰ! ეგ უნამუსო, ეგა! კი ბატონო, მერე წამომიწექი, თოკიდან რო გამომხსნიან, მერე მეფერე, რამდენიც გინდოდეს. ერთი ბოლოა... (თოკს ხელს დაავლებს, ეწევა).

მ ი ტ რ ი ჩ ი (მთვრალია, წამოიწევს, მაგრამ არც თოკის მეორე ბოლოს უშვებს ხელს). არ მოგცემ! არავისაც არ მივცემ. თვითონვე მოვიტან. ვთქვი, ნამჯას მოვიტან-მეთქი და მოვიტან კიდეც! მიკიტა, შენა? (იცინის). დაგწყევლის ღმერთი! შენც ნამჯაზე ხარ მოსული?

ნ ი კ ი ტ ა. მომე თოკი.

მ ი ტ რ ი ჩ ი. არა, შენ დაიცა! კაცებმა გამომგზავნეს, მევე წავიღებ... (დგება, იწყებს ნამჯის მოქუჩებას, მაგრამ ბარბაცებს, ბოლოს კვლავ ძირს ვარდება). ეე, მაინც გადამძლია...

ნ ი კ ი ტ ა. თოკი მომე-მეთქი.

მ ი ტ რ ი ჩ ი. არ მოგცემ, გითხარი. ეჰ, მიკიშკა, შე ბატივით ყერყეტო, შენა! (იცინის). ყერყეტა ხარ, მაგრამ მაინც მიყვარხარ. ხედავ აგერ, გატიალებული ვარ, მაგრამ ფეხებზე მკიდია! შენ გგონია, რამეში მჭირდები?.. აქეთ მომხედე: უნტერ-ოფიცერი გახლავარ, მაშ! შე სულელო, თქმაც კი არ შეგიძლია აი, ასე: თვით მისი უდიდებულესობის გრენადერთა პირველი პოლკის უნტერ-ოფიცერი, მაშ! მეფესა და მამულს ვემსახურებოდი რწმენითა და სიმართლით! არადა, ვინა ვარ? გგონია მეომარი ვარ, არა? მეომარი კი არა, ყველაზე უკანასკნელი ადამიანი ვარ, ობოლი და ტიალი კაცი! ვთქვი, აღარ დავლევ-მეთქი, ახლა კიდე, დავურტყი ისევე! შენ რა გგონია, შენი მეშინია? ვერ მოგართვი! არაფერიც არ მეშინია! თუკი დალევაა, დალევა იყოს, ჯანი გავარდეს! აწი მთელ ორ კვირას ვიბუჟბუჟებ, დავუფეთებ ანგელოზებს... ყველაფერს არაყს გავატან, ჯვარსაც გავყიდი, ქუდსაც, ბილეთს დავაგირავებ და არც არავისი მეშინია! აი, პოლკში მროზგავდნენ ხოლმე, რატო სვამო. მირტყამდნენ და მირტყამდნენ შენი მოწონებული... აბა, რას იზამ, კიდევ დალევო? კი-მეთქი, კიდევ დავლევ-მეთქი. რაო, ამ ხალხისა მეშინოდეს, ამ ნაგვისა? აი, ეგეთი კაცი გახლავარ! რაცა ვარ, ესა ვარ, ღმერთს ეგეთი გავუჩენივარ. ვთქვი, არ დავლევ-მეთქი, ჰოდა, აღარც ვსვამდი. ახლა დალევა მინდა და ვსვამ, დავლევ კიდევაც, მაშ! და არც არავისი მეშინია. კი არა ვტყუი, ეგრეა... ამ ნაგავმა რატომ უნდა შემაშინოს! აგერა ვარ... ერთი მღვდელი მეუბნებოდა, ეშმაკი ყველაზე დიდი ტრაბახა ვინმეაო. ტრაბახს დაიწყებ თუ არა, ეგრევე დაფრთხებიო. მერე, ხალხს თუ უფრთხი, ეგრევე გტაცებს ხელს ეშმაკი და წაგაწოწიალებს, საცა უნდაო. რაც უფრო ნაკლებად მეშინია მაგათი, მით უფრო კარგადა ვარ, მაშ! ჰოდა, მიმიფურთხებია ეშმაკისთვის შიგ წვერებში, დედა ვუტირე, ვერაფერსაც ვერ მიზამს. აგე, მომჭამოს ფეხები!

ნ ი კ ი ტ ა (პირჯვარს იწერს). მართლა რასა ვშვრები მე სულელი! (თოკს ხელს უშვებს).

მ ი ტ რ ი ჩ ი. რა თქვი?

ნ ი კ ი ტ ა (დგება). მაშ, შენ ამბობ, ხალხისა არ უნდა გეშინოდესო, არა?

მ ი ტ რ ი ჩ ი. ნაგავია-მეთქი, ხო გეუბნები, რა უნდა გეშინოდეს მაგათი. აბა, ერთი, აბანოში ნახე, რასა ჰგვანან, ყველა ერთნაირია. ზოგს უფრო დიდი მუცელი აქვს, ზოგს უფრო პატარა, ეგაა მთელი განსხვავება. ვისი უნდა გეშინოდეს, ჯანდაბას მაგათი თავი და ტანი!

გამოსვლა მეთერთმეტე

ნ ი კ ი ტ ა, მ ი ტ რ ი ჩ ი, მ ა ტ რ ი ო ნ ა (გამოდის ეზოდან).

მ ა ტ რ ი ო ნ ა (ნიკიტას ეძახის). რასა შვრები, არ მოდიხარ?

ნ ი კ ი ტ ა. ოხ! ცოტა გამომიკეთდა გული. მოვდივარ. (ეზოსკენ მიდის).

ფარდა

მ ე ო რ ე ს ც ე ნ ა

დეკორაცია შეიცვალა. პირველი მოქმედების სახლი, ხალხით სავსე. ზოგი მაგიდას უზის, ზოგი დგას. წინა კუთხეში ა კ უ ლ ი ნ ა და მისი საქმრო, ს ი ძ ე. მაგიდაზე — ხატები და პური. სტუმართა შორის ჩანს მ ა რ ი ნ ა, მისი ქ მ ა რ ი და უ რ ი ა დ ნ ი კ ი. ქ ა ლ ე ბ ი მღერიან. ა ნ ი ს ი ა ს სასმელი შემოაქვს. სიმღერა წყდება.

გამოსვლა პირველი

ა ნ ი ს ი ა, მ ა რ ი ნ ა, მ ა რ ი ნ ა ს ქ მ ა რ ი, ა კ უ ლ ი ნ ა, ს ი ძ ე, მ ე ე ტ ლ ე, უ რ ი ა დ ნ ი კ ი, მ ა ჭ ა ნ კ ა ლ ი, მ ა ყ ა რ ი, მ ა ტ რ ი ო ნ ა, ს ტ უ მ რ ე ბ ი და ხ ა ლ ხ ი.

მ ე ე ტ ლ ე. თუკი მივდივართ, წავიდეთ უკვე, განა ახლოს არი ეკლესია.

მ ა ყ ა რ ი. ცოტაც დავიცადოთ, მამინაცვალი დალოცავს და მორიგდებიან. ოლონდ სად არი რო?

ა ნ ი ს ი ა. მოვა. ახლავე მოვა, ჩემო კარგებო. თითო ჭიქა კიდევ დალიეთ, ნუ გვიწყენთ.

მ ა ჭ ა ნ კ ა ლ ი. სად არი ამდენ ხანს. რა ხანია ვუცდით.

ა ნ ი ს ი ა. მოვა, ახლავე მოვა, ჩემო კარგებო. აბა, სად უნდა იყოს, ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო — აქვეა. მიირთვით. (მოაქვს სასმელი). ამწუთას მოვა. მანამდე აგე, ლამაზებო, წაუმღერეთ ცოტა.

მ ე ე ტ ლ ე. რაც კი სიმღერა იცოდნენ, ყველაფერი ჩამოათავეს ამ ლოდინში.

ქალები მღერიან. შუა სიმღერისას შემოდიან ნ ი კ ი ტ ა და ა კ ი მ ი.

გამოსვლა მეორე

ნ ი კ ი ტ ა (აკიმს ხელში ჩაფრენია და წინ მოჰყავს ძალით). მიდი, მიდი, მამა-ბატონო, უშენოდ არ იქნება.

ა კ ი მ ი. არ მიყვარს, სიტყვაზე, ეგეთი...

ნ ი კ ი ტ ა (ქალებს). აბა, გეყოფათ სიმღერა, გაჩუმდით. (სახლში თვალს მიმოავლებს ყველას). მარინა, აქა ხარ?

მ ა ჭ ა ნ კ ა ლ ი. მიდი, ხატი აიღე, დალოცე პატარძალი.

ნ ი კ ი ტ ა. დამაცა. (ხალხს ათვალიერებს). აკულინა, აქა ხარ?

მ ა ჭ ა ნ კ ა ლ ი. რა არი, ხალხს თითო-თითოდ რო იძახებ! აბა, სად უნდა იყოს? რაღაც უცნაურად არი, ღმერთმანი...

ა ნ ი ს ი ა. ღმერთო, ამას რასა ვხედავ! ფეხზე გაუხდია!

ნ ი კ ი ტ ა. მამა-ბატონო! აქა ხარ? შემხედეთ, ხალხო და ჯამაათო, მართლმადიდებელო ქრისტიანებო: ყველანი აქა ხართ და მეც აქა ვარ! აგერა ვარ! (იჩოქებს).

ა ნ ი ს ი ა. მიკიტუშკა, რა მოგდის? ვაი, ჩემო თავო!

მ ა ჭ ა ნ კ ა ლ ი. დახეთ ერთი!

მ ა ტ რ ი ო ნ ა. აკი ვამბობდი: ზედმეტი მოუვიდა, დაითრო-მეთქი. ნამეტანი მოუვიდა ფრანგული სასმელი. ჭკუაზე მოდი, ნიკიტა! (უნდა ააყენოს, მაგრამ ნიკიტა ყურადღებას არ აქცევს, პირდაპირ იყურება).

ნ ი კ ი ტ ა. შემხედეთ, ქრისტიანებო! ცოდვილი ვარ და მონანიება მინდა!

მ ა ტ რ ი ო ნ ა (მხარზე ებღაუჭება). შენ რა, ჭკუა დაკარგე? არა, თქვენი ჭირიმეთ, აღარ არი სრულ ჭკუაზე. გავიყვანოთ უნდა აქედან.

ნ ი კ ი ტ ა (მხრით მოიცილებს). მომეშვი! მამა-ბატონო, მისმინე. ჯერ ერთს ვიტყვი: მარინკა, აქ მომხედე! (თავს მიწამდე უხრის და დგება). დამნაშავე ვარ შენთან. ცოლად წაყვანას დაგპირდი

და შეგაცდინე. მოგატყუე და მიგატოვე ისე. მომიტევე ღვთის გულისათვის! (კვლავ თაყვანს სცემს).

ანისია. რას უკულმართობ, მართლა და მართლა, სულ არ შეგშვენის ეგ ამბავი! ვინ რას გეკითხება, ნეტავი! ადე, რას მასხარაობ!

მატრიონა. ოოჰ, ჯადო აქვს გაკეთებული, ჯადო. ეს რა მოუვიდა? რა დღეშია კაცი. ადე-მეთქი! სისულელეს ნუ როშავ! (ეწევა).

ნიკიტა (თავს გააქნევს). ხელს ნუ მახლებ! მაპატიე, მარინა, რაც კი ცოდვა მაქვს შენთან, მაპატიე, ღვთის გულისათვის!

მარინა სახეზე ხელებს იფარებს, დუმს.

ანისია. ადე-მეთქი, გეუბნები, რას მასხარაობ! დამიწყო აქ რაღაცეების გახსენება... გეყოფა ტყლარჭვა, სირცხვილია! ვაი, ჩემს თავს! სულ გამოშტერდა...

ნიკიტა (ცოლს ხელს ჰკრავს, ახლა აკულინას მიუბრუნდება). აკულინა, ახლა შენთანა მაქვს სიტყვა. ისმინეთ, ხალხო და ჯამაათო! დაწყევლილი კაცი ვარ მე. აკულინა! დამნაშავე ვარ შენთან: მამაშენი თავისი დღით არ მომკვდარა, საწამლავით იყო მოწამლული!

ანისია (წამოიყვირებს). ვაი, ჩემს თავს! რას ამბობს!..

მატრიონა. თავის ჭკუაზე აღარ არი კაცი. წაიყვანეთ აქედან-მეთქი!

ხალხი ნიკიტას შემოეხვევა, წაყვანა უნდათ.

აკიმი (ხელებით მისწევ-მოსწევს ხალხს). შეჩერდით! შეჩერდით, ბიჭებო, გეუბნებით...

ნიკიტა. აკულინა, მე მოვწამლე მამაშენი. მაპატიე, ღვთის გულისათვის!

აკულინა (წამოხტება). ტყუის! მე ვიცი, ვინაც მოწამლა!

მაჭანკალი. შენ რაღა მოგივიდა, იჯექი შენს ადგილას.

აკიმი. ღმერთო! ცოდვა ტრიალებს, ცოდვა ტრიალებს-მეთქი!

ურიადნიკი. შეიპყარით! ვინმე გაგზავნეთ, მამასახლისი მოიყვანოს. მოწმეები გვინდა. აქტი უნდა შედგეს! შენ, ადექი, აქ მოდი!

აკიმი (ურიადნიკს). დაიცა, მთავრობის კაცო, პატარა ხანს, დაიცადე-მეთქი. ათქმევინე, რაც უნდა. თქვას, სიტყვაზე...

ურიადნიკი (აკიმს). ხელს ნუ მიშლი, ბერიკაცო! აქტი უნდა შევადგინო!

აკიმი. როგორი კაცი ხარ... დაიცა-მეთქი, გეუბნები. რაღა დროს აქტია, სიტყვაზე, საღვთო საქმე ხდება აქა... აღსარებას ამბობს კაცი, შენ კიდე, აქტიო...

ურიადნიკი. მამასახლისს დაუძახეთ!

აკიმი. მომთავრდეს ჯერ საღვთო საქმე, მერე ქენი, რაც გინდა...

ნიკიტა. აკულინა! სხვა დიდი ცოდვაც მაქვს შენს წინაშე: შეგაცდინე შენაც, ჰოდა, მაპატიე ღვთის გულისათვის! (მდაბლად უკრავს თავს).

აკულინა (მაგიდას ტოვებს, გამოდის). გამიშვი, აღარ ვთხოვდები. მაგან მიბრძანა, ახლა კი აღარ ვთხოვდები.

ურიადნიკი (ნიკიტას). გაიმეორე, რაცა თქვი!

ნიკიტა. მაცალეთ, ბატონო ურიადნიკო, ჯერ დავამთავრო.

აკიმი (გახარებული). თქვი, შვილო, ყველაფერი თქვი, გულზე მოგეშვება. ღვთის წინაშე მოინანიე, ხალხისა ნუ გეშინია. ღმერთი, შვილო, ღმერთი!.. სხვა არი!..

ნიკიტა. მამა მოვუწამლე მე ძაღლმა და ჩვილი ბავშვიც მოვუკალი! ვუყვარდი, ჩემს ხელთ იყო, ჰოდა, თვითონაც დავღუპე და ბავშვიც დავუღუპე!

აკულინა. მართალია, მართალს ამბობს.

ნიკიტა. სარდაფში მოვგუდე მაგისი ბავშვი, ფიცარი დავაფარე და ისე. ზედ ვაჯექი... ვახრჩობდი... ძვლები ატკაცუნდა, (ტირის). დავმარხე მიწაში! მე ვქენი, მარტო მე!

აკულინა. ტყუის. მე ვუთხარი, მე დავავალე.

ნიკიტა. ნუ, ნუ მიცავ. ახლა უკვე აღარავისი მეშინია. მაპატიეთ, მართლმადიდებელო ხალხო და ჯამაათო! (თავს ხრის, ხალხს თაყვანს სცემს).

დუმილი.

ურიადნიკი. შეიპყარით და გათოკეთ! ეტყობა, ჩაიშალა თქვენი ქორწილი.

ნიკიტას ხალხი შემოეხვევა, ხელში სარტყლები უჭირავთ.

ნიკიტა. დაიცადე, მოესწრები... (ახლა მამას უკრავს თავს). მამა-ბატონო, მაპატიე მე შეჩვენებულს! მახსოვს, მითხარი სულ პირველად, აი, ამ ბილწ კახპასთან საქმე როცა დავიჭირე, აეგრე მითხარი: ეშმაკს რომ ნეკი მისცე — მთელ ტანს წაიღებსო. არ დავიჯერე მე ძაღლმა შენი სიტყვა და აგე, როგორ ამიხდა! მაპატიე, ღვთის გულისათვის, მამა-ბატონო!

აკიმი (აღტაცებით). ღმერთი გაპატიებს, ჩემო შვილო, საყვარელო. (ეხვევა). აღარ შეიცოდე თავი, მაგრამ ღმერთი შეგიცოდებს, იცოდე, შეგიწყალებს ღმერთი. ღმერთი, შვილო, ღმერთი! სხვა არი!..

გამოსვლა მესამე

იგინივე და მამასახლისი.

მამასახლისი (შემოდის). რაღა მოწმე გინდათ, მოწმეები აქაც ბლომადაა.

ურიადნიკი. დავკითხოთ ახლა.

ნიკიტას ხელებს უკრავენ.

ა კ უ ლ ი ნ ა. (მოდის და მის გვერდით დგება). მე ვიტყვი მართალს, მეც დამკითხეთ!

ნ ი კ ი ტ ა (შეშფოთებული). არაფერი დაკითხვაც არ უნდა, მე მარტო ვქენი ყველაფერი! განზრახვაც ჩემი იყო და შესრულებაც ჩემი. წამიყვანეთ, საცა გინდათ, მეტს არაფერს ვიტყვი.

ფარდა